რა შეიცვალა უკანასკნელი სამხედრო გაწვევის შემდეგ? A3
ავტო-მონადირე B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
ორშაბათი, 23 ოქტომბერი, 2002 წელი. №143
ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### იმპიჩმენტი - იმპიჩმენტის წილ

*ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული იერიშის დაწყებას აპირებს. ხვალ პლენარულ სხდომაზე რამდენიმე საპარლამენტო ფრაქცია სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნას დააყენებს, მანამდე კი ბათუმურმა ალიანსმა უფრო მაღალ მწვერვალს - პრეზიდენტს - შეუტია და საკანონმდებლო ორგანოში მისი გადაყენების მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.*

A3

## ეკონომიკა

### ზუთხის გამრავლება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე პრიორიტეტული ყოფილა

*საქართველოში შემოსული 100-150 ათასი ტონა ბენზინი კონტრაბანდულია; რის გამოც ბიუჯეტს, მარტო აქციზის სახით, სულ ცოტა, 20 მილიონი ლარი აკლდება. . 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის დეფიციტმა 81 ათას რვა მილიონი ლარი შეადგინა.*

A4

## უცხოეთი

### ტრაგედია კასპიის ზღვაში

გუშინ დილით, ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე, ბაქოდან, დაახლოებით, 100 კილომეტრის მოშორებით, კასპიის ზღვაში ჩაიძირა ყაზახეთის ქალაქ აქტაუდან მომავალი ბორანი "მერკური-2", რომელზეც 51 ადამიანი იმყოფებოდა.

A5

## სამართალი

### პოლიციელთა ძალადობას კანონი დაუპირისპირდა

"ვფიქრობ, თუ მოქალაქეები საკუთარი შელახული უფლების დაცვას არ დაიზარებენ, ძალადობას კანონს დაუპირისპირებენ და კანონდამრღვევ კანონდამცველებს პასუხს მოსთხოვენ, სამართალდამცველთა ძალადობის ფაქტები შემცირდება."

A7

## ნავთობპოლიტიკა

### ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებისათვის

1947 წლის ტრუმენის დოქტრინა გახლდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ სრუტეებზე საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებისაკენ მიმართული აქტი. საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება მიმდინარეობდა მთელ სამხრეთ პერიმეტრზე.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 17 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 24 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1670 |
| ევრო | 2.1382 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3872 |
| რუბლი | 0.0684 |

# ნაციონალები შევარდნაძეს დღეებს უთვლიან



*გივი თარგამაძე - შევარდნაძის ოჯახის ბიზნესის "პათოლოგ-ანატომი".*

*გუშინ ანტიკორუფციული საბჭოს ყველაზე უხერხული და ხმაურიანი წევრი გივი თარგამაძე უკვე ოფიციალურად გახდა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საბურთალოს რაიონიდან. იგი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში "ნაციონალურმა მოძრაობამ" წარადგინა. გუშინვე გაიმართა გივი თარგამაძის საარჩევნო შტაბის პრეზენტაცია, რომელსაც პარტიის უკლებლივ ყველა ლიდერი ესწრებოდა.*

თამარ მჭედლიშვილი

"ნაციონალური მოძრაობისათვის" 24 ნოემბერი ისეთსავე დატვირთვას იძენს, როგორც რამდენიმე თვის წინ ვაკეში გამართული არჩევნები, რომელშიც თავად მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობდა.

"ნაციონალები" საბურთალოს რაიონში კვლავ გააგრძელებენ ვაკეში დაწყებულ **"გადამწყვეტ ბრძოლას საქართველოსთვის",** რომლის მთავარ მიზანს **"პრეზიდენტ შევარდნაძის კლანჭებიდან ქვეყნის გათავისუფლება"** წარმოადგენს.

**"რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს საქართველოში, იმდენჯერ მოვალთ და დავამარცხებთ შევარდნაძის რეჟიმს. აი, ეს გახლავთ მთავარი არსი იმისა, თუ რა ხდება საბურთალოს რაიონში. ჩვენი ტაქტიკა ძალიან მარტივია და განისაზღვრება ერთი ფრაზით – ტოტალური იერიში შევარდნაძის**

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ამ ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობა დაუშვებელია"

### ირინა სარიშვილი-ჭანტურია საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნის ინიციატივით გამოდის

ვერიკო თევზაძე

**"რაც უფრო მეტი პრეზიდენტი ეყოლება საქართველოს, მით უფრო დავრწმუნდებით, რომ ქვეყნის მმართველობის ეს ფორმა ჩვენთვის მიუღებელია"**, - ამგვარი შესავალი გაუკეთა ედპ-ს ლიდერმა საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ განცხადებას.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, საპრეზიდენტო მმართველობის შეცვლა საპარლამენტო რესპუბლიკით უფრო ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიით არის განპირობებული, ვიდრე პოლიტიკური მოტივაციით. **"გია ჭანტურია შემთხვევით როდი საუბრობდა კონსტიტუციური მონარქიის საჭიროებაზე. როგორც ჩანს, ქართველებს გვაწუხებს მონარქიისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება. საქართველო დედამიწაზე ერთადერთი გამონაკლისია, სადაც ხალხი მეფეს არასოდეს აჯანყებია. როგორც ჩანს, ამგვარი ნოსტალგიური დამოკიდებულება პოლიტიკოსებისთვისაც გადამდებია. აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტია კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პიროვნული მმართველობა სიკეთეს არ მოგვიტანს."** სარიშვილი-ჭანტურია დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის (ანუ გუნდური მმართველობის) პირობებში უკეთ იქნება შესაძლებელი ჯანსაღი პოლიტიკის გატარება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პანკისის ხეობაში ახალი სპეცოპერაციები იგეგმება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ძალოვან უწყებებს პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის გაგრძელების, იქ დამატებითი ღონისძიებების ჩატარებისა და უცხოელი ბოევიკებისგან ქვეყნის გაწმენდის მითითება მისცა, ამ უწყებების ხელმძღვანელები სასწრაფოდ ხეობაში გაემგზავრნენ და ადგილობრივ სამართალდამცველებთან ოპერატიული თათბირი გამართეს.*

დაახლოებით ერთი თვის წინ ანტიკრიმინალური ოპერაციის შტაბის უფროსის - შინაგან საქმეთა მინისტრის უწყებაში ექსპრომტად შეკრებილმა, პანკისური წარმატებებით კმაყოფილმა ძალოვანი უწყებების პირველმა პირებმა ერთობლივი ანტიკრიმინალური მუშაობის შედეგები მიმოიხილეს და ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულება საზეიმოდ გვაცნობეს.

**"ანტიკრიმინალური ოპერაცია მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარდა, უკან არაფერზე დაგვიხევია, ხეობა ბოევიკების თავშესაფარი აღარ არის, მთლიანად გაწმენდილია მათგან. კრიმინალები და ძებნილები პანკისს თავს ვეღარ შეაფარებენ".**

გაგრძელება A7 გვერდზე

## სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელშეკრულება ძალაში შევიდა

*გუშინ, საქართველოს პარლამენტმა, 203 ხმით 1-ის წინააღმდეგ (მიხეილ ნანეიშვილი), დაამტკიცა კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამით დასრულდა ამ ისტორიულ დოკუმენტზე მუშაობის ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი, რომელიც დაახლოებით წელიწადნახევრის წინ საკანონმდებლო ორგანოს ინტერფრაქციულ ჯგუფში დაიწყო და ამა წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, პრეზიდენტ შევარდნაძისა და უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხელმოწერით, ფაქტობრივად, დასრულდა. თუმცა, დოკუმენტის ამოქმედებამდე მაინც რჩებოდა ორი "ტექნიკური" დეტალი: წმიდა სინოდის განჩინება და პარლამენტის გადაწყვეტილება.*

*ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრებამ თავისი დადებითი ვერდიქტი 17 ოქტომბერს გამოიტანა, გუშინ კი კონსტიტუციურ შეთანხმებას პარლამენტმაც დაუჭირა მხარი. ამით სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების დამარეგულირებელი დოკუმენტი ძალაში შევიდა.*

გიორგი ასანიშვილი

**"ბევრს ჰგონია, რომ ეს შეთანხმება ეკლესიის საკეთილდღეოდ არის გამიზნული, მაგრამ ეს ასე არ არის - იგი მთელი ერის კეთილდღეობისკენაა მიმართული. ამ დოკუმენტს მთელი მსოფლიო შეისწავლის და შეიძლება, ჩვენი გამოცდილება სხვა სახელმწიფოებმაც გამოიყენონ"**, - განაცხადა დოკუმენტის დამტკიცებასთან დაკავშირებით პარლამენტში გამართულ მიღებაზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

კონსტიტუციური შეთანხმების მისამართით საქებარ სიტყვებს არც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იშურებს. სპიკერის განცხადებით, **"ამ დოკუმენტის მიღება არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული სახელმწიფოს განვითარებაში, რომელიც საფუძველს უყრის ახალი ეტაპის დაწყებას საეკლესიო და საერო ცხოვრებაში"**.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩემპიონთა ლიგა განახლდა

B7


REUTERS

## ევროკავშირის ქვეყნების ელჩებმა სახელმწიფო კანცელარიას შოუ მოსთხოვეს

მაია ურუშაძე

*ბიუჯეტის შეუსრულებლობით აფორიაქებული სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ ევროკავშირის ქვეყნების ელჩებს შეხვდა და ევროკომისიის წინაშე შუამდგომლობა სთხოვა. ევროპელი ელჩების კეთილგანწყობა მთავრობას ამჟამად ნამდვილად ჰაერივით სჭირდება. საქმე ისაა, რომ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, ევროკავშირი საქართველოს იმ ფინანსურ დახმარებას შეუჩერებს, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტში უკვე წინასწარ არის გათვალისწინებული. შედეგად, ევროკავშირისგან მისაღები 44 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის შეფერხება, ბიუჯეტს სეკვესტრის საფრთხის წინაშე დააყენებს. როგორც ჩანს, ქვეყნის ბიუჯეტის ბედი პანკისის ხეობაში უნდა გადაწყდეს, ვინაიდან საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებათაგან უმთავრესი უსაფრთხოების პრობლემებს უკავშირდება - ევროპა საქართველოსგან პიტერ შოუს გათავისუფლებას ითხოვს.*

**"ევროკავშირის წინაშე საქართველოს მიერ აღებული უმთავრესი ვალდებულებები, პრინციპში, სრულდება,** – ირწმუნებოდა გუშინ ავთანდილ ჯორბენაძე, **- პიტერ შოუს საპოვნელად ჩატარებული პანკისის ოპერაციების სიფრთხილე გამოწვეულია იმით, რომ შოუს ჯანმრთელობას არ მიადგეს ზიანი."**

სახელმწიფო მინისტრს გუშინ ელჩებისათვის არც საქართველოში გატარებული **"წარმატებული საფინანსო პოლიტიკის"** შეხსენება დავიწყებია. **"ქვეყნის საგადასახადო გეგმები ბოლო დროს პირნათლად სრულდება, გადაჭარბებითაც კი! გასულ წელთან შედარებით ცხრა თვეში ბიუჯეტში 90 მილიონით მეტია ამოღებული. ზრდა – 14 პროცენტია,"** – აღნიშნა ავთანდილ ჯორბენაძემ და ფინანსთა მინისტრს იქვე მადლობა გადაუხადა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ინტერვიუ
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ავტო-მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**ერევანი.** სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა დზიუნიკ აგაჯანიანმა განაცხადა, რომ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია "აბსოლუტურად არ იცნობს ყარაბაღის საკითხის ისტორიასა და საფუძვლებს". ამის შესახებ მან უთხრა მედიამაქსს, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ გიორგი ჭანტურიას ინტერვიუს კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც ყარაბაღის "პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი იმისთვის, რომ რუსეთს ჰქონდეს დერეფანი, რათა სომხეთში მეწამორის ატომურ ელექტროსადგურში გამომუშავებული გამდიდრებული ურანის ირანში ტრანსპორტირება გაეკონტროლირებინა". "რთული სავარაუდოა, თუ რა მიზანი ამოძრავებდა გიორგი ჭანტურიას, როდესაც მთიანი ყარაბაღის საკითხის ნედლეულის გარკვეულ სახეობებთან დაკავშირებას ცდილობდა", - თქვა სომხეთის საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა. მისი თქმით, "ყარაბაღის პრობლემა მთიანი ყარაბაღის ხალხის თვითგამორკვევაში მდგომარეობს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში ქართული მხარე პორტუგალიაში კონფლიქტის მოგვარების მერვე რაუნდის დროს დამატებით გარანტიებს მოითხოვს. ქართულ მხარეს არ აკმაყოფილებს კონფლიქტის მოგვარებაში გარანტად მხოლოდ რუსეთი და ამასთან დაკავშირებით შეხვედრაზე მრავალმხრივი გარანტიების ახალი წინადადებები და ვარიანტები იქნება წარმოდგენილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** მსოფლიო ბანკის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე ქუთაისის საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნებში ჩატარებულ აუქციონს იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი "ქურდების მიერ ორგანიზებულ აუქციონს" უწოდებს. "საქართველოში არიან ბნელი ძალები, რომლებიც ჯერ ნულოვანი აუქციონის ჩატარების უფლებას ყიდულობენ, ხოლო შემდეგ, ქარხნებს," - აცხადებს შაშიაშვილი. ქუთაისში განლაგებულ, საქართველოს ორ უმსხვილეს ქარხანაში, რომელიც ნულოვანი აუქციონის შედეგების მიხედვით, თითოეულ საწარმოში 10-მდე პიროვნება ფლობს აქციათა პაკეტებს. "ნულოვან აუქციონზე რაც ფული შევიდა, სულ შავი ფულია, რადგან ეს აუქციონი კრიმინალების შეკვეთით ჩატარდა", - განაცხადა იმერეთის გუბერნატორმა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ბესიკ ლაგვილავას თქმით, კომიტეტის უფლებამოსილებას აღემატება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ქონების საკითხის განხილვა. მისი თქმით, საკონსტიტუციო შეთანხმება, რომლის რატიფიცირებასაც პარლამენტი დღეს მოახდენს, ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას. ლაგვილავას თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ქონების დიდი ნაწილი რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მიითვისა. ყველა საკითხი აღნიშნული საკონსტიტუციო შეთანხმების ამოქმედების შემდეგ ორი ქვეყნის პატრიარქების მოლაპარაკების საგანი გახდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დევნილობაში მყოფი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების ინიციატივით გამოდის, რაც პანკისის ხეობის ანალოგიურად, თუმცა საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ძალების ჩართვით, უნდა განხორციელდეს. ამასთან, იგი ძალისმიერი მეთოდებით წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებით გაერო-ს წესდების ამოქმედებას ემხრობა.თამაზ ნადარეიშვილი თვლის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სეპარატისტების მიერ ქართული მოსახლეობის გენოციდის ფაქტორი, ასევე, აფხაზეთში ათეულობით ვაჰაბიტის ყოფნის შესაძლებლობა, რომლებიც, სავარაუდოდ, "ალ-ქაიდასთან" არიან კავშირში. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ოპონენტებს არ შეიძლება ჩემს წინააღმდეგ რაიმე დოკუმენტი ქონდეთ, ამგვარი დოკუმენტი არ არსებობს ამ ქვეყანაში - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. ჩემს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები აბსურდულად მიმაჩნია. სახელმწიფო მინისტრი დადის იქ, სადაც საჭიროა. მე ასე ვივლი ყოველთვის და ხალხისთვის ვიმუშავებ. პრობლემები მე არ მაქვს" - აღნიშნა ავთანდილ ჯორბენაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე წინ უსწრებს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გამოკითხვაში, რომელიც კავკასიაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის გამოსავლენად ჩატარდა. GazetaSNG საინფორმაციო-ანალიტიკური გამოკითხვით, რომელშიც მონაწილეობდენ ამიერკავკასიის, რუსეთისა და უცხოური მასმედიის წარმომადგენლები, ასლან აბაშიძემ დაიკავა მეორე ადგილი.

პირველი ადგილი გამოკითხულებმა აზერბაიჯანის ლიდერს ჰეიდარ ალიევს მიაკუთვნეს. მესამე ადგილი უკავია სომხეთის პრეზიდენტს რობერტ კოჩარიანს. ედუარდ შევარდნაძემ მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა. მას წინ უსწრებს პარლამენტის ექს-სპიკერი ზურაბ ჟვანია, რომელიც მე-7 ადგილზეა. პრეზიდენტს კი მოქმედი სპიკერი ნინო ბურჯანაძე მოსდევს. მეთორმეტე ადგილზეა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ანრი ჯერგენია, მეთოთხმეტეზე კი სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება ქართული მხარის მიერ კონტროლირებად კოდორის ზემო ხეობის ორ პუნქტს ასახელებს, სადაც მათი აზრით, მიზანშეწონილია რუს სამშვიდობოთა საგუშაგოების გახსნა. "ესაა აჟარა და ხიდა, რის შესახებაც საქართველოს ხელისუფლება ინფორმირებულია", - განაცხადა აფხაზეთის ლიდერის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ. მისი თქმით, ამ საგუშაგოების გახსნის გარეშე, რუს სამშვიდობოთა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა პატრულირება, არაეფექტურია. "თბილისში სოხუმის მოსაზრებას იგნორირებენ, თუმცა ამ მოთხოვნათა შესრულების გარეშე, აფხაზური მხარე მოლაპარაკებათა პროცესის განახლების არსს ვერ ხედავს", - თქვა ასტამურ ტანიამ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, დააჩქაროს "დევნილთა რეპატრიაციისა და რესტიტუციის შესახებ" კანონპროექტის მიღება. ძასოხოვის მტკიცებით, ჩრდილოეთ ოსეთში საქართველოს რეგიონებიდან და სამხრეთ ოსეთიდან 42 ათასი დევნილი ცხოვრობს და ადგილობრივი ხელისუფლება იძულებულია, ხელი შეუწყოს მათ ინტეგრირებას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ქართული მხარის მონაცენებით, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დასრულების შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთში საქათველოდან 43 ათასი დევნილი იყო რეგისტრირებული, რომელთა უდიდეს ნაწილს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში დევნილი 23 ათასი მოქალაქე. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მეთაურმა ალექსანდრე ევტეევმა გადაწყვიტა, თავად შეამოწმოს კოდორის ხეობაში ბოევიკების არსებობა და მიიღოს მონაწილეობა ერთობლივ პატრულირებაში. მორიგი პატრულირება სამხედრო დამკვირვებლების მიერ 24 ოქტომბერს იგეგმება. როგორც ევტეევმა აღნიშნა, უკანასკნელი პატრულირების დროს ხეობიდან გატანილია 4 საზენიტო დანადგარი და მისთვის საჭირო საბრძოლო მასალა. "ამჟამად ვითარება ხეობაში სტაბილურია და ეს დაადასტურა უკანასკნელმა პატრულირებამ, თუმცა ჩვენ დეტალებში უნდა დავათვალიეროთ ხეობა მთელს სიგრძეზე, ვინაიდან მხარეები შეიარაღებული ძალების კონცენტრაციაში ადანაშაულებენ ერთმანეთს", - თქვა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** "თუ სომხეთს არ სურს მის მიერ დაკავებულ აზერბაიჯანულ ტერიტორიებთან დაკავშირებით გაერო-ს რეზოლუციების შესრულება, მაშინ იგი უნდა ვაიძულოთ, შეასრულოს ისინი", - განაცხადა უკრაინის საგარეო უწყების სახელმწიფო მდივანმა იური სერგეევმა ბაქოში ვიზიტისას. აზერბაიჯანული სააგენტოს ინფორმაციით, უკრაინელმა დიპლომატმა აღნიშნული განცხადებით უპასუხა აზერბაიჯანის მილი მეჯლისის სპიკერის მურთაზ ალექსეროვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სომხეთმა ძალის გამოყენებით მიიტაცა აზერბაიჯანული მიწები და ყურადღებას არ აქცევს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მთიანი ყარაბაღის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში სახალხო დამცველის აპარატის რეგიონალური სამსახურები შეიქმნა. საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში რეგიონალური სამსახურების შექმნის აუცილებლობა ადამიანის უფლებების დარღვევის ხშირმა ფაქტებმა გამოიწვია. ხშირად მოქალაქეები უსახსრობის გამო ცენტრალურ აპარატამდე ვერ მოდიან და თავიანთ უფლებებს ვერ იცავენ. სახალხო დამცველის რეგიონალური სამსახური დღემდე მხოლოდ იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მესხეთ-ჯავახეთის რეგიონებში არსებობდა. რეგიონალური სამსახური თავდაპირველად ექსპერიმენტის სახით, 1999 წელს იმერეთში შეიქმნა. **ინტერ-პრესი.**

# „ლიბერალიზმი, იცით, რას ნიშნავს?"

*პარტია, რომელიც დაარსებამდე დაიშალა – ასე იცნობს საზოგადოება "ნეოლიბერალურ პარტიას". "ნეოლიბერალების" შექმნის საფუძველი გახდა პარლამენტარის, ლიტვაში მოღვაწე წარმატებული ბიზნესმენის, ვალერი გელაშვილის ხელგაშლილობა. "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძე და კონტროლის პალატის ყოფილი შეფი რეზო შავიშვილი "პარტიულ მშენებლობას" დასაწყისშივე გამოეთიშნენ. გუშინ პიონერთა სასახლეში გამართული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა სწორედ ამ ცნობილი სახეების გარეშე ჩატარდა. ყრილობაზე "ნეოლიბერალებმა" პარტიის წესდება მიიღეს და პოლიტიკური საბჭო აირჩიეს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დაფუძნებამდე დაშლილი პარტიის პირველი ყრილობა.*

სოფო ბუკია

"ლიბერალური ღირებულებები და სოციალური გარანტიები" – ამ დევიზით აპირებენ "ნეოლიბერალები" ქართულ პოლიტიკაში მოსვლას და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ანგარიშგასაწევ ძალად გადაქცევას.

**"ლიბერალიზმი, იცით, რას ნიშნავს? სრულ თავისუფლებას. სახელმწიფო გაძლევს თავისუფლებას - თუ გინდა მილიონერი გახდი, თუ გინდა შიმშილით მოკვდი. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ ნებისმიერმა ადამიანმა ისარგებლოს ამ თავისუფლებით,"** – ასე განმარტავს პარტიის იდეოლოგიის არსს ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

გარდა განუსაზღვრელი თავისუფლებისა, "ნეოლიბერალები" საზოგადოებას კვალიფიციურ-ინტელექტუალურ კადრებს, "სუფთა პოლიტიკას" და საქმის კეთებას ჰპირდებიან.

პარტიას არ ეყოლება თავმჯდომარე. პარტიის თავმჯდომარის როლს შეასრულებს პოლიტსაბჭო, რომლის წევრები იქნებიან ვალერი გელაშვილი, სოსო ცინცაძე, ოთარ ხაჩიძე, ლადო ჭანუკვაძე და ტარიელ კულულაშვილი.

"ნეოლიბერალები" ოპოზიციური პარტია იქნება. ამიტომ ნებისმიერ სამთავრობო პოლიტიკურ ობიექტებთან თანამშრომლობა კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნიათ.

გელაშვილის პარტია საპარლამენტო არჩევნებში საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებს არ მალავს. როგორც ცინცაძე აცხადებს, არ არის გამორიცხული, პარტიამ მომავალში პოლიტიკური მოკავშირეც შეირჩიოს. კონკრეტულად რომელი პოლიტიკური პარტია აღუძრავს სიმპათიას "ნეოლიბერალებს", ჯერჯერობით, უცნობია. **"არსებობს ერთი აუცილებელი პრინციპი, ჩვენკენ სათანამშრომლოდ გამოწვდილი ხელი აუცილებლად სუფთა უნდა იყოს"**, - აცხადებს ცინცაძე. მისი თქმით, მათ შემოთავაზებები პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ უკვე არაერთი აქვთ. "ნეოლიბერალები" ჯერ პოლიტიკური ბაზრის მარკეტინგს ჩაატარებენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩევენ სასურველ პოლიტიკურ პარტნიორს. არ არის გამორიცხული, "ნეოლიბერალური პარტია" საპარლამენტო არჩევნებზე წარდგეს ცალკე ძალად, სხვისი "სუფთა ხელების" დახმარების გარეშე.

თავის ახალ "ბიზნესს" ვალერი გელაშვილი **"დიდი პასუხისმგებლობით"** ეკიდება. წარმატებული ბიზნესმენისთვის პარტიის შექმნის შთაგონების წყაროდ ლიტვის მაგალითი იქცა. ლიტვის სახელმწიფოს სადავეებთან სოციალ-ლიბერალები არიან. გელაშვილი დარწმუნებულია, რომ ქართველ ლიბერალებსაც მალე იგივე წარმატება ელით. პარტიის დაფინანსებას გელაშვილი, ჯერჯერობით, მხოლოდ საკუთარი ჯიბიდან აპირებს, ხოლო თუ დასჭირდა, მეგობრებსაც შეაწუხებს. ცნობილი სახეების პარტიაში არარსებობას გელაშვილი არ განიცდის. **"არ ვიცი, რას ეძახით ცნობილ სახეებს? ჩვენს პარტიაში ინტელექტუალური ძალებია თავმოყრილი. ცნობილ სახეებს ჩვენ ახალ, სიმართლის მთქმელ სახეებს დავუპირისპირებთ".**

შავიშვილი-ხმალაძის არშექმნილი პარტიიდან წასვლას "ნეოლიბერალები" პოლიტიკურ ამბიციებს უკავშირებენ. **"მათ არ მოინდომეს ჩვენთან თანამშრომლობა. უთანხმოების მიზეზი ის გახდა, რომ მე არ მინდოდა, პარტიას თავმჯდომარე ჰყოლოდა. არ მინდა, ამ პარტიას ვინმეს სახელი ერქვას,"** – განმარტავს გელაშვილი.

შავიშვილსა და ხმალაძეს ცინცაძე "ყოფილ მეგობრებს" უწოდებს და მათ თამაშიდან გასვლას პარტიისთვის წამგებიანად მიიჩნევს. **"ჩვენ არ გავხლეჩილვართ, უბრალოდ, არ შედგა ჩვენი ქორწინება. რა თქმა უნდა, პარტიამ ამით იზარალა, მაგრამ ეს უკვე წარსულის საქმეა. ჩვენ ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, როგორ ჩამოვყალიბდეთ სერიოზულ ძალად. მათაც ამავეს ვუსურვებთ,"** – დალოცა "ყოფილი მეგობრები" ცინცაძემ.

ყრილობაზე სტუმართა შორის "ნაციონალების" ერთ-ერთ ლიდერს რომან გოცირიძეს, ლიბერალ-დემოკრატ მიხეილ ნანეიშვილს, ბესო ჯუღელსა და გენერალ გუჯარ ყურაშვილს ნახავდით.

"ნეოლიბერალების" საზეიმო განწყობის გასაზიარებლად ლიტვიდან იქაური სეიმის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეც ჩამოვიდა, რომელმაც "ნეოლიბერალებს" ლიტვის სეიმის თავმჯდომარის მისალოცი წერილი წაუკითხა.

რომან გოცირიძე "ნაციონალური მოძრაობის" სახელით "ნეოლიბერალებს" თანამშრომლობას დაჰპირდა და ახალ პარტიას დიდი წარმატებები უწინასწარმეტყველა.

"ნეოლიბერალები" თავის უმთავრეს ამოცანად, ამ ეტაპზე, რეგიონების გულის მონადირებას თვლიან. როგორც ვალერი გელაშვილი ამბობს, ამ კუთხით პარტია მალე სერიოზულ მუშაობას დაიწყებს.




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ამ ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობა დაუშვებელია"

პირველი გვერდიდან

ედპ-ს ლიდერი არც პოლიტიკურ მომენტს გამორიცხავს. იგი არ უარყოფს, რომ საკონსტიტუციო ცვლილება ითვალისწინებს იმ კონკრეტულ პოლიტიკურ სპექტრსაც, რომელიც მომავალში წამყვან ძალად უნდა იქცეს. სარიშვილი-ჭანტურიას თქმით, საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის და ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. **"თუ ჩვენ ვფიქრობთ რეალურ და არა - მოჩვენებით სტაბილურობაზე - როცა დღესაც მოსახლეობაშიც და პოლიტიკურ სპექტრშიც არსებობს განცდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ყველამ უნდა აშენოს - აუცილებელია ფსიქოზის მოხსნა კონკრეტული პიროვნების გარშემო".**

**"ეს ცვლილება შევარდნაძის ფაქტორით ხომ არ არის განპირობებული"?** - ამგვარი იყო სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებაზე ჟურნალისტების პირველი რეაქცია.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ არა მხოლოდ უარყო ეს მოსაზრება, არამედ დამსწრეებისთვის ქვეყნის პრეზიდენტის მწვავე კრიტიკაც დაურთო: **"შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღეს ჩვენი პრეზიდენტი არაფერზე ფიქრობს, გარდა ნავთობის პოლიტიკისა, რომელიც თავისი და საკუთარი ოჯახის წევრების ინტერესებში შედის."**

"24-მა საათმა", ედპ-ს ლიდერის პოლიტიკური ინიციატივასთან დაკავშირებით, კომენტარი სთხოვა კონსტიტუციის ლიგის დაცვის თავმჯდომარეს, პარლამენტარ ვახტანგ ხმალაძეს:

**"როცა 1995 წელს პარლამენტში კონსტიტუციას ვიღებდით, მე და მთელი ფრაქცია, რომლისაც მაშინ ვხელმძღვანელობდი, ყველანაირად ვიბრძოდით, დეპუტატები ამ მოდელის უპირატესობაში დაგვერწმუნებინა. საკუთარი პროექტიც კი გვქონდა წარდგენილი. მაშინ ედპ-ს ჩვენთვის მხარი რომ დაეჭირა, შეიძლება საქმე სხვაგვარად წარმართულიყო. პრინციპულად მე მივესალმები სარიშვილის ინიციატივას. რაც უფრო მეტი პარტია გაიზიარებს ამ მოსაზრებას, მით უფრო გაიზრდება შანსი იმისა, რომ საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი რეალობად იქცეს."**



ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

საპარლამენტო ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" წარმომადგენელი კობა დავითაშვილი საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნის იდეას არ ეთანხმება. მისი აზრით, დღეისათვის საქართველოში მოქმედი საპრეზიდენტო მმართველობის მოდელში ცვლილებები უნდა შევიტანოთ. კერძოდ, უნდა შემცირდეს პრეზიდენტის უფლებამოსილება. დავითაშვილი ასევე საჭიროდ მიიჩნევს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების მექანიზმის შექმნას.

ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი თეორიულად იზიარებს საპარლამენტო მმართველობის მოდელს, მაგრამ მას ქართულ გარემოს ვერ უსადაგებს. **"ჩვენი ქვეყანა იმდენად ჭრელი შემადგენლობისაა (როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური თვალსაზრისით და, თუნდაც, გეოპოლიტიკური მდებარეობითაც), მას აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს მოსახლეობის მიერ არჩეული ერთი პიროვნება."** დავითაშვილის მსგავსად, ნათელაშვილიც პრეზიდენტის კომპეტენციის შეზღუდვას მოითხოვს. იგი შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობის მომხრეა.

მომავალ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით, ედპ უახლოეს პერიოდში სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებს გამართავს. თუკი სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა საერთო ენა გამონახეს, ისინი ერთობლივად იმოქმედებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავად შეიმუშავებს შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტს, შემდეგ კი მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდას და ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს. ამჟამინდელ პარლამენტზე სარიშვილი-ჭანტურია დიდ იმედებს არ ამყარებს. იგი იმაზეც ყაბულს იქნება, თუ დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო ცვლილებაზე აქტიურად დაიწყება საუბარი.

საკითხავია, როდის უნდა შევიდეს ძალაში ცვლილება, თუკი იგი უახლოეს პერიოდში, ყველასგან მოულოდნელად, ოფიციალურად გაფორმდება? სარიშვილი-ჭანტურია მართებულად მიიჩნევს, რომ საკითხი ერთი წლის შემდეგ შეკრებილ პარლამენტმა გადაწყვიტოს: **"დღევანდელი ქაოტური შემადგენლობის პარლამენტს უჭირს ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღება. იგი ასეთ მნიშვნელოვან საკითხზეც კი ვაჭრობასა და გარიგებას დაიწყებს."**

# „იეღოველთა ჯარში" გაწვევა დაიწყო



ანტონ ჭანტურიამ ჟურნალისტებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ზაზა ფარჯიანი

იმასთან დაკავშირებით, რომ დემოკრატია ალტერნატივების სამშობლოა, ანტონ ჭანტურიას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ მისი სამსახურის საქმიანობა ამ მოსაზრების ნათელი დადასტურებაა. პოლკოვნიკი ანტონ ჭანტურია არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის დეპარტამენტის უფროსია. სწორედ მისი უწყება ემსახურება იმ სამხედრო ასაკის მამაკაცებს, რომლებსაც ჯარისკაცობას ნავარისკაცობა ურჩევნიათ. შეურაცხყოფად არავინ მიიღოს. უბრალოდ, არასამხედრო სამსახურში ნავის გამოტანაზე მუშაობა ყველაზე გავრცელებული საქმიანობაა.

ალტერნატიულ სამსახურში უკვე გაზაფხულზე გაწვეული 31 ადამიანი მსახურობს. მიმდინარე გაწვევაზე მათ კიდევ 58 დაემატება. მათთვის ვაკანსიების მოძებნა ანტონ ჭანტურიას სამსახურს ევალება. ამ მიზნით დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულნი იყვნენ ქვემო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში (თბილისი – თავისთავად). ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ყველამ თავის რაიონში იმსახუროს. დღეისათვის რეალურად სამასამდე ვაკანტური ადგილია. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8 საათით განისაზღვრა. შაბათ-კვირა დასვენებაა. ალტერნატიული სამხედრო პირები ჯამაგირსაც მიიღებენ – ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასის ოდენობით ანუ 20 ლარს. სამსახური 24-თვიანია და ამ ხნის განმავლობაში მათ უფლება არ აქვთ, იმუშაონ რამე ხელმძღვანელობაზე ან პარალელურ სამსახურში. როგორც მოსალოდნელი იყო, არასამხედრო სამსახურელთა უმრავლესობა იეღოველია. მათი რელიგიური მრწამსი უარის საფუძველი ხდება. გამწვევ კომისიას უარის თქმის უფლებაც აქვს, მაგრამ შემდეგ თავისი პოზიციის დაცვა სასამართლოში მოუწევს. სასამართლოს გადაწყვეტილება მართლაც საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ასეთი პრეცედენტი ჯერ არ დაფიქსირებულა.

# იმპიჩმენტი - იმპიჩმენტის წილ

*ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული იერიშის დაწყებას აპირებს. ხვალ პლენარულ სხდომაზე რამდენიმე საპარლამენტო ფრაქცია სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნას დააყენებს, მანამდე კი ბათუმურმა ალიანსმა უფრო მაღალ მწვერვალს - პრეზიდენტს შეუტია და საკანონმდებლო ორგანოში მისი გადაყენების მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.*

გიორგი ასანიშვილი

თუმცა, საეჭვოა, "აღორძინების" ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდეს: შევარდნაძის იმპიჩმენტის მოთხოვნას, რომლის საფუძვლადაც ჯემალ გოგიტიძის ფრაქცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევას ასახელებს, ჯერჯერობით, მხოლოდ 30-მდე დეპუტატი ეთანხმება და ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ მათი რაოდენობა აუცილებელ მინიმუმამდე - 79-მდე ავიდეს.

ოფიციალური განცხადება შევარდნაძის "ჩამოგდების" პროცესის დაწყების შესახებ ჯემალ გოგიტიძემ ჯერ კიდევ გასულ კვირაში გააკეთა, მაგრამ მის "შეთავაზებას" სათანადო ეფექტი არ მოჰყვა. "24 საათი" უკვე იუწყებოდა იმ გულგრილი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც "აღორძინების" ინიციატივის მიმართ სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქციებმა და არასაპარლამენტო პარტიებმა გამოიჩინეს: ფაქტობრივად, არც ერთმა ანგარიშგასაწევმა ძალამ, "ტრადიციონალისტების" გარდა, შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნის მიმართ ინტერესი არ გამოამჟღავნა - "გაერთიანებულმა დემოკრატებმა", "მრეწველებმა", "ნაციონალებმა", ლეიბორისტებმა და სხვებმა განაცხადეს, რომ "ამ გაუგებარ თამაშში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ". მეტიც: "აღორძინების" წამოწყების წინააღმდეგ თავად ბათუმურ ალიანსში შემავალმა სოციალისტებმაც კი გაილაშქრეს და მათი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი თანაბლოკელებს ასლან აბაშიძესთან "ჩაშვებით" დაემუქრა.

როგორც ჩანს, საკუთარი განზრახვის რეალობისა თავად ჯემალ გოგიტიძისაც არ სჯერა და შევარდნაძისთვის "მუშტის მოღერება" სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის გაუბრალოებას უფრო ემსახურება. რამდენად გადაფარავს პირველი თემა მეორეს, ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე გამოჩნდება.

# რა შეიცვალა უკანასკნელი სამხედრო გაწვევის შემდეგ?

*საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გასული კვირა ორი მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენით აღნიშნა: ედუარდ შევარდნაძემ პირადი სტუმრობით 60 წლის იუბილე მიულოცა სამხედრო მრეწველობის გიგანტის - თბილავიამშენის თანამშრომლებს და გამოსცა განკარგულება, შეიარაღებული ძალების რიგებში საშემოდგომო გაწვევის შესახებ. თუმცა, თუ ავიამშენებელთა 60 წლიანი ღვაწლი საზეიმო ვითარებაში - მადლობის სიტყვებით, ორდენების ჩამორიგებით, უამრავი საგაზეთო და სატელევიზიო პუბლიკაციით აღინიშნა, არმიის რიგებში 10 ათასი ჭაბუკის გაწვევა საქართველოში, არაფრით გამორჩეული მოვლენაა. და იგი არავის აღელვებს, გარდა პოტენციურ ჯარისკაცთა მშობლებისა და ახლობლებისა, რომელთათვისაც კომისარიატის მოხელის გამოჩენა მხოლოდ უარყოფით ემოციებს იწვევს.*

კობა ლიკლიკაძე

„რადიო თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისთვის"

სამხედრო გაწვევის საშემოდგომო კამპანიის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი განკარგულების ტექსტი წინამორბედთა ასლს წარმოადგენს. მასში შეცვლილია მხოლოდ ვადები და გასაწვევი კონტინგენტის საერთო რაოდენობა, რომელიც შარშანდელთან შედარებით აშკარად გაზრდილია და, მთელი სამხედრო ძალებისთვის 10 724 ჯარისკაცს შეადგენს.

იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლება სამხედრო ძალების რიცხოვნების შემცირებაზე საუბრობს, რიგითი შემადგენლობის მატება აშკარად გაუგებრობას იწვევს. თუმცა, თავდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ გეგმის გაზრდა გამოწვეულია ვადიანი სამხედრო სამსახურიდან ერთბაშად რამდენიმე ნაკადის დათხოვნით. სამხედრო ძალები ხომ დღეს საინტერესო სიმბიოზს წარმოადგენს - აქ შეხვდებით ჯარისკაცებს, რომელთაგან ზოგი უკვე წელიწადნახევარია ემსახურება ქვეყანას და არიან ისეთებიც, ვისაც ბედმა გაუღიმა და არმიის რიგებში უმაღლესი სასწავლებლის შემდეგ მოხვდნენ, რის გამოც ყაზარმას ერთი წლის შემდეგ ტოვებენ.

თუმცა, ბედის რჩეულად საქართველოში ითვლება არა ის, ვინც სამხედრო სამსახურში იმყოფება, მწირი ჯარისკაცული ულუფით იკვებება და ყაზარმული კანონებით ცხოვრობს, არამედ ის, ვინც შეძლებს თავიდან აიცილოს კონსტიტუციური ვალდებულება. ამას კი გავლენიანი ნაცნობობის წყალობით, სტუდენტური ჯავშნის, ყალბი სამედიცინო მოწმობის აღებითა თუ კომისარიატის მუშაკების პირდაპირი მოქრთამვის გზით, ახალწვეულთა დიდი უმრავლესობა ახერხებს.

თანაც, სიყალბის ეს ინსტიტუტი კონსპირაციის ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ ათი წლის განმავლობაში თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის მხილებული არ ყოფილა კომისარიატის არც ერთი მუშაკი. რაკი კონსტიტუციური მოვალეობით ვაჭრობას ვერაფერი მოუხერხა, საქართველოს ხელისუფლებამ კომისარიატის ორგანოებში ფეხმოკიდებული ყიდვა-გაყიდვის ლეგალიზება გადაწყვიტა.

მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა ცვლილება შეიტანა გაწვევის შესახებ არსებულ ორგანულ კანონში და ოფიციალურად დააკანონა ფულადი მოსაკრებელი როგორც გადავადების, ისე სამხედრო ვალდებულებიდან მთლიანად გათავისუფლების მსურველთათვის. როგორც ამბობენ, კანონპროექტის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდნენ კომისარიატის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთა მდიდარი გამოცდილება, კანონის ავტორებს ძალზე გამოადგათ ოპტიმალური ტარიფის დადგენაში. საბოლოოდ გაწვევის გადავადების ღირებულება 200, ხოლო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება - 2000 ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ განმარტებით ბარათში, რომელმაც კანონპროექტისადმი პარლამენტართა საბოლოო მხარდაჭერა უზრუნველყო, ნათქვამი იყო, რომ გადავადების შედეგად ამოღებული თანხა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს ყოველწლიურად, საშუალოდ, 16-18 მილიონ ლარს შემატებდა. თუმცა, სამხედროთა პროგნოზი მიახლოებითაც არ გამართლდა.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, წინა საგაზაფხულო გაწვევის დროს გადავადების უფლებით 600 წვევამდელმა ისარგებლა. ეროვნულ ბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე მათ მიერ ჩარიცხულმა თანხამ კი მხოლოდ 120 ათასი ლარი შეადგინა. თანაც, ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანია, თუ როგორ განაწილდა და რას მოხმარდა აღნიშნული თანხა.

ჯერჯერობით, ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო კომერციულ სასწავლებლების სამხედრო კათედრებს, რომელთა აუდიტორიებში გაბნეული, დაახლოებით, 20-ათასკაციანი მრევლი, სწავლის პერიოდში ასევე სარგებლობს გადავადების უფლებით.

და რაც მთავარია, წინა გაწვევის შემდეგ არავითარი რევოლუციური გარდატეხა არ მომხდარა არმიის მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიდგომაში.

სამწუხაროდ, მომავალ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთა გაწვევა პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ახალი წლის წინა დღეს, 30 დეკემბერს უნდა დასრულდეს, სადღესასწაულო ტრაპეზის მხრივაც კი ვერავითარ სიურპრიზს ვერ მოუწყობს სამხედრო ხელმძღვანელობა. წლევანდელ საბიუჯეტო წელსაც თავდაცვის სამინისტრო, ფინანსისტი კოლეგებისაგან, სრულად ვერ მიიღებს გეგმით გათვალისწინებულ თანხებს, რის გამოც, გაზაფხულამდე, შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას დედაწულიანად მკაცრ დიეტაზე გადასვლა მოუწევს.

# სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელშეკრულება ძალაში შევიდა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებებისა, კონსტიტუციური შეთანხმების მიმართ დამოკიდებულება ბოლო დღემდე ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. დოკუმენტის მიღებას, კერძოდ, ეწინააღმდეგებოდა სამეცნიერო და სამუზეუმო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული საკუთრების საკითხისადმი მიდგომას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ. თუმცა, როგორც ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა გიგი წერეთელმა განაცხადა, უკანასკნელ მომენტში კონსენსუსის მიღწევა მაინც მოხერხდა და დოკუმენტი ყველა მხარისთვის მისაღები გახდა.

**"ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში ასეთი კვორუმი ჯერ არ მახსოვს"**, - სიხარულით აღმოხდა ნინო ბურჯანაძეს, როდესაც კენჭისყრის წინ ჩატარებული რეგისტრაციის შემდეგ ელექტრონულ ტაბლოს შეხედა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს დეპუტატებს ძალიან სურდათ, არა-ჩვეულებრივებად და სულიერად ამაღლებულებად წარმოჩენილიყვნენ, ზოგიერთმა მათგანმა ეს მაინც ვერ მოახერხა და თავისი ახირებით სხდომათა დარბაზი მშვიდი რიტმიდან ამოაგდო. თავიდან, პარლამენტარები, თითქოს, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ასეთ ვითარებაში, ქულების ჩასაწერად "სადღეგრძელოები" არ ეთქვათ და დებატები არ გაემართათ, მაგრამ გურამ შარაძემ დაჟინებით მოითხოვა გამოსვლა (დეპუტატებმაც თითქმის ერთი საათი იდავეს, მიეცათ თუ არა კოლეგისთვის სიტყვა). როდესაც შარაძემ მიკროფონი დაისაკუთრა, პარლამენტს თავისი "გამორჩეული პოზიციის" შესახებ ამცნო: დეპუტატი, მართალია, კონსტიტუციურ შეთანხმებას ხმას აძლევს, მაგრამ არ ეთანხმება სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობას და აგრეთვე ითხოვს, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს.

შარაძის გამოსვლამ ბევრი დეპუტატი გააოცა და აღაშფოთა. **"თუ ხვალიდან დაიწყებ ბრძოლას სახელმწიფოსა და ეკლესიის შეერთებისთვის, მაშინ დღეს რატომ აძლევ ხმას მათი გამიჯვნის დამადასტურებელ დოკუმენტს?"** - ამ კითხვაზე პასუხი ფიქრია ჩიხრაძემ ვერ მიიღო, ისევე როგორც კობა დავითაშვილმა, რომელიც, თავის მხრივ, იქით "ანათლებდა" შარაძეს, რომ "**სახელმწიფოსა და ეკლესიის ცალკეობის მიზანშეწონილება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებას ემყარება**".

**"სახელმწიფოსთან ეკლესიის გადაჯაჭვა საშიშიც კი არის, მითუმეტეს, როდესაც სახელმწიფო მრავალი მანკიერებით არის დაავადებული. ამან, შეიძლება, ეკლესიასაც ავნოს და დააზარალოს"**, - აცხადებდა დავითაშვილი.

დოკუმენტის მიღებისთანავე მისი რევიზიის დაწყება ასევე დაუშვებლად მიიჩნია ზურაბ ჟვანიამაც. **"კენჭისყრის შემდეგ ამ საკითხზე დისკუსიას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი"**, - კატეგორიული იყო "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი.

ასეთმა ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ შარაძეს ბრძოლის ჟინი გაუნელა, მაგრამ "მომგებიანი თემის" საბოლოოდ ხელიდან გაშვებას, როგორც ჩანს, მაინც არ აპირებს: 203 ხმით დამტკიცებული დოკუმენტის თაობაზე პარლამენტში დღეს პრესკონფერენციას გამართავს.

მიუხედავად ასეთი არასასიამოვნო ეპიზოდისა, მან მაინც ვერ გააფერმკრთალა პარლამენტის გადაწყვეტილება.

**"ჩვენ დღეს დავუახლოვდით ერთმანეთს. თქვენი და წმიდა სინოდის გადაწყვეტილება არის ერთმანეთისკენ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი. დღეს ისტორიული დღეა",** - მიმართა ხალხის რჩეულებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა.

# ნაციონალები შევარდნაძეს დღეებს უთვლიან

პირველი გვერდიდან

**კორუმპირებულ რეჟიმზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გავერთიანდებით ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც პრეზიდენტის კლანს ებრძვის. ჩვენ ამ ძალებთან გავერთიანდებით არა იმიტომ, რომ ერთიანი საარჩევნო ბლოკი შევქმნათ, არამედ იმიტომ, რომ ხალხს მივცეთ არჩევანის უფლება",** - განაცხადა პარტიის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება თავად კანდიდატს: სააკაშვილის თქმით, **"გივი თარგამაძე არის ადამიანი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, რა პრობლემებს უქმნის პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმი ქართველ ხალხს. გივი თარგამაძის მეშვეობით, ჩვენ ხელიდან გავაგდებინეთ შევარდნაძეების ოჯახს ისეთი ობიექტები, როგორებიცაა "ელექტროკავშირი", "თბილგაზი", რუსთავის "აზოტი". მისი მეშვეობით არ დავუთმეთ შევარდნაძეებს და ახვლედიანებს ფოთის პორტი. თარგამაძე არის საჭირო კაცი. მან იცის შევარდნაძის კლანის შიდა ანატომია და ძალიან კარგად უწყის, როგორ დაიცვას საზოგადოება ამ კლანის თავდასხმებისაგან".**

მსგავსი პათოსით იყო გამსჭვალული სხვა გამოსვლებიც. ერთი სიტყვით, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები გუშინ ერთხმად აღიარებდნენ, რომ გივი თარგამაძის სახით, **"საქართველოს პარლამენტი ანგარიშგასაწევ წევრს შეიძენს".**

თავად გივი თარგამაძის განცხადებით, პარლამენტარობა ანტიკორუფციულ საბჭოში მისი საქმიანობის ბუნებრივი გაგრძელება იქნება. მისი თქმით, პარლამენტში მოსვლით ის ამხელს **"იმ კლანებს, რომლებიც დღეს საქართველოში მეფობენ"** და არ მოერიდება კონკრეტული გვარების დასახელებას.

გუშინვე "ნაციონალებმა" პრეზიდენტის მმართველობის დასრულებამდე დარჩენილი დღეების ათვლა დაიწყეს.

**"დღეს რჩება 900 დღე პრეზიდენტის მმართველობის დასრულებამდე. ეს ხალხის დაცინვის 900 დღეა. ჩვენ ყველამ საკუთარ თავებს უნდა ვკითხოთ – გვილირს თუ არა პრეზიდენტის ცინიზმის მოთმენა კიდევ 900 დღე, თუ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ დასკვნა, თავიდან ავიცილოთ ძალადობა და ისე დავასრულოთ ის უბედურება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით",** - განაცხადა სააკაშვილმა. მართალია, მას სიტყვა "იმპიჩმენტი" არ უხსენებია, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, რომ სწორედ ამ პროცედურას გულისხმობდა.

და ბოლოს: შეკრების დასრულებისთანავე სპორტის სასახლესთან გაიმართა ბილბორდის პრეზენტაცია, წარწერით: **"შევარდნაძეს დარჩა პრეზიდენტობის 900 დღე"** (ბუნებრივია, ეს ციფრი ყოველდღე შეიცვლება).

# „ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც თქვენ აირჩიეთ"

თამარ ხორბალაძე

**"ჩვენ არ გვინდა ხალხის გამოსვლა ქუჩაში. ჩვენ ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის მომხრენი ვართ, მაგრამ, თუ ხელისუფლება ხალხს არჩევანს წაართმევს, ის თავად გამოვა ქუჩაში!"** - ამ ნაცნობი მუქარით "გახსნეს" ცესკო-ს შენობის წინ გუშინდელი საპროტესტო აქცია "ნაციონალისტებმა". აქცია გამაფრთხილებელი იყო და მისი მიზანი იმის დემონსტრირება გახლდათ, რომ არჩევანწართმეული საზოგადოების ქუჩაში გამოყვანა პრობლემა არ არის. გუშინდელ აქციაზე არ ჩანდა სააკაშვილი, სანაცვლოდ კი წარმოდგენილი იყო ყველა სხვა ლიდერი. "ნაციონალისტები", რომელთაც პარტიების ნაწილი სასამართლოში შეტანილ სარჩელს დღესაც უხსენებს და საკრებულოს ამოქმედების გაჭიანურებას აბრალებს, გუშინ კიდევ ერთხელ (უკვე ცესკო-ს მიერ გადათვლილ ბიულეტენებზე საუბრისას) შეეცადნენ, ეს ბრალდება თავიდან აეცილებინათ.

**"ბიულეტენები უკვე გადათვლილია, ხელისუფლება კი ისევ ახდენს ზეწოლას ცესკო-ზე და არ იძლევა შედეგების დამტკიცების საშუალებას. ბიულეტენების გადათვლის შემდეგ ჩვენ საკრებულოში კიდევ ერთი მანდატი დაგვემატა. თუმცა, დღეს მზად ვართ, საკრებულოს ამოქმედების სანაცვლოდ უარი ვთქვათ ამ ერთ მანდატზე!"** - უხსნიდნენ ხალხს "ნაციონალისტები".



„თუ ხელისუფლება ხალხს არჩევანს წაართმევს, ის თავად გამოვა ქუჩაში!"

გუშინ, ბოლო პერიოდში პირველად, "ნაციონალისტები" ხმამაღლა საუბრობდნენ იმაზე, რომ თბილისის არჩევნები მათ და **"მათმა პარტნიორებმა"** მოიგეს. ტრადიციულად გახლდათ ხაზგასმული ისიც, რომ გაიმარჯვეს იმ ძალებმა, რომლებიც რადიკალურად იყვნენ დაპირისპირებულნი ხელისუფლებასთან. გუშინ, "ნაციონალისტთა" აქტივისტების გარდა, ძალაუნებურად, აქციას შეუერთდნენ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები და მათი მგზავრები, რომლებიც ნახევარი საათით გადაკეტილ რუსთაველზე აღმოჩნდნენ.

**"ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც თქვენ აირჩიეთ; გთხოვთ, ნახევარი საათის განმავლობაში შექმნილი უხერხულობა გვაპატიოთ და ჩვენი პროტესტი გაიზიაროთ,"** - მოუწოდებდა კობა დავითაშვილი "გზაში გახერგილ" მგზავრებს.

გუშინ "ნაციონალისტებს" დიდხანს არ უხმაურიათ. ნახევარ საათში რუსთაველზე მოძრაობა განახლდა.

## მოკლედ

**თბილისი.** ზამთარში თბილისის გასანათებლად საჭირო და ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მეცხრე ენერგობლოკის ამუშავების ბედი კვლავ გაურკვეველია. მისი ამუშავებისთვის თანხები, ჯერჯერობით, "ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს არ გადაურიცხავს.

როგორც საბითუმო ბაზრის ფინანსურმა დირექტორმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ბაზარი მზადაა ყველა პირობა შეასრულოს. როგორც კი "ეი-ი-ეს თელასი," ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, თანხებს გადმორიცხავს, ბაზარიც, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ გადარიცხავს შემოსავლების 15 პროცენტს მეცხრე ბლოკის ფონდში. შეგახსენებთ, რომ ეს თანხა (10 ოქტომბრის მოლაპარაკებების შემდეგ) 300 000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მეცხრე ენერგობლოკის ასამუშავებლად პირველ ეტაპზე საჭიროა 3,1 მილიონი აშშ დოლარი. ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანხების ერთ მესამედს იხდის ამერიკული კომპანია და ორ მესამედს ფარავს საბითუმო ბაზარი. ეს პირობები ყოველთვიურად 15 რიცხვამდე უნდა შესრულდეს. თუმცა, ამჯერად, პირველი შემთხვევისთვის დაშვებულია გამონაკლისი და გადახდის რიცხვი განსაზღვრული არ არის. "ეი-ი-ეს თელასშიც", თავის მხრივ, კონკრეტულ პასუხს ამ საკითხთან დაკავშირებით არ იძლევიან. აღსანიშნავია ისიც, რომ საბითუმო ბაზარი ყველა ურჩ გადამხდელს აფრთხილებს, რომ კანონით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არგადამხდელებს დენის მიწოდებას შეუწყვეტს. როგორც ბაზარში აცხადებენ, ამ ღონისძიებას ისინი იმიტომ მიმართავენ, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გადამხდელ ორგანიზაციებს ელექტროენერგია სტაბილურად მიაწოდონ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ამუშავებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პროგრამას. გუშინ პრეზიდენტ შევრდნაძეს კომისიამ საქმიანობის წლიური ანგარიში წარუდგინა. როგორც ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა განაცხადა, ამისათვის აუცილებელია გარდაიქმნას ყველა სახელმწიფო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები სააქციო საზოგადოებებად. სახელმწიფო მხოლოდ ამგვარად მიიღებს დამატებითი აქციების განთავსების შესაძლებლობას.

პრეზიდენტი შევარდნაძე მიესალმა ფასიანი ქაღალდების კომისიის ინიციატივას. თუმცა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა მოითხოვს სერიოზულ შესწავლას, ვინაიდან არის საშიშროება იმისა, რომ კომისია გარდაიქმნას საწარმოების კიდევ ერთ მაკონტროლებელ ორგანოდ. შეხვედრისას აღინიშნა, რომ პრივატიზიციის პროცესში ჩაერთვება საფონდო ბირჟა. რაც იმას ნიშნავს, რომ საპრივატიზაციო ობიექტების აქციების გაყიდვა ბირჟის მეშვეობით მოხდება. აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია და მიღებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში; თუმცა, რამდენად მოერგება იგი ქართულ სინამდვილეს, ამას პირველი ვაჭრობა გვიჩვენებს, რომელიც, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ ჩატარდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" წევრის, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის მოსაზრებით, ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო უთანხმოების აღმოფხვრა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ამ საკითხს ვერანაირი სამთავრობო კომისია ვერ გადაწყვეტს.

საქართველოში საფინანსო წესრიგის დამყარების, ქვეყნის ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორების საკითხების შესწავლის მიზნით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათს, სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

ამასთან, პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, კომისიაში, რომელიც ფინანსისტების, ეკონომისტებისა და იურისტებისგან დაკომპლექტდება, აჭარის ხელმძღვანელობას კანდიდატურების წარმოდგენა შესთავაზეს.

როგორც ``პრაიმ-ნიუსს`` ნოდარ ჯავახიშვილმა აცნობა, შემოთავაზების შემთხვევაშიც კი არ შევა ამ კომისიაში, რამდენადაც მასზე არაა დამოკიდებული აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

პარლამენტარის აზრით, ბათუმსა და თბილისს შორის დაპირისპირება განხილული უნდა იყოს შევარდნაძისა და აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძის პიროვნული ურთიერთობების კონტექსტში.

"ბოლო 7-8 წლის განმავლობაში პრეზიდენტს აჭარასთან პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების სურვილი არ ჰქონია," - თქვა ჯავახიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ორი წყაროს მონაცემებით, მსოფლიო ბანკმა გააუქმა საქართველოს საერთაშორის სანავთობო კომპანიისთვის (GIOC) გამოყოფილი სესხის ნაწილი მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს დაბრალდა თაღლითობა განაცხადთა განხილვისას. თავის მხრივ, ამან გამოიწვია საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობის უფრო გულდასმით შესწავლის აუცილებლობა," — იტყობინება სააგენტო **"ევრაზიანეტი"**.

ამერიკის სავაჭრო პალატა, რომელიც 23 ოქტომბერს მეწარმეთა მონაწილეობით ატარებს მრგვალ მაგიდას, საჯაროდ აცხადებს თავის შეშფოთებას საქართველოს სახელისუფლო ორგანოებში გამეფებული კორუფციის გამო.

მას შემდეგ, რაც პალატამ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულების დადების დროს ჩადენილ დანაშაულთა შესახებ დოკუმენტების შესაგროვებლად, ცნობილი გახდა GIOC-ის მიმართ თაღლითობაში წაყენებული ბრალდებების შესახებ.

ამ ინფორმაციის წყაროა ამერიკელი, რომელიც დიდხანს მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკულ სფეროში. მან ეს ინფორმაცია ანონიმურობის პირობით გასცა. მისი თქმით, GIOC-მა კერძო განჩინებით აიძულა ქვემოიჯარე იტალიური კომპანია, პირობა დაედო ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს მიმდინარე ეკოლოგიური შედეგების შეფასების ჩასატარებლად დაექირავებინა ქართველი სპეციალისტები.

შეიტყო რა ეს და სხვა ბრალდებები, მსოფლიო ბანკმა შეაჩერა კრედიტის გაცემა. თბილისის ბუნებისდამცავი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის" ხელმძღვანელმა და მონიტორინგული ორგანიზაცია CEE Bankwatch-ის წარმომადგენელმა მანანა ქოჩლაძემ დაადასტურა ეს ინფორმაცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბუნებრივი აირის ტარიფის კანონიერებასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრმა ექპერტიზა შეწყვიტა და შს სამინისტროს საექსპერტო მასალები უკან დაუბრუნა.

შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს 1999 წლის აგვისტოდან 2000 წლის მაისამდე ბუნებრივი გაზის ტარიფის კანონიერებას. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის დადგენილებით, ეს ტარიფი თბოელექტროცენტრალისათვის (ბუნებრივი გაზისაგან ელ. ენერგიის მწარმოებელი) ერთი კუბური მეტრი 23 ლარს შეადგენდა, ხოლო სხვა მომხმარებლისათვის - 160 ლარს.

როგორც „მედია-ნიუსს" ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის უფროსმა მაია ნიკოლეიშვილმა უთხრა, ტარიფის კანონიერების ექსპერტიზისათვის ჩასატარებელია საფინანსო-სამეურნეო შემოწმებები გაზის მიმღებ-გამანაწილებელ ობიექტებზე.

ამ ტარიფების კანონიერებით შს სამინისტრო ჯერ კიდევ 2000 წელს დაინტერესდა. ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, იგი შეწყდა მტკიცებულებების არარსებობის გამო. სემეკის დადგენილების კანონიერება მოგვიანებით შეისწავლა კონტროლის პალატამ და მასალები პროკურატურას გაუგზავნა. გენერალური პროკურატურის მითითებით, შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა საქმის გამოძიება განაახლა. თუმცა, ექსპერტიზის ჩასატარებლად საქმეში საკმაო მასალები არ მოიპოვება. **მედია-ნიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 17 - 23 ოქტომბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6469 | 0.6308 | 0.0052 |
| US$ | 1.5458 | | 0.975 | 0.008 |
| €uro | 1.5856 | 1.0256 | | 0.0082 |
| ¥en | 193.7 | 125.31 | 122.17 | |

### 2002 წლის 23 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1152 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3595 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4386 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1750 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3126 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1736 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0686 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4441 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2384 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0816 ლარი |

# ევროკავშირის ქვეყნების ელჩებმა სახელმწიფო კანცელარიას შოუ მოსთხოვეს

პირველი გვერდიდან


*საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ ევროკავშირისაგან გრანტებს მიიღებს*

ვინაიდან ბიუჯეტის გარღვევის თითქმის ნახევარი იმ გრანტებზე მოდის, რომლის მიღების იმედიც მთავრობას სწორედ ევროკავშირისგან ჰქონდა, სახელმწიფო მინისტრის ინტონაციებში გუშინ ვედრება და წუწუნი ერთმანეთს ენაცვლებოდა. **"ამ თანხების მიუღებლობა საქმეს, პირველ რიგში, მოსახლეობას ურთულებს, რადგან ის ღებულობს ამ დახმარებას. საქართველოს ვალდებულებები შესრულებულია. ამიტომ, გთხოვთ, საქართველოს მოსახლეობისა და პრეზიდენტის სახელით: იქნებ თქვენი მონაწილეობით მაინც დაჩქარდეს ამ გრანტების მიღების პროცესი,** – სთხოვა ჯორბენაძემ ელჩებს და ევროკომისიის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მორიგი პირობა დადო, - **განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდება კორუფციის და კონტრაბანდის წინააღმდეგ. ოღონდ გრანტები დააჩქარეთ!!!"**

პასუხი ევროპელმა ელჩებმა მოკლედ მოჭრეს: **"ჩვენი უმთავრესი პოლიტიკური მიზანია დავინახოთ ის დადებითი, რაც საქართველოში რეფორმების კუთხით განხორციელდა. ჩვენ ამას ვცდილობთ."** (ნიდერლანდების ელჩი ჰარი მოლინარი)

**"მზად ვართ საქართველოს თანადგომისა და დახმარებისათვის, მაგრამ დიდ ყურადღებას ვანიჭებთ სწორედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მნიშვნელოვანი იქნება, თუ თქვენი მხრიდან ძალისხმევა ამ მიმართულებით თანამიმდევრულად განხორციელდება,"** – შენიშნა გერმანიის ელჩმა უვე შრაამმა.

ევროკომისიის ხელმძღვანელი საქართველოში თორბენ ჰოლცი კი სულ ერთი ფრაზით შემოიფარგლა: **"მე გადავცემ ბრიუსელს თქვენს თხოვნას და საგანგებო შეხვედრაზე "სამეული" განიხილავს ამ საკითხს,"** – განაცხადა მან.

ძნელი სათქმელია, უნდა ყოფილიყო გუშინდელი შეხვედრა იმედისმომცემი, თუ არა. მუხედავად ამისა, ავთანდილ ჯორბენაძემ ერთობ ოპტიმისტური პროგნოზი გააკეთა. **"ჩვენ ევროკავშირისგან 44 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს აუცილებლად მივიღებთ,"** – დაასკვნა მან.

# ფინანსთა სამინისტრო გადასახადების შემცირების და გამარტივების მომხრეა

სოფო კვინტრაძე

ფინანსთა სამინისტრო ექვსი გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდის. ამ დღეებში პარლამენტში განსახილველად შევა ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს. გასაუქმებელი გადასახადების სიაში შედის საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის, გადასახადი საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციისათვის, გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიმდინარე ზოლში მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპლუატაციისათვის და სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის.

გარდა ამისა, სამინისტროს ინიციატივა შეეხო რამდენიმე გადასახადის გამარტივებასაც; კერძოდ, დღგ-ს, აქციზისა და ქონების გადასახადებს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დამატებითი ღირებულების გადასახადს იხდის ყველა ორგანიზაცია, რომლის წლიური დასაბეგრი ბრუნვა 24 ათას ლარს შედგენს. როგორც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, დღგ-ს გადამხდელთა დიდი რიცხვი ართულებს გადამხდელთა იდენტიფიცირებას, რაც მეწარმეებს გადასახადებისგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. ამიტომ სამინისტროს ინიციატივით, დღგ-ს ზღვარი უნდა გაიზარდოს 100 ათას ლარამდე, ანუ ორგანიზაციები, რომელთა წლიური ბრუნვა 100 ათას ლარს შეადგენს, დღგ-ს აუცილებლად გადაიხდიან. ორგანიზაციები, რომლებსაც 75 ათას ლარს ზემოთ აქვთ წლიური დასაბეგრი ბრუნვა, ნებაყოფლობით დარეგისტრირდებიან დღგ-ს გადამხდელებად. ხოლო, 75 ათას ლარს ქვემოთ წლიური ბრუნვის მქონე ორგანიზაციები დღგ-ს აღარ გადაიხდიან. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ეს ცვლილებები გამოიწვევს ყურადღების გადატანას დიდი ბრუნვის მქონე გადამხდელებზე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ზღვარის აწევით გამოწვეულ დანაკარგებს.

იმ გადამხდელთათვის კი, რომელთა ბრუნვა დღგ-ს ზღვარს (100 ათასი ლარი) არ აღემატება, შემოღებული იქნება მცირე ბიზნესის გადასახადი; რაც გულისხმობს, რომ ამ კატეგორიის მეწარმეები დღგ-ს, მოგების (ფიზიკურ პირზე საშემოსავლო) გადასახადის, სოციალური, ეკონომიკური საქმიანობის და საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადების ნაცვლად გადაიხდიან ერთ, გამარტივებულ გადასახადს - მათი მთლიანი შემოსავლის შვიდ პროცენტს. წვრილი მეწარმეებისათვის კი დაწესდება ფიქსირებული გადასახადი.

რაც შეეხება აქციზს, სააქციზო საქონლის რაოდენობა ოთხამდე შემცირდება, ანუ აქციზი მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებზე (თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, ნავთობპროდუქტები და ავტომანქანები) დარჩება. ასევე ცვლილებები ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებას, გადასახადის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლით.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა უპირველესად მიზნად ისახავს კანონმდებლობის გამარტივებას. უქმდება ის გადასახადები, რომელთაც ადმინისტრირების სირთულე ახასიათებთ, დაბალ ფისკალურ ეფექტს იძლევიან და კორუფციის წყაროს წარმოადგენენ. ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ აღნიშნულ ცვლილებებს საკანონმდებლო ორგანოშიც დაუჭერენ მხარს.

# ზუთხის გამრავლება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე პრიორიტეტული ყოფილა

ნინო ნარჩემაშვილი

უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ ვისმენთ, რომ **"განხორციელებული ფინანსური პოლიტიკის ნეგატიური ასპექტები კვლავ გვევლინება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად".** ისევ და ისევ ეს ფინანსები, ანუ ფული, რომელიც ფინანსთა სამინისტროს აბარია და ანაწილებს. საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, კონტროლის პალატის ანგარიშში ნათქვამია – **"2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმდინარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბიუჯეტო პროცესი კვლავ სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება. არ შესრულდა არც ერთი საპროგნოზო მაჩვენებელი, ფიზიკური პირების ერთპროცენტიანი სოციალური გადასახადის გარდა."** კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული კომპლექსური რევიზიების შედეგად გამოვლინდა მრავალი დარღვევა. ციფრებით რომ არ გადაგღალოთ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ: **სათანადო დასაბუთების გარეშე ბიუჯეტიდან კვლავ ფინანსდება არაეფექტიანი პროგრამები, რაც ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივ გამოყენებას უწყობს ხელს. სამინისტროს მონაცემები ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ არ შეესაბამება მთავრობის ანგარიშის მონაცემებს. კვლავ ხშირია საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, უყაირათო ხარჯვის ფაქტები. ნავთობპროდუქტების მსხვილი რეალიზატორები და იმპორტიორები თავს არიდებენ გადასახადის გადახდას. კერძოდ, ათ მეწარმეს ერიცხება 1099,6 ათასი ლარის დავალიანება. საქართველოში შემოსული 100-150 ათასი ტონა ბენზინი კონტრაბანდულია; რის გამოც ბიუჯეტს, მარტო აქციზის სახით, სულ ცოტა, 20 მილიონი ლარი აკლდება. . 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის დეფიციტმა 81 ათას რვა მილიონი ლარი შეადგინა."** ცალკე აღნიშვნის ღირსია მიზნობრივი პროგრამები. აქ განსაზღვრული თანხა კონკრეტული მიზნისათვის გამოიყოფა; თუ როგორ, თვითონ განსაჯეთ – 860 ათასი ლარი გამოყოფილია "მცენარეთა დაცვის" პროგრამისათვის, შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში გავრცელებულ ზუთხისებრთა ხელოვნური გზით გამრავლების ღონისძიებათა განხორციელება და ბუნებრივი ტოფობის პროგრამა დაფინანსდა 97,6 პროცენტით და ა.შ. სამაგიეროდ, დაუფინანსებელი დარჩა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა არმიის მიერ დატოვებული რაკეტული საწვავის გაუვნებელყოფის პროგრამა (22,7 ათასი ლარი)...

**"გამოვლენილი დარღვევები არსებით ზეგავლენას მოახდენს მიმდინარე წლის სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებასა და შესრულებაზე."** – ნათქვამია კონტროლის პალატის მოხსენებაში.

# „ენრონის„ სკანდალმა „ჯეიპი მორგან ბანკიც„ შეიწირა

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური კორპორაციის, "ჯეიპი მორგანის" აქციების კურსმა მნიშვნელოვნად აიწია. ამის მიზეზად იქცა სენსაციური ცნობა იმის თაობაზე, რომ ლეგენდარული ბანკი შეიძლება შეისყიდოს მისმა კონკურენტმა, ჩიკაგოს "ბენქ უანმა." ეს გარიგება, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ანეკდოტივით გაიჟღერებდა ახალი ამბების გამოშვებაში, ახლა სრული რეალობაა, რადგან "ჯეიპი მორგანი" აღმოჩნდა "ენრონის" სკანდალთან დაკავშირებული და მისი აქციები ბოლო თვეების განმავლობაში გვარიანად გაუფასურდა. "ბენქ უანს" კი მსგავსი არაფერი შემთხვევია. მისი ბიზნესი ზრდას განაგრძობს და საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით (აქციის ფასი გამრავლებული აქციათა რაოდენობაზე), იგი უკვე სჯობნის "ჯეიპი მორგანს."

"ბენქ უანი" უკვე დიდი ხანია დაინტერესებულია თავისი საქმიანობის გაფართოებით ფულად მენეჯმენტში, საკრედიტო ბარათებსა და საინვესტიციო სფეროში. ამიტომ გაუფასურებული "ჯეიპი მორგანის" ყიდვა ახლა სწორედ რომ მისწრება იქნება. თუმცა, სპეციალისტები, რამდენიმე ფაქტორის გამო, გარიგებას ეჭვქვეშ აყენებენ. პრობლემა ის არ გახლავთ, რომ "ჯეიპი მორგანმა" შეიძლება უარი თქვას. ამ კომპანიაში ხომ მეტად რთული ვითარებაა შექმნილი და იგი აქეთ უნდა ეძებდეს პარტნიორს. პრობლემა ის გახლავთ, რომ ეს ბანკი სერიოზულად დააზარალა ბოლოდროინდელმა გაკოტრებებმა, რის გამოც მას დიდძალი ამოუღებელი ვალები დაუგროვდა.

"ჯეიპიმ" სულ ერთი კვირის წინ გამოაქვეყნა თავისი ანგარიში, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავი არ ეთქმოდა. ბანკის მოგებები მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 90 პროცენტით დაეცა. კრიზისიდან თავის დასაღწევად 1861 წელს დაარსებული კომპანია, რომელიც აშშ-ის სიდიდით მეორე ფინანსურ სახლად ითვლება, ახლა 2200 თანამშრომლის დათხოვნას აპირებს.

სპეციალისტთა აზრით, "ბენქ უანს" ძალიან გაუჭირდება ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი ბანკის ათვისება. მართალია, "ჯეიპის" აქციები გაიაფებულია და მისი ხელში ჩაგდება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ რა მოხდება ყიდვის შემდეგ? თუკი "ბენქ უანს" თავისი ბიზნესის გაფართოება სურს "ჯეიპის" სერვისების ხარჯზე, მაშინ მან ამ უკანასკნელს დიდძალი თანხები უნდა დაახარჯოს, რათა მოგებაზე აამუშაოს.

თუმცა, შეიძლება "ბენქ უანს", ბოლოდროინდელი წარმატებების გამო, დიდი ამბიციები გაუჩნდა (მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამ ბანკმა 823 მილიონი დოლარის მოგება ნახა - 20-ჯერ მეტი ვიდრე "ჯეიპი მორგანმა"), ამიტომ ახლა შეიძლება ყველანაირ რისკზე წავიდეს, რათა მიმზიდველი შანსი ხელიდან არ გაუშვას.

# მორიგი ტერაქტი პალესტინაში - ისრაელის არმია მზადყოფნაშია



ისრაელში ტერაქტების სერია გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი

*ორშაბათს, თელ-ავივთან განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ, ისრაელმა, შეიძლება, სერიოზულ ზომებს მიმართოს.*

ისრაელი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პალესტინურ ქალაქებში მკაცრ საიზოლაციო რეჟიმს განაახლებს – ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, არიელ შარონმა, ისრაელში მორიგი სისხლიანი ტერაქტის განხორციელების შემდეგ მიიღო.

როგორც ცნობილია, ტერორისტმა-კამიკაძეებმა ორშაბათს, საღამოს, ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში, საპორტო ქალაქ ხადერთან ახლოს ააფეთქეს ავტობუსი, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა და ორმოცამდე მძიმედ დაშავდა. გამოძიებამ ტერაქტის დეტალები დაადგინა. როგორც გაირკვა, დანაღმულ ჯიპში მჯდარი ორი ტერორისტი ხალხით სავსე ავტობუსს მიუახლოვდა და ავტომანქანა ააფეთქა. ისრაელის პოლიციის წარმომადგენლის ხაიმ ბოლიმოვსკის თქმით, აფეთქების სიმძლავრის გათვალისწინებით, ჯიპში ას კილოგრამზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება – ტროტილი იყო ჩამონტაჟებული. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ორგანიზაცია "ალ-ქუდსის წამებულთა ბრიგადებმა" აიღო. ეს დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" გასამხედროებულ ფრთას წარმოადგენს. "ბრიგადების" ლიდერი, იად სავალხე, ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადების უმაღლესი დონის სპეციალისტად ითვლება. ისრაელის სპეცსამსახურები მასზე, დიდი ხანია, ნადირობენ; თუმცა, დღემდე - უშედეგოდ. რადიკალური მოძრაობა "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა, აბდელ აზიზ არ-რანთისმა, აღფრთოვანება ვერ დამალა და კოლეგებს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი თავგანწირვა მოუწონა.

ისრაელის ხელისუფლების მხრიდან რეაქციამაც არ დააყოვნა. ტერაქტის შემდეგ, ორ საათში, სასწრაფოდ შეიკრიბა ისრაელის მთავრობა. პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან დახურული თათბირი ჩაატარა. ისრაელის არმია და პოლიცია სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში (ხანმოკლე შესვენების შემდეგ) კვლავ დრამატული ვითარება შეიქმნება.

ამასთან დაკავშირებით, სერიოზული შეშფოთება გამოხატა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტის ორგანიზება თავის თავზე "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო, ისრაელის ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა იასირ არაფატის ადმინისტრაციას დააკისრა. თავის მხრივ, "ისლამური ჯიჰადის" სისხლიანი აქცია დაგმო იასირ არაფატმაც. **"პალესტინის ხელისუფლება გმობს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმას. ჩვენ ასეთ მეთოდებს უარვყოფთ,"** - განაცხადა ჟურნალისტებისთვის გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა.

ცხადია, აღნიშნული ტერაქტი არაფატის ინტერესებში არ შედიოდა. მას ამჟამად შეერთებული შტატების ხელისუფლების მხარდაჭერა ესაჭიროება, რისი მიღწევაც ტერაქტების ორგანიზებით აშკარად გაუჭირდება. არაფატმა ვაშინგტონის სიმპათიის მოსაპოვებლად ისეთი ბრძანებულებებიც კი გამოსცა, როგორიცაა პალესტინის ტერიტორიაზე ჰუსეინის მხარდამჭერი მანიფესტაციების მოწყობისა და სასულიერო პირებისათვის ბუშის ხელისუფლების კრიტიკის აკრძალვა. აღნიშნულმა ტერაქტმა კი, სავარაუდოა, პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის არმიის სადამსჯელო რეიდები განაახლოს. ისრაელის არმია და სპეცსამსახურები ძლიერი კონტრდარტყმისთვის ემზადებიან. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ისრაელმა პალესტინურ ქალაქებში ტერაქტის შემდეგ დაუყოვნებლივ არ შეიყვანა საჯარისო ფორმირებები, როგორც ამას ადრე აკეთებდა ხოლმე.

მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ტერორისტულ აქტს ისრაელი შედარებით თავდაჭერილად გამოეხმაუროს, რათა ხელი არ შეუშალოს ამერიკელების მიერ ერაყის წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ კამპანიას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დაიყოლიებს თუ არა ვაშინგტონი არიელ შარონს, რათა მან კვლავ რეპრესიები არ დაიწყოს პალესტინელთა წინააღმდეგ.



ვენეცია. თავსხმა წვიმების გამო, ვენეციის ცენტრში წყალმა ერთი მეტრით მოიმატა და ქალაქის ცენტრის ნაწილი დატბორა. სურათზე: სან მარკოს მოედანი წყალქვეშ.

## ამბები

**გერმანია.** გუშინ გერმანიაში "ალ ქაიდასთან" კავშირში ეჭვმიტანილი პიროვნების წინააღმდეგ ხმაურიანი სასამართლო პროცესი დაიწყო. ბრალდებულის სკამზე 28 წლის მაროკოელი მუნირ ალ მოთასედექი აღმოჩნდა. გამოძიების მტკიცებით, ის გერმანიაში "ალ ქაიდას" უჯრედს ხელმძღვანელობდა და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობდა. მასალების მიხედვით, გერმანული ქალაქი ჰამბურგი "ალ ქაიდას" ქსელის ერთ-ერთი საყრდენი წერტილი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ალ მოთასადექს წაყენებული ბრალდებები დაუმტკიცდა, მას სამუდამო პატიმრობა ელის. აღსანიშნავია, რომ, 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებით, ეს ევროპაში გამართული პირველი სასამართლო პროცესია. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ პროცესზე "ალ ქაიდას" გერმანიაში მოღვაწეობის ბევრი დეტალი გამჟღავნდება.

მუნირ ალ მოთასადექს კონკრეტულად ბრალი ედება თვითმფრინავის ერთ-ერთი გამტაცებლის - მარვან ალ შეხისათვის ფულის გადარიცხვაში.

■ ■ ■

**ავსტრალია.** "ალ ქაიდა" გახდა პირველი ორგანიზაცია, რომელიც ავსტრალიის ხელისუფლებამ "შავ სიაში" შეიტანა. ავსტრალიის გენერალური პროკურორის განცხადებით, ამ დღეებში ტერორიზმის წინააღმდეგ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში, ბინ ლადენის დაჯგუფებასთან ერთად, ამ ეტაპისათვის ცნობილი "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული შვიდი ორგანიზაცია ფიგურირებს. მათ შორისა "ისლამის გადარჩენის ფონდი," "ისლამური არმია" და სხვა. აღნიშნული ღონისძიება, რომელიც მთლიანად შეესაბამება გაერო-ს რეკომენდაციებს, მთელ ქვეყანაში "ალ ქაიდას" საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ სამართლებრივ ბაზას შექმნის. ავსტრალიის სამართალდამცავებს და სპეცსამსახურებს ამიერიდან უფრო გაუადვილდებათ იმ პირთა გამოვლენა, ვინც ქვეყანაში "ალ ქაიდას" დასაყრდენს წარმოადგენს.

რაც შეეხება, ორგანიზაცია "ჯემაა ისლამიას," რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში "ალ ქაიდას" ფილიალს წარმოადგენს და ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მომხდარ ტერაქტშია ეჭვმიტანილი, "შავ სიაში" მის შესატანად ჯერჯერობით საკმარისი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. ავსტრალიის გენერალური პროკურორის განცხადებით, ეს მდგომარეობა, შესაძლოა, კარდინალურად შეცვალოს ბალიზე მომხდარი ტერაქტის გამოძიების პროცესმა.

■ ■ ■

**იტალია.** "იტალიაში, სულ ცოტა, ორი ათასი მოჯაჰედი იმყოფება," - ეს სენსაციური ინფორმაცია სამშაბათს მილანის პროკურორის მოადგილემ სტეფანო დამბრუოზიმ გაავრცელა. მან ასეთი განცხადება ქალაქ ლატინაში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გამართულ კონფერენციაზე გამოსვლის დროს გააკეთა. მისი თქმით, მოჯაჰედები, ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების შემდეგ, მთელ მსოფლიოში, მათ შორის, დასავლეთ ევროპაშიც, გაიფანტნენ. "იტალიაში არ არსებობს კანონი იმის თაობაზე, რომ ადამიანის გასამართლება საზღვარგარეთ სამხედრო წვრთნის გავლის ბრალდებით შეიძლებოდეს," - განაცხადა დამბრუოზიმ. მისი თქმით, კავშირები ავღანელ მებრძოლებსა და იტალიელ ტერორისტებს, მათ შორის, "წითელ ბრიგადებს" შორის, ჯერ გამოვლენილი არ არის.

■ ■ ■

**ირანი.** ათასობით ირანელმა მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ აქციაში, რომელიც მუსლიმთა რელიგიურ დღესასწაულს დაემთხვა. აქციაზე შეკრებილი ხალხი, ისრაელისა და შეერთებული შტატების საწინააღმდეგო ტრადიციული ლოზუნგების გარდა, ერაყის დიქტატორის საწინააღმდეგო მოწოდებებითაც გამოვიდა. ირანის სულიერი ლიდერის - აიათოლა ალი ხამენეის გამოსვლას აქციის მონაწილეები "სიკვდილი სადამს" შეძახილით შეხვდა. თავის გამოსვლაში აიათოლამ განაცხადა, რომ ირანი არასოდეს აღიარებს დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებსაც მან "ტყუილი და პროპაგანდა" უწოდა.

ირანი რვა წლის განმავლობაში ეომებოდა სადამ ჰუსეინის ერაყს 1980-1988 წლებში. დღეს ირანის ხელმძღვანელობა ოფიციალურად ეწინააღმდეგება ამერიკელების მიერ ერაყში ომის დაწყებას, მაგრამ ფარულად მიესალმება ვაშინგტონის განზრახვებს. ამასთან, ირანის ლიდერებს არ შეიძლება, არ აფიქრებდეთ ირანის ისლამური რეჟიმის ბედი მას შემდეგ, რაც მეზობელ ერაყში ამერიკელთა უშუალო მმართველობა ან ვაშინგტონისადმი ლოიალურად განწყობილი მთავრობა გაბატონდება.

■ ■ ■

**რუსეთი.** სანკტ-პეტერბურგის ვასილეოსტროვსკის რაიონში გუშინ ხანძარი გაუჩნდა სატრანსფორმატორო ქვესადგურსა და მის მახლობლად მდებარე საცხოვრებელ სახლს. ხანძარს მეხანძრეებმა ურთულესი, მეხუთე კატეგორია მიანიჭეს. ინციდენტის ადგილზე 30 სახანძრო მანქანა მუშაობდა, რომლებმაც რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ მოახერხეს ცეცხლის ჩაქრობა. ქვესადგურის ავარიის გამო, ქალაქის დიდ ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. სატრანსფორმატორო ქვესადგური ჯერ კიდევ 1926 წელს აშენდა, მისი ოთხი ტრანსფორმატორი კი უკვე 30 წელია, მუშაობს.

# ტრაგედია კასპიის ზღვაში

გუშინ დილით, ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე, ბაქოდან, დაახლოებით, 100 კილომეტრის მოშორებით, კასპიის ზღვაში ჩაიძირა ყაზახეთის ქალაქ აქტაუდან მომავალი ბორანი "მერკური-2", რომელზეც 51 ადამიანი იმყოფებოდა. მათგან 9 კაცის გადარჩენა მოხერხდა, დანარჩენების ბედი ჯერჯერობით უცნობია.

ტრაგედიის მთავარ მიზეზად ქარიშხალს ასახელებენ, თუმცა, მიუთითებენ იმასაც, რომ ბორნის მარშრუტი გადიოდა მცურავი პლატფორმების სიახლოვეს, რომლებიც კასპიის ზღვაში აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობსაბადოს ამუშავებენ.

სამაშველო სამუშაოებისათვის ტრაგედიის ადგილისაკენ გაემართა აზერბაიჯანის კასპიის სანაოსნოს 5 ხომალდი და 5 ვერტმფრენი, რომლებსაც ქარიშხალში მოუხდათ ადამიანების გადარჩენა. ბორნის ჩაძირვის ადგილას კასპიის ზღვის სიღრმე, დაახლოებით, 300 მეტრს აღწევს.



"მერკური-2"

აზერბაიჯანელი სამართალდამცველების ცნობით, ბორნის 8 მგზავრს ყაზახეთიდან აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომანქანები გადმოჰქონდა. ამის გარდა, ბორანზე იყო 16 ცისტერნა, რომლებშიც 2000 ტონამდე გადაუმუშავებელი ნავთობი იყო ჩატვირთული. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ 1000 ტონამდე დაღვრილი ნავთობისაგან აკვატორიის გაწმენდა, მაგრამ საამისოდ, შეიძლება, სხვა სახელმწიფოების დახმარება დასჭირდეთ.

ბორანი "მერკური-2" ექსპლუატაციაში 2001 წელს შევიდა და მას შემდეგ აქტაუ- ბაქოს რეისს, დაახლოებით, ორ დღეში ერთხელ ასრულებდა. ბორანი საზღვაო ტრანსპორტის აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია "კასპარს" ეკუთვნოდა.

# მეცამეტე მსხვერპლი - ვაშინგტონში საშინელებათა სერიალი გრძელდება

*შეერთებული შტატების პოლიციამ, ჯერჯერობით, არამცთუ ვერ დააკავა ან გაანადგურა "ვაშინგტონელი სნაიპერი", არამედ მისი ვინაობის დადგენაც კი ვერ შეძლო.*

გიორგი ხელაშვილი

ამერიკაში მოთარეშე გამოუცნობი მკვლელი-სნაიპერის მსხვერპლთა რიცხვმა უკვე ცამეტს მიაღწია. გუშინ მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა ავტობუსის 40 წლის მძღოლი. ამით დაღუპულთა რაოდენობამ უკვე ათს მიაღწია. დანარჩენი სამი ადამიანი დაჭრილია.

"ვაშინგტონელი სნაიპერი," უკვე ორ კვირაზე მეტია, ვაშინგტონის ფედერალურ ოლქს ატერორებს. პოლიციამ ვერაფრით შეძლო არამცთუ მისი დაკავება ან განადგურება, არამედ პიროვნების დადგენაც კი.

ბოლო დანაშაული მკვლელმა პირველი დანაშაულის ადგილის სიახლოვეს ჩაიდინა. ტყვია ავტობუსის მძღოლს მაშინ მოხვდა, როდესაც მან ავტობუსი საბოლოო გაჩერებამდე მიიყვანა და გადმოსვლა დააპირა. ტყვია მსხვერპლს მკერდში ჰქონდა მოხვედრილი. ეს ვაშინგტონის გარეუბან სილვერ-სპრინგში მოხდა, ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე. დაჭრილი ვერტმფრენით გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ქირურგები მისი სიცოცხლის გადარჩენას რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ - უშედეგოდ.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენისთანავე შემოარტყა ალყა ავტობუსების გაჩერებას და მის მიდამოებს. სნაიპერის ძებნაში ჩართეს ვერტმფრენები და პოლიციის მაძებარი ძაღლები. იმავდროულად, მონტგომერის საგრაფოს ყველა სკოლას, სადაც სილვერ-სპრინგი მდებარეობს, უსაფრთხოების განსაკუთრებული რეჟიმის დაცვა ებრძანა.

"ვაშინგტონელი სნაიპერის" მიერ შაბათს ჩადენილი წინა დანაშაულის შემდეგ, პოლიციამ აღმოაჩინა ბარათი, რომელშიც, როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, გადაკვრით ფულის მოთხოვნაზეა საუბარი. იმავე ბარათში დატოვებული იყო ადგილობრივი ტაქსოფონის ტელეფონის ნომერი, რომელზეც სნაიპერს უნდა დაერეკა. უცნობმა მართლაც დარეკა, თუმცა, გარკვევით არაფერი უთქვამს. პოლიციას ეს ბუნდოვანი საუბარი კვალის მიგნებაში ჯერ ვერაფრით დაეხმარა.

მკვლელი მსხვერპლს ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ირჩევს, რაზეც მის მიერ დახოცილი ადამიანების სიაც მეტყველებს:

2 ოქტომბერს, 18 სთ. 04 წთ. მოკლა ჯეიმს მარტინი, 55 წლის, სასურსათო მაღაზიის ავტოსადგომზე, მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოში;

3 ოქტომბერს, 7 სთ. 41 წთ. მოკლა ჯეიმს ბიუკენენი, 39 წლის, გაზონის კრეჭისას, მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოში;

3 ოქტომბერს, 8 სთ. 12 წთ. მოკლა ტაქსისტი პრენკუმარ ვოლეკარი, 54 წლის, ავტომანქანის საწვავით გაწყობისას, ასპენ ჰილში, რომელიც ასევე მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოშია;

3 ოქტომბერს, 8 სთ. 37 წთ. მოკლა სარა რეიმოსი, ფოსტის მახლობლად სილვერს სპრინგში, მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოში;

3 ოქტომბერს, 9 სთ. 58 წთ. მოკლა ენ ლევაის-რივერა, 25 წლის, ავტომანქანის წმენდისას, მონგტომერიში, მერილენდის შტატში;

3 ოქტომბერს, 21 სთ. 15 წთ, მკერდის არეში დაჭრა პასკალ შარლოტი, 72 წლის, ვაშინგტონში სეირნობისას;

4 ოქტომბერს, 14 სთ. 30 წთ. ზურგში დაჭრა 43 წლის ქალი, ვირჯინიის შტატის ქალაქ ფრედერიკსბურგიდან. ქალის სახელი ჯერჯერობით არ გაუმჟღავნებიათ. იგი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს;

7 ოქტომბერს, 8 სთ. 09 წთ. მკერდის არეში დაჭრა 13 წლის ბიჭი, როდესაც იგი მერილენდის შტატის ქალაქ პრინს ჯორჯში სკოლაში შესვლას აპირებდა. ბავშვი ჯერ კიდევ საავადმყოფოში იმყოფება;

9 ოქტომბერს, 20 სთ. 15 წთ. მოკლა დენ ჰეროლდ მაიერსი, 53 წლის, თავის არეში გასროლით, ვირჯინიის შტატის ქალაქ მანასასში;

11 ოქტომბერს 9 სთ. 30 წთ. მოკლა კენეტ ბრიჯესი, 53 წლის, ავტოგასამართ სადგურზე ზურგში გასროლით, ვირჯინიის შტატის ქალაქ ფრედერიკსბურგის მახლობლად;

14 ოქტომბერს, 21 სთ. 20 წთ. თავში გასროლით მოკლა გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელი, 47 წლის ლინდა ფრანკლინი, ავტოგასამართი სადგურის მაღაზიიდან გამოსვლისას;

19 ოქტომბერს, 20 სთ. დაჭრა მამაკაცი ავტოსადგომზე, რესტორნის მახლობლად, ვირჯინიის შტატში. დაჭრილი ჯერ კიდევ საავადმყოფოშია;

22 ოქტომბერს. 5 სთ. 54 წთ. 40 წლის ავტობუსის მძღოლი მკერდის არეში დაჭრა, ავტობუსიდან ჩამოსვლის დროს, გაჩერებაზე. დაჭრილი საავადმყოფოში საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

# კუჩმას ბედი უცხოელ ექსპერტებზეა დამოკიდებული

*უკრაინაში პოლიტიკური ვითარება, შეიძლება, კარდინალურად შეიცვალოს მას შემდეგ, რაც ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები უკრაინა-ერაყის სამხედრო თანამშრომლობის საქმეს ბოლომდე გამოიძიებენ.*

ლევან ღირსიაშვილი

უკრაინის უმაღლესმა სასამართლომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, გააუქმა. უმაღლესი სასამართლოს პრესმდივნის ლიანა შლიაპოშნიკოვას განცხადებით, უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, საქმე, ხელახალი განხილვის მიზნითა და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, კიევის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნოს.

15 ოქტომბერს კიევის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ იური ვასილენკომ უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. **"არ შეიძლება, პრეზიდენტი დიდი ხნის მანძილზე იყოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი. ბრალდებები უნდა გამოვიძიოთ,"** - განაცხადა ვასილენკომ. კუჩმას წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის თერთმეტი მუხლით იყო აღძრული. ერთ-ერთი ბრალდება ერაყისათვის "კოლჩუგას" ტიპის სარადარო დანადგარების მიყიდვაა. ამ საკითხის გასარკვევად კიევში ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები მუშაობდნენ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ მათ კიევში თავიანთი მისია დაასრულეს. უკრაინაში შეერთებული შტატების ელჩმა კარლოს პასკუალმა განაცხადა, რომ ცამეტი საერთაშორისო ექსპერტი აღნიშნულ საკითხზე მუშაობას ლონდონში გააგრძელებს. **"გამოკვლევის შედეგები, დაახლოებით, შვიდი-ათი დღის შემდეგ გახდება ცნობილი,". "ექსპერტებმა დიდ რაოდენობით დაგროვებული მონაცემები უნდა გადაამუშაონ და გაერკვნენ, არის თუ არა საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოძიება,"** - - განაცხადა ელჩმა.

უკრაინაში ვიზიტის დროს, რომელიც კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ბრიტანელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა მოინახულეს და დაათვალიერეს სამხედრო ქარხნები, გაესაუბრნენ საწარმოების თანამშრომლებს და სამხედრო ჩინოვნიკებს. ექსპერტებს უკრაინაში ჩატარებული სამუშაოს შედეგებზე, ჯერჯერობით, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. დამკვირვებლები მოუთმენლად ელიან ლონდონში ჩატარებული სამუშაოს დასკვნების გამოქვეყნებას, რამაც უკრაინის პოლიტიკური ვითარება, შეიძლება, კარდინალურად შესცვალოს.

ოპოზიციის მიერ პრეზიდენტისთვის წაყენებული არც ერთი ბრალდება ისეთი სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორც ამერიკელების მიერ კუჩმას სადამ ჰუსეინთან თანამშრომლობაში დადანაშაულება.

## ვაქცინა შემოვიდა!

ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლის მწვავე დეფიციტს დედაქალაქი, თითქმის თვეზე მეტია, განიცდიდა, როგორც იქნა, შემოვიდა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით თბილისის ანტირაბიულ სამსახურებს ვაქცინა უკვე დაურიგეს. წამალს მალე მიიღებს სადაზღვევო კომპანიაც, რომელიც მას ქვეყნის მასშტაბით გაავრცელებს.

## კიდევ ერთი მტკიცებულება

მეცნიერებმა იერუსალიმში აღმოაჩინეს მიცვალებულის, დაახლოებით, 2000 წლის კირის ურნა. ექსპერტთა აზრით, შესაძლოა, იგი იესო ქრისტეს არსებობის ყველაზე ადრეული მტკიცებულება გახდეს. ჩვენი წელთაღრიცხვით 63 წელს გარდაცვლილი ადამიანის ნეშტის ნარჩენებიან ამ ურნაზე გაკეთებული არამეული წარწერა გვამცნობს: "იაკობი, შვილი იოსებისა, ძმა იესოსი." იესო ქრისტეს დროს არამეულზე ლაპარაკობდნენ პალესტინაში მცხოვრები ებრაელები, ივრითი კი მხოლოდ სახელისუფლო დონეზე და რელიგიური მსახურებისას გამოიყენებოდა. აღმოჩენის ავტორი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრე ლემიერი მიიჩნევს, რომ ურნაში იესო ქრისტეს ძმის, იაკობის ნეშტია. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს ნაზარეველი იესოს არსებობის ფაქტს, აქამდე დაფიქსირებული არ ყოფილა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით დათარიღებული არც ერთი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული იესოსთან, მარიამისა და იოსების შვილთან. ექსპერტთა აღიარებით, ურნის სკრუპულოზური და წარწერის ლინგვისტური ანალიზი ნაპოვნის ხანდაზმულობას სავსებით ადასტურებს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე ქრისტეს დაბადებიდან 70-იან წლებამდე, მიცვალებულთა დასაკრძალავად ებრაელები ასეთ ჭურჭელს მართლაც იყენებდნენ.

**CNN**

## მოკლედ

**თბილისი.** 1000-დოლარიანი გრანტის მფლობელი 210 სკოლიდან მხოლოდ რამდენიმეს ჩაუტარდა კონსულტაცია და გრანტის მიზნობრივი ხარჯვის შესაძლებლობები განემარტა. კონსულტაციებს 100 პედაგოგ-მწვრთნელი ატარებს. ოქტომბერში მათ შესაბამისი წვრთნა გაიარეს. განათლების მუშაკთა პროფესიული განვითარების „A3 ქვეკომპონენტის" ხელმძღვანელის მარინა ჟვანიას განცხადებით, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, შიდა ქართლისა და თბილისის ორ-ორმა სკოლამ კონსულტაციები უკვე მიიღეს. კონსულტირების პირველი ეტაპი ოქტომბრის ბოლოს, მეორე - ნოემბერში, მესამე კი, სავარაუდოდ, დეკემბერში დასრულდება. 2003 წლის იანვრიდან, 210 სკოლას, რომელთა პროექტები შარშან მოიწონეს, 1000-დოლარიანი გრანტი გადაეცემა. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

**თბილისი.** ჭავჭავაძის გამზირზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გამო არქიტექტურის სამსახურს პასუხს სთხოვენ. გაერთიანებული დემოკრატების წევრის, პირველი მოწვევის საკრებულოს ფრაქცია "თბილისელის" თავმჯდომარის დავით ხუციშვილის განცხადებით, იგი არქიტექტურის სამსახურის მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხს ახალი საკრებულოს ამუშავებისთანავე დააყენებს. მისი თქმით, ცენტრალურ გამზირზე, მე-9 საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურის სამსახური ამტკიცებს, ნებართვა გაცემულიაო, მშენებლობა უკანონოა. ხუციშვილი აღშფოთებულია იმის გამო, რომ, მშენებლობის დაწყებისას, ამ ტერიტორიაზე მთლიანად მოიჭრა მწვანე ნარგავები. სახლს აშენებს ფირმა "ბილდერსი". მშენებლობა 2003 წელს უნდა დასრულდეს. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის ფედერალური სამინისტროს, გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს "კავკასიის ინიციატივის" პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში, სამ ქვეყანაში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მდინარე მტკვრის დაბინძურებისთვის პოტენციურად საშიში სამრეწველო საწარმოების ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის ახალი ტექნოლოგიები დაინერგება. პროექტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება მდინარე მტკვრის აუზში მოქმედი საწარმოებისა და დაბინძურების სხვა ობიექტებისთვის ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებაზე. პროექტის ღირებულება 400 ათასი ევროა. მისი განხორციელება 2003 წლის იანვრიდან დაიწყება და ოთხ წელიწადს გასტანს. ***ინტერ-პრესი.***




## მტკვარი გაერო-ს კვირეულის მონაწილე გახდა

*გაერო-ს დაარსებიდან ორმოცდამეჩვიდმეტე წელთან დაკავშირებით, თბილისში 17-24 ოქტომბრამდე ეწყობა გაერო-ს კვირეული. გუშინ დასრულდა საიუბილეო ღონისძიებებით გათვალისწინებული ერთ-ერთი აქცია - "დაასუფთავე მტკვრის სანაპირო". ორდღიან აქციაში მონაწილეობდნენ "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" წევრები, სკოლა-ლიცეუმი "დედის იმედი", თბილისის სხვადასხვა საშუალო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის გეო-ეკოლოგიური წრის მოსწავლეები. რიყეზე, "გურული ოდა" აქციის ორგანიზატორებსა და ჟურნალისტებს მასპინძლობდა.*

ირინე სანებლიძე



*ლანს კლარკი*



*თვალსაჩინოებით მოზარდებიც დაინტერესდნენ*

ამჟამად მდინარე მტკვრის სანაპიროზე ნაგავსაყრელები არ არსებობს, ზოგი მოასწორეს და მათ ადგილას გზები გაიყვანეს, ზოგიც უბრალოდ დახურეს. მტკვრის დაბინძურების საკითხი, საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეკოლოგიურ პრობლემათა შორის, ერთ - ერთი ყველაზე აქტუალურია. ოდესღაც სასმელი წყლის დანიშნულების მქონე მდინარე, დღეს კანალიზაციის დიდ კოლექტორს წარმოადგენს. ის, რაც მტკვრის ორივე სანაპიროზე ყოველდღიურად ადვილად შესამჩნევია, გაცილებით შთამბეჭდავი და შემზარავი აღმოჩნდა აქციის მონაწილეთა სამუშაო პროცესში გადაღებული და პრეს-კონფერენციაზე წარმოდგენილი ფოტოებით. მეტი სიმძაფრისა და ზემოქმედებისათვის, ექსპონატების სახით, წარმოდგენილი იყო აქციის მსვლელობისას მოგროვებული სიგარეტის კოლოფები, პლასტიკატის ბოთლები. ითქვა, რომ მტკვარში ჩამდინარე ძირითადი მდინარეები ღია საკანალიზაციო სისტემას წარმოადგენს, ხოლო მათი ხეობები - ნაგავსაყრელებს. მტკვრისა და მისი შენაკადების გაჭუჭყიანების დონე იზრდება და წყლის ხარისხი დღითიდღე უარესდება. მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა მცირდება, ჩამდინარე წყლები მაინც რჩება მტკვრის აუზის ძირითად გამაჭუჭყიანებლად. ნავთობპროდუქტები, ამონიუმის აზოტი, ორგანული ნივთიერებები, მძიმე ლითონების იონები წყალსატევებში ჩაედინება გამწმენდი ნაგებობების გავლის გარეშე, ან იწმინდება მექანიკურად.

პრეს-კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" თანათავმჯდომარე და აქციის სხვა მონაწილეები. ერთ-ერთმა მონაწილემ ისიც კი აღნიშნა, რომ ბავშვები 20 წუთის განმავლობაში საშუალოდ, 100კგ-მდე ნაგავს აგროვებდნენ.

პრეს-კონფერეცია-პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოში გაერო-ს კოორდინატორი ლანს კლარკი. მან აღნიშნა, რომ გაერო-მ აქციის მსვლელობას მხოლოდ დახმარება გაუწია; ინიციატივა კი თითოეული ქართველისგან უნდა მოდიოდეს, თითოეულმა ქართველმა უნდა იზრუნოს საქართველოს ბუნებასა და ეკოლოგიაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მტკვრის დაბინძურების პრობლემამ საგანგაშო ხასიათი მიიღო და აუცილებელი გახდა სახელმწიფო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორების მხრიდან გადაუდებელი ღონისძიებების გატარება, საქართველოში არსებულმა შვიდმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თბილისის მერის სახელზე მოამზადა პეტიცია. ცხრაპუნქტიანი მოთხოვნები ბატონ ვანო ზოდელავას, სავარაუდოდ, დღეს გადაეცემა.

## მარილმოყრილი მადლი

### საქართველო იოდიანი მარილის წარმოებას იწყებს

*2003 წლიდან საქართველო იოდიანი მარილის წარმოებას დაიწყებს. გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, ამ თვეებში ბათუმში მარილის იოდიზირების სამრეწველო ხაზი დამონტაჟდება. მისი წლიური წარმადობა 1000 ტონაა, საქართველოს კი, როგორც საკვებად, ისე მეცხოველეობისთვის, წელიწადში სულ 45 ათასი ტონა მარილი ესაჭიროება. თუ აქაურმა მეწარმეებმა მარიფათი გამოიჩინეს, შეიძლება, ჩვენმა ქვეყანამ იოდიანი მარილის ექსპორტიორობასაც კი გამოჰკრას ხელი.*

მაკა ჯაიანი

ეს ადვილი საქმე არ იქნება. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ზედ ჩვენს მეზობლად იოდიანი მარილის განთქმული მწარმოებელი სომხეთია. მისი სუფრის, აწ უკვე იოდით შეზავებული მარილი საქვეყნოდაა ცნობილი. ამ გზით მოპოვებულ სახელსა და ფულს სომხები ისე უფრთხილდებიან, რომ ნახევარი წლის წინათ უყოყმანოდ დაარღვიეს საერთაშორისო სავაჭრო კანონები და ირანიდან მომავალ, მიწაგარეული მარილით დატვირთულ მანქანებს გზაც კი გადაუკეტეს. საექსპორტოდ გამზადებულ მარილში ირანელებს მიწა სპეციალურად არ გაურევიათ. მათთან მარილი ყველაზე იაფად ტბების ფსკერიდან მოიპოვება. იქ კი, მოგეხსენებათ, მიწაც არის. ასე "გაზავებული" მარილით ირანი წლების განმავლობაში ამარაგებდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრებს.

ახლა ამ ქვეყნებმა მას უარი უთხრეს. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანმა სპეციალური კანონი მიიღო და ქვეყანაში მხოლოდ იოდიანი მარილის წარმოებასა და რეალიზებას დაუჭირა მხარი. ასეთ მარილს აზერბაიჯანი აწარმოებს კიდეც, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, დაბალხარისხიანს. ახლომახლო იოდიან მარილს უკრაინელებიც აწარმოებენ. მათი მარილი აზერბაიჯანელებზე უკეთესია, მაგრამ სომხებისას ვერ შეედრება, თუმცა, თითქმის ნახევარჯერ იაფი ღირს. სომხური იოდიანი მარილი 30 თეთრამდე ჯდება, უკრაინულს კი აქ ჩამოგიტანენ და კილოგრამში მხოლოდ 19 თეთრს გადაგახდევინებენ. ქართული ანალოგი, ხელშეკრულების მიხედვით, 20 თეთრზე ძვირი არ უნდა იყოს.

ეს ის ხელშეკრულებაა, რომელიც სახელმწიფოსა და იმ შპს-ს შორის გაფორმდება, რომელიც ახალ წლამდე დამონტაჟებული ხაზის ექსპლუატაციას აიღებს ხელში. მინისაწარმოს მოწყობილობა უკვე გზაშია. საქართველოში ჩამოვა ორი რეფერენს-ლაბორატორიაც - ერთი საკუთრივ საწარმოში, მეორე კი საქართველოს ნებისმიერ სხვა წერტილში. მათი საშუალებით, მეწარმეები და დამოუკიდებელი ექსპერტები მარილის იოდიზირების ხარისხს შეამოწმებენ. შესაძლებელია, პირველ ჯერზე გაერო-ს ბავშვთა ფონდმა მარილიცა და იოდიც საკუთარი სახსრებით შემოგვიტანოს. უკრაინელებთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. შეიძლება, ამ ერთხელ, მათ მარილი იაფადაც დაგვითმონ, მაგრამ მერე ეს ნაკლებ მოსალოდნელი იქნება.

ეს მეორე მიზეზია იმისა, რამაც, შეიძლება, იოდიანი მარილის მწარმოებლობა საქართველოში ადგილობრივი მოთხოვნების დონეზე დატოვოს. მარილი, როგორც ასეთი, ჩვენ არ მოგვეპოვება. საუკეთესო ვარიანტში, მისი ყიდვა უკრაინისგან შეიძლება. უკრაინა თავადაა იოდიანი მარილის მწარმოებელი და, როგორი კარგი მეზობელიც უნდა იყოს, საკუთარი შემოსავლის წყაროს არ დააზარალებს. შანსი მაინც არსებობს. თუ კარგი ხარისხის მარილი ვაწარმოეთ, გამორიცხული არ არის, მისით აზერბაიჯანი დაინტერესდეს. ყველაფერი ეს მიუღწეველიც რომ დარჩეს, გაერო-ს ბავშვთა ფონდის ამ პროექტის მთავარ მიზანს, მოსახლეობის იოდიანი მარილით უზრუნველყოფას, მაინც უნდა მივაღწიოთ.

ეს აქამდეც უნდა მიგვეთვალა მიღწეული მიზნებისათვის, მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ ბრძანებულებებითა და განკარგულებებით შემოიფარგლა, საქართველოში მხოლოდ იოდიანი მარილი უნდა შემოდიოდეს და სავაჭრო ქსელში მხოლოდ ასეთი მარილი უნდა იყიდებოდესო, განაცხადა და მერე, ამ დანაპირების შესრულებისთვის თითიც არ გაუნძრევია. სამაგიეროდ, წვრილმა თუ მსხვილმა კომერსანტებმა იხეირეს. მსუბუქად დაბეგრილი იოდიანი მარილის სახელით, ქვეყანში ჩვეულებრივი მარილი შემოიტანეს და, საგადასახადო შეღავათის მიუხედავად, ჩვეულებრივ მარილზე ძვირად ჰყიდეს. დღემდე ასე გრძელდება. ყველამ იცის, რომ ეს ასეა, მაგრამ სიტუაციის გამოსწორებას არავინ ეშურება. რატომ? - შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ.

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ იოდიანი მარილი ჩიყვის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა; რომ იოდდეფიციტს, რომელიც საქართველოსთვის ჯერ კიდევ რჩება პრობლემად, მხოლოდ იოდიანი მარილით თუ მოვერევით, მაგრამ ხარისხიანი იოდიანი მარილის შოვნა აქ ისევ შეუძლებელია. ამ დროს სახელმწიფო კანცელარიაში კვლავ განუხილავად დევს "იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა ლიკვიდაციის შესახებ კანონი", რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მოუძებნიდა. პოლიტიკური პრობლემებით ზედმეტად გადატვირთულ სახელმწიფო კანცელარიაში მიზეზი ამ კანონპროექტის დაყოვნების თაობაზე ადვილად მოეძებნებათ. რაც შეეხება ნამდვილ მიზეზებს, მათ შესახებ ხალხი საუბრობს და ამას ერთ სახელს არქმევს - მთავრობის უხერხემლობას.

## ჩხარტიშვილს შვილის ქორწილში დაუპატიჟებლადაც ესტუმრებიან

*გუშინ გაერთიანებული ქართული ბანკის მეანაბრეებმა სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია მოაწყეს. აქციის მონაწილეები ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვანო ჩხარტიშვილისგან მათი კუთვნილი თანხების უკან დაბრუნებას მოითხოვენ. ეკონომიკის ექსმინისტრს მეანაბრეები 997 ათასი ამერიკული დოლარის მითვისებაში ადანაშაულებენ.*

ეთერ მამულაშვილი

ორი წლის წინ გაერთიანებული ქართული ბანკის საბურთალოს ფილიალში მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა სხვადასხვა რაოდენობის თანხა შეიტანა. მაშინ სავალუტო განყოფილების უფროსი ზურაბ ახალბედაშვილი იყო, რომელიც მეანაბრეებთან ხელშეკრულებების გაფორმებას აწარმოებდა. გასული წლის ოქტომბერში, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო, ახალბედაშვილმა თავი მოიკლა. ნოემბერში კი ბანკის მმართველი ნიკა მაჩაიძეც მოკლეს. "როცა ბანკში მივედი და კუთვნილი ფულის უკან დაბრუნება მოვითხოვე, უარით გამომისტუმრეს. ჩვენთან შენი ფული არ არის აღრიცხულიო. ბანკის სათაო ოფისში მითხრეს: ფული იმას უნდა მოსთხოვო ხელშეკრულება ვინც გაგიფორმაო, მკვდარ კაცს რა უნდა მოვთხოვო?!", - გვითხრა ერთ-ერთმა მეანაბრემ. დაახლოებით იგივე ამბავს ყვება ორმოციოდე მეანაბრე, რომლებმაც ადვოკატის დახმარებით გასული წლის ოქტომბერში სარჩელი სასამართლოში შეიტანა.

გაერთიანებულ ქართულ ბანკსა და მის მეანაბრეთა ერთ ნაწილს შორის სასამართლო პროცესები ზუსტად ერთი წელია, გრძელდება. უკანასკნელად საქმე საოლქო სასამართლომ განიხილა და მეანაბრეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სექტემბერში მოსარჩელეებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს.

სახელმწიფო კანცელარიის წინ მოტყუებული მეანაბრეები, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და უზენაესისგან სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ. "საოლქო სასამართლომ ჩვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა აბსურდული მოტივით ახსნა. მოსამართლემ გვითხრა, რომ მეანაბრეების მიერ შეტანილი თანხა ბანკში არ ირიცხებოდაო. სისულელეა იმის მტკიცებაც, რომ თითქოს ბანკში არ იცოდნენ, რას საქმიანობდა გარდაცვლილი, რადგან ახალბედაშვილი ბანკის სახელით 1996 წლიდან მოქმედებდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩხარტიშვილი და ახალბედაშვილი შეთანხმებულად მოქმედებდნენ", - გვითხრა მეანაბრეების ადვოკატმა ეკა ბესელიამ. ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ისინი პროცესს უზენაესშიც წააგებენ, რადგან "მაქვს ინფორმაცია, რომ ჩხარტიშვილმა უკვე მიიღო მოსამართლისგან საქმის მოგების გარანტიები", - აცხადებს ბესელია. მოსარჩელეთა ბოლო იმედი სტრასბურგის სასამართლოა.

აქციის მონაწილეებს გუშინ სახელმწიფო კანცელარიიდან მოქალაქეთა მიღების სამსახურის უფროსი ლია სუხიშვილი გამოეხმაურა. მან მეანაბრეებს აუხსნა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოა და მის საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ კანცელარიის წინ შეკრებილებს ამის გაგება არ სურდათ.

"მე და ჩემი ოთხი შვილი დღეს ჩხარტიშვილის წყალობით ნაქირავებ ბინაში გაჭირვებით ვცხოვრობთ. გავიგეთ, რომ 3 ნოემბერს ჩხარტიშვილის გოგოს რესტორან "არაგვში" აქვს ქორწილი. დღეს ვინც ვართ აქ, ყველა წავალთ სამში ქორწილში და ყურადღების მოქცევას მოვითხოვთ. სხვა გზა ჩვენ აღარ დაგვრჩენია", - ფარხმალს არ ყრის ლეილა მაზიაშვილი.

# პანკისის ხეობაში ახალი სპეცოპერაციები იგეგმება

პირველი გვერდიდან

– ასეთი შეფასებები მისცეს მაშინ ძალოვნებმა ოპერაციის დასრულებულ აქტიურ ფაზას. ანტიკრიმინალური ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულებასთან ერთად, შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთი თვის წინ ოპერაციაში სამხედრო კომპონენტის მონაწილეობაც დასრულებულად გამოაცხადა. თუმცა, ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაცია ერთი თვის თავზე ისევ განახლდა - თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტს კვლავ მოუწევს პანკისურ ოპერაციაში ხელახლა ჩართვა.

ერთი სიტყვით, პანკისის ხეობაში ძალოვან უწყებათა სპეცღონისძიებები ახალ ფაზაში შედის და როგორც გუშინ შეკრებილი და მოთათბირე ძალოვნები აცხადებდენ, არ დასრულდება მანამ, სანამ ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორიები შეიარაღებული პირებისა და კრიმინალებისგან მთლიანად არ გაიწმინდება.

**"ეს იქნება განსხვავებული სპეციფიკის ღონისძიებები. არ არის გამორიცხული, რომ იგი კიდევ უფრო აქტიური იყოს, ვიდრე ერთი თვის წინ დასრულებულად გამოცხადებული ოპერაცია,"** - ასეთია გუშინ თელავის სამხარეო პოლიციის შენობაში შეკრებილ ძალოვანთა გეგმა. თუმცა, რა იგულისხმება სპეცოპერაციის კიდევ უფრო გააქტიურებაში, სამართალდამცველები, ჯერჯერობით, განმარტებებისგან თავს იკავებენ, თან აცხადებენ, რომ არაფერი განსაკუთრებული და ახალი არ ხდება. მათი თქმით, უბრალოდ, ხეობაში კიდევ არიან კრიმინალები და ძებნილები, ორი თვის წინ დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაცია კი ბოლომდეა მისაყვანი.



შს და უშიშროების მინისტრები სპეცოპერაციებისთვის ემზადებიან

**"ამ შემთხვევაში, იგულისხმება ხეობის მთელი ტერიტორიის, მათ შორის, მთის ტყიანი მასივების გაწმენდაც,"** - ასეთია სამართალდამცველთა პასუხი.

თუკი ერთი თვის წინ, ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულებისას, ძალოვნები აცხადებდნენ, რომ ხეობა მთლიანად გაწმენდილი იყო უცხო ქვეყნის ბოევიკებისგან, უკვე მესამე დღეა, თავად ავრცელებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიარაღებული ჯგუფები კვლავ გამოჩნდნენ ხეობაში და პანკისის ტყეებს აფარებენ თავს.

უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, საუბარია, დაახლოებით, სამოცკაციან ჯგუფზე, რომელთა შორის, შესაძლოა, ტერორიზმსა და სხვა დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირებიც იყვნენ. უცხოური საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქართულმა სპეცსამსახურებმა "ალ ქაიდას" დაჯგუფების ორი მეთაური აშშ-ს გადასცეს, ათი არაბი ტერორისტი გააუვნებელყვეს და კიდევ 30 უნდა დააკავონ, ქართულმა ოფიციალურმა წყაროებმა გუშინ კატეგორიულად უარყვეს.

**"განსხვავებული სპეციფიკის ღონისძიებებში ოთხი ძალოვანი უწყების - საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას,"** - ასეთი ერთნაირი შინაარსის კომენტარი მოგვცეს ოთხივე უწყებაში. თუმცა, კონკრეტულად რას მოემსახურება განსხვავებული სპეცღონისძიებები – მძევალთა გათავისუფლებას, კრიმინალთა, ძებნილთა და ბოევიკთა განდევნა-ლიკვიდაცია-დაკავებას თუ, უბრალოდ, ხეობაში წესრიგის დამყარებას, როგორც უკვე ითქვა, ძალოვნები ამას, ჯერჯერობით, მკაცრად ასაიდუმლოებენ.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში დამატებითი ძალების შეყვანას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, "ახალ ფაზაში შესული სპეცოპერაციებისთვის, ხეობაში საკმარისი ძალებია და არანაირი დამატებითი რესურსის საჭიროება არ არის."

თუმცა, შესაძლებელია, ხეობის მისადგომებთან განლაგებულ სამხედრო ბანაკში მიმდინარე საშტაბო-სამეთაურო სწავლება "კახეთი-2002", რომლის საზეიმო დახურვაც სამ დღეში იყო დაგეგმილი, პანკისური სპეცღონისძიებების განახლების გამო, გარკვეული პერიოდით კვლავ გაგრძელდეს.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ, ოპერატიული მონაცემების საფუძველზე, ხეობაში დილით ნარკოტიკების რეალიზაციისთვის კიდევ ერთი ძებნილი დააკავეს. მის სახელსა და გვარს სამართალდამცველები გუშინ გვიან ღამემდე არ ამხელდნენ, თუმცა არ დაუმალავთ, რომ ის ადგილობრივი ქისტია. "მის ვინაობას, ჯერჯერობით, შეგნებულად არ ვამხელთ, რადგან მის მიმართ უკვე სხვა ბრალდებებიც იკვეთება. არ გვინდა, გამოძიებას ხელი შევუშალოთ", - გვითხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა პაატა გომელაურმა.

ერთი სიტყვით, თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ, პანკისის ხეობაში კიდევ მრავალი კრიმინალის, ძებნილისა და ბოევიკის დაკავება იგეგმება.

## კრიმინალური ქრონიკა

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ნოდარ დალაქიშვილი არ ადასტურებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობო ძალების სარდლის ვასილი პრიზემლინის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც რეგიონში ახლად გახსნილ ბლოკ-საგუშაგოებზე ინციდენტები ხდება.

პრიზემლინის თქმით, "ადგილობრივი ქართველები აცხადებენ, რომ პოლიციელები გადაადგილებისათვის ფულს ითხოვენ და ორშაბათს ერთ-ერთ საგუშაგოზე ჩხუბიც მოხდა".

“ბლოკ-საგუშაგოების გახსნიდან დღემდე მოსახლეობის მხრიდან საჩივრები არ მიგვიღია და არც რაიმე ინციდენტი დაფიქსირებულა. ადგილობრივი მოსახლეობა რეგიონში კრიმინოგენული სიტუაციის მოგვარების მიზნით დაწყებულ ღონისძიებებს სრული გაგებით ეკიდება,” – ამბობს ნოდარ დალაქიშვილი.

ბლოკ-საგუშაგოების გახსნის შემდეგ, სამართალდამცავებმა რეგიონში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ძებნილი ოთხი პირი დააკავეს. პოლიციის უფროსის ინფორმაციით, საგუშაგოების მიმდებარე ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა კრიმინალთა გადაადგილება.

ეს ის ტერიტორიებია, რომლებსაც კრიმინალები მიმოსვლისათვის აქტიურად იყენებდნენ, კერძოდ, გატაცებული ავტომანქანების გადასაყვანად.

გართულებული კრიმინოგენული სიტუაციის გამო, შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის გადაწყვეტილების საფუძველზე, შიდა ქართლის ტერიტორიაზე შინაგანი ჯარისა და პოლიციის ერთობლივი ბლოკ-საგუშაგოები გასული კვირის ხუთშაბათს გაიხსნა. .

“ჯერჯერობით, სხვა რაიმე დამატებითი ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის, ადგილობრივი სამართალდამცავები სიტუაციას აკონტროლებენ, ხოლო ავტომაგისტრალებზე გაძლიერებული სადღეღამისო პატრულირება ხორციელდება”, - ამბობს სამხარეო პოლიციის უფროსი. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**შიდა ქართლი.** შიდა ქართლის მხარეში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაციის მიმდინარეობისას, 16-20 ოქტომბერს სამართალდამცავებმა სამი ძებნილი დააკავეს.

როგორც „მედია-ნიუსს“ შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსმა ბესო გიორგაშვილმა აცნობა, დაკავებულთაგან სამივე შიდა ქართლის მცხოვრებლები არიან. ისინი ხულიგნობისა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებით იძებნებოდნენ. დაკავებულები გამოძიებას გადასცეს.

გიორგაშვილის ინფორმაციით, 5 დღის განმავლობაში ამოღებულია იარაღი, მათ შორის, გადაჭრილი თოფი, მცირეკალიბრიანი შაშხანა, კარაბინი.

გიორგაშვილის ინფორმაციით, პოლიციის სამმართველოში თბილისიდან ექვს გატაცებულ მანქანაზე იყო შეტყობინება შესული, მათ შორის, ორი დაკავებულია. დანარჩენი ოთხი გატაცებული მანქანის ადგილსამყოფელი უცნობია.

კრიმინალური პოლიციის უფროსის თქმით, 16-20 ოქტომბერს შიდა ქართლში დანაშაულის 27 შემთხვევა გამოვლინდა, აქედან 23 გაიხსნა. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**გურჯაანი.** მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის კონტროლის სამსახურმა კახეთში კონტრაბანდული გზით ხორბლის საწამლავის შეტანის ფაქტი გამოავლინა.

როგორც დეპარტამენტის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ქიმიკატი ადამიანებში კიბოსა და სისხლის გათეთრებას იწვევს. გრანადოლით მოწამვლის შემთხვევაში, ექიმებს დიაგნოზის დადგენაც კი უჭირთ. ეს პრეპარატი ხმარებიდან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ამოიღეს, რადგან იგი ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ”გაოგნებული ვართ, როგორც მოხდა ამ პრეპარატის შემოტანა რეგიონში,” - აცხადებს დეპარტამენტის კონტროლის სამსახურის უფროსი მალხაზ ქაჯაია.

მისივე ინფორმაციით, კახეთში 20 ტონა გრანადოლია შეტანილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კახეთის სამხარეო ადმინისტრაციასა და მცენარეთა დაცვის დეპარტამენტთან ერთად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც შემომტანის ვინაობას იკვლევს. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ დააკავა 19 წლის რაიბულ გუდაძე, გიორგი კვარაცხელია და ნოდარ ირემაძე, რომლებმაც ურთიერთშელაპარაკებისას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს 22 წლის კახა კაკაბაძეს, ხოლო გუდაძემ დანით მუცელში დაჭრა იგი.

საქმეს პროკურატურა იძიებს. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**საჩხერე.** ძებნის სამმართველოსა და საჩხერის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობის, იარაღის უკანონო ტარების, ავტოტრანსპორტის გატაცებისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვისათვის საჩხერის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 27 წლის ნოე სადუნიშვილი. იგი 1995 წლის 14 ნოემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ სააკაძის გზაზე, თანამზრახველებთან ერთად, ყაჩაღურად დაესხა თავს ვინმე ეპიტაშვილს და იარაღის მუქარით მოსტაცა ავტომანქანა, რომელიც სოფელ ვახტანგისში ნარკოტიკულ ნივთიერებაზე გადაცვალა. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვის მახლობლად ავსტრალიის მოქალაქის მკვლელობის საქმე გაიხსნა. მკვლელები აღმოჩნდნენ ორი ქართველი მამაკაცი და ორი ქალი - ერთი - ლვოვის, მეორე კი - მოსკოვის ოლქებიდან. ამის შესახებ იუწყება „NTV.PU“, მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოზე დაყრდნობით. მკვლელობა 7 ოქტომბერს სასტუმრო „შერემეტიევო-2“-ის საცხოვრებელ ნომერში მოხდა. ავსტრალიის მოქალაქის, 55 წლის ჰაგის პიტერ ჟულიანის გვამს გაგუდვის კვალი აღენიშნებოდა.

მილიციამ დაადგინა, რომ ავსტრალიელი გაქურდვის მიზნით მოკლეს. წაღებულია 800 დოლარი, პირადი ნივთები და საიუველირო ნაწარმი. მილიციის თანამშრომლებმა უკვე დაადგინეს მკვლელების ვინაობა და დააკავეს ისინი. **"მედია-ნიუსი"**

## მაგალითი

# პოლიციელთა ძალადობას კანონი დაუპირისპირდა

ინგა ალავიძე

სამოქალაქო კონტროლისადმი პოლიციის საქმიანობის დაქვემდებარების პირველი პრეცედენტი აშშ-ში 1950 წელს შეიქმნა. თავდაპირველად ამერიკელთა დიდი ნაწილი ამ სამოქალაქო იდეისადმი საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი. ფიქრობდნენ, რომ მათ საჩივრებს სამართალდამცველები ზედაპირულად განიხილავდნენ. ამიტომაც გადაწყდა, რომ საჩივრებზე, პოლიციის მოხელეთა ნაცვლად, თავად მოქალაქეებს ემსჯელათ. ზუსტად 20 წლის შემდეგ, ამერიკის დიდი ქალაქების პოლიციის დეპარტამენტებში, ეფექტურად მოქმედებდა პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების სამოქალაქო განხილვის სისტემა. 70-იან წლებში ამ სისტემამ - პოლიციაზე სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოებმა - მთელი აშშ დაიპყრო. სამოქალაქო ზედამხედველობის კომისიები პოლიციის მუშაობას უმკაცრეს რევიზიას უტარებენ. ბევრ შტატში მოსახლეობამ კანონზე დაყრდნობით თავად დაუდგინა კანონდამცველებს მოქმედების ნორმები. მკაცრად განუსაზღვრა ხელკეტის გამოყენებისა და მოსახლეობასთან მოპყრობის წესები. მეტიც, ამერიკელები ყოველდღიურად დადიან სამორიგეოდ პოლიციელთა მუშაობის შესამოწმებლად და კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მკაცრ რეაგირებას ახდენენ. პოლიციის ზედამხედველი კომისიების ერთ-ერთი სერიოზული ნამუშევარია გახმაურებული დრამა - როდნი კინგის საქმე. ამერიკელი ზანგის, როდნი კინგის, ამბავმა ამერიკის სასამართლო ისტორიაში რევოლუცია მოახდინა. 1992 წელს, ლოს-ანჯელესში, პოლიციის ორი ოფიცრის მიერ სასტიკად ნაცემი კინგი პოლიციელთა ძალადობას დაუპირისპირდა.

ტაქსის შავკანიანი მძღოლის საქმეს ლოს-ანჯელესში სერიოზული არეულობა მოჰყვა. აჯანყებულ შავკანიან მოსახლეობას თეთრკანიანმა ამერიკელებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს. “პოლიციის განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს”, - მსგავსი შინაარსის ლოზუნგებით შეიარაღებული ამერიკელები როდნი კინგს გვერდით დაუდგნენ. საზოგადოების მოთხოვნით, მოძალადე პოლიციელები სამსახურიდან “მგლის ბილეთით” დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს. კინგის საქმე სამოქალაქო ზედამხედველობის კომისიებმა უმკაცრეს კონტროლზე აიყვანეს. ჩვეულებრივი ამერიკელი მოქალაქის მიერ ვიდეოკამერით გადაღებული, პოლიციელთა კინგზე თავდასხმის სცენა გამრავლდა და ხელიდან ხელში გადადიოდა.

ამერიკის სამართლებრივი ცხოვრებიდან მსგავსი პრეცედენტების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც იმის დასტურია, რომ ამერიკელებს არ ეზარებათ საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და ღირსების დაცვა.

ქართულ სინამდვილეში მოქალაქეთა მიერ სამოქალაქო უფლებების დაცვის პრეცედენტებს იშვიათად, მაგრამ მაინც შევხვდებით. **“უბრალოდ, ვთვლი, რომ ჩემი ღირსების შელახვის უფლება არავის აქვს, მით უმეტეს, პოლიციელს, რომელიც ხელფასს ადამიანის დაცვაში იღებს. ამიტომაც ინციდენტის მოხდენისთანავე გადავწყვიტე, რომ პოლიციელები, რომლებმაც შეურაცხყოფა მომაყენეს, აუცილებლად უნდა დასჯილიყვნენ,”** – ამბობს კანონდამცველთა მიერ შეურაცხყოფილი ქალბატონი.

ინციდენტი მაია აბესაძესა და შსს-ს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის რამდენიმე თვის წინ მოხდა. ერთ-ერთ უწყებაში მისულ ქალბატონს დაცვის თანამშრომელმა კარი ცხვირწინ უხეშად მიუხურა: შესვენება დაიწყო, აქ არაფერი გესაქმებაო. **“არადა, შესვენების დაწყებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი, რაც ძალიან მშვიდად ვაცნობე პოლიციელს. პასუხად: გაიწიე, გადი, გადიო და მუჯლუგუნიც მივიღე. რა თქმა უნდა, არ დავემორჩილე, მან კი ისევ მითავაზა, თან ლანძღვა-გინებაც მოაყოლა. ამასობაში მისი უფროსი მოვიდა და სიტუაციაში გარკვევის შემდეგ ამაყად მიპასუხა, ჩვენ უცხოეთს ვემსახურებით, შესაბამისად, უცხოეთის დროით ვმუშაობთო. როცა ვინაობის დამადასტურებელი საბუთი მოვითხოვე, უფროს-უმცროსმა ერთდროულად შემომიტიეს. მოკლედ რომ გითხრათ, სერიოზული შეურაცხყოფა მომაყენეს. როცა შსს-ს მივმართე განცხადებით, ისიც იკადრეს, რომ თავდამსხმელად გამომიყვანეს, მოგვივარდა, საცემრად იწევდა და თავი დავიცავითო,”** – გვიყვება დაზარალებული, რომელმაც მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საჩივრით მიმართა შსს-ს გენერალურ ინსპექციას. გენერალურ ინსპექციაში მომხდარი ფაქტი ერთი თვე იკვლიეს და გადაწყვეტილება მას შემდეგ გამოიტანეს, როცა მიხვდნენ, რომ დაზარალებულ ქალბატონს პრინციპულ მოთხოვნას ვერ შეაცვლევინებდნენ. საბოლოოდ, შსს-ს ვერდიქტით, ერთი პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვეს, მეორეს კი საყვედური გამოუცხადეს. **“აუცილებლად მივაღწევდი იმას, რომ დამნაშავე პოლიციელებს პასუხი ეგოთ. ეს არ ყოფილა ამოჩემება, არც ის მინდა, რომ ამ ამბის შესახებ რაიმე დაიწეროს, ამიტომაც არ ვასახელებ იმ პოლიციელების ვინაობას, რადგან ჩემთვის მიღწეულ შედეგს აქვს მნიშვნელობა. ვფიქრობ, თუ მოქალაქეები საკუთარი შელახული უფლების დაცვას არ დაიზარებენ, ძალადობას კანონს დაუპირისპირებენ და კანონდამრღვევ კანონდამცველებს პასუხს მოსთხოვენ, სამართალდამცველთა ძალადობის ფაქტები შემცირდება, პოლიციელებიც ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ ფორმა და იარაღი მოსახლეობის დასაშინებელი ატრიბუტები არ არის,”** – აცხადებს მაია აბესაძე.

## დანაშაული და სამართალი

# გაასამართლეს "თიბისი ბანკის" მძარცველები

*ერთი წლის წინ ჩადენილი ჯგუფური მძიმე დანაშაულისთვის მართლმსაჯულებამ თავდამსხმელებს: გოდერძი ჭაავას - 12-წლით, კახა ჭედიას - 14-წლით, ხოლო გურამ გვაგვალია 13 წლით პატიმრობა არგუნა. ჯგუფურ დანაშაულში მონაწილე მეოთხე პიროვნებაზე კი კვლავ ძებნაა გამოცხადებული. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გასაღება; ავტომანქანის უკანონოდ დაუფლება, პიროვნებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა; ყაჩაღობა; იარაღის უკანონოდ დაუფლება; წინააღმდეგობა, მუქარა და ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ - ამ მრავალრიცხოვანი და მძიმე ბრალდებების გამო გაასამართლა უზენაესმა სასამართლომ ბორჯომში “თიბისი ბანკის” ფილიალის მძარცველთა ჯგუფის სამი წევრი.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2002 წლის იანვარში გოდერძი ჭაავა, კახა ჭედია და გურამ გვაგვალია დაუკავშირდნენ ამჟამად ძებნაში მყოფ პიროვნებას და ბანკის გაძარცვის გეგმა შეიმუშავეს. წინასწარ შეიძინეს: ორი ავტომატი, ერთი “ნაგანი” ერთი “შმაისერის” სისტემის პისტოლეტი და ხელყუმბარები. 2001 წლის 2 თებერვალს, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ჭაავა, ჭედია და ძებნილად გამოცხადებული, ჯერ დაუდგენელი პიროვნება დილის ცხრა საათზე ჩანთაში ჩაწყობილი იარაღით, საბრძოლო მასალითა და ტყვიაგაუმტარი მინის ჩასამტვრევად მომზადებული უროთი ბორჯომის ცენტრში შეიკრიბნენ. კახა ჭედიამ ტაქსი დაიქირავა და მძღოლს პლატოს მიმართულებით წაყვანა მოსთხოვა.გზაში, მგზავრებმა მძღოლს– ალექსანდრე გასიტაშვილს გაჩერება უბრძანეს. მას ძალის გამოყენებით აუკრეს პირი, გათოკეს, ჩააგდეს საბარგულში და მივიდნენ სასტუმრო “თბილისთან”, სადაც გურამ გვაგვალია ელოდებოდათ. ჯგუფის წევრებმა ავტომანქანაში იარაღი გაინაწილეს, ნიღბები გაიკეთეს, ჩაიცვეს ხელთათმანები და “თიბისი ბანკის” ფილიალში შეიჭრნენ, სადაც მოკვლის მუქარით განაიარაღეს პოლიციელები: მერაბ ნოზაძე და ოთარ მახარაშვილი. ორივეს სკოტჩით შეუკრეს ხელ-ფეხი, დააწვინეს იატაკზე და რამდენჯერმე გამაფრთხილებლად გაისროლეს. ყაჩაღებმა უროს საშუალებით ჩაამსხვრიეს სალაროს ტყვიაგაუმტარი მინა. 7 112 ამერიკული დოლარი, 1894 ლარი და ბანკის თანამშრომლის, ლალი ბლიაძის, 320 ლარად ღირებული ბეჭდები – ეს ის ნადავლია, რომლითაც მძარცველებმა ჩანთა გაავსეს და რასაც პოლიციელებისთვის წართმეული ორი ავტომატი და “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტიც დაუმატეს.

შენობიდან გამოსული ყაჩაღები გატაცებულ ავტომანქანაში ჩასხდნენ და “სილამაზის ხიდის” მიმართულებით გაემართნენ. რამდენიმე წუთში მათ პოლიციის ოპერატიული ჯგუფის წევრები წამოეწივნენ, რომლებიც თავდამსხმელთა გაჩერებას ცდილობდნენ. გამტაცებლები სამართალდამცველებს არ დაემორჩილნენ და მათ ცეცხლი გაუხსნეს. მიუხედავად ხანგრძლივი ორმხრივი სროლისა, ბანკის მძარცველებმა მაინც გააგრძელეს მოძრაობა და თან ორი ხელყუმბარაც ააფეთქეს, რის შედეგადაც საბარგულში დამწყვდეულმა მძღოლმა სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო. **“უცნობმა ოთხი ლარის საფასურად მთხოვა პლატოზე წაყვანა. ცოტა ხანში, კლიენტის მოთხოვნით, მანქანაში კიდევ ორი პიროვნება ჩაჯდა. ერთ-ერთს ხელჩანთა ჰქონდა, საიდანაც იარაღის ჟღარუნი ისმოდა. იარაღის მუქარით მანქანიდან გადმომიყვანეს, გამკოჭეს და საბარგულში ჩამაგდეს. თან მითხრეს – მანქანა ორი-სამი საათით გვჭირდებაო. ამის შემდეგ რამდენიმე ადგილზე გაჩერდნენ. შემომესმა სროლის და აფეთქების ხმა, ვიგრძენი, რომ ხელის მტევანი მომწყდა. მეორე აფეთქების შემდეგ საბარგულის კარი გაიღო და მე იქიდან გადმოვვარდი”,** - ასეთი ჩვენება მისცა წინასწარ გამოძიებას დაზარალებულმა მძღოლმა, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა. სამართალდამცველებსა და ყაჩაღებს შორის გამართული ორმხრივი სროლისას დაიჭრა ორი პოლიციელი. სხეულის დაზიანებები მიიღეს თავად მძარცველებმაც. თუმცა, მათ გატაცებული ავტომანქანით ტყეში შესვლა მაინც მოახერხეს, ავტომანქანიდან გადმოვიდნენ და სხვადასხვა მიმართულებით სცადეს გაქცევა. სამართალდამცველებმა სამი მათგანის დაკავება მოახერხეს, მეოთხე კი, როგორც უკვე გითხარით, ტყიდან გაუჩინარდა და დღესაც იძებნება.

სასამართლოზე დაკითხულმა განსასჯელებმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარეს. გურამ გვაგვალიამ სასამართლო კოლეგიას განუცხადა, რომ დაგეგმილი ყაჩაღობის შესახებ არაფერი იცოდა და მისთვის ყველაფერი მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ გახდა ცნობილი. **“შევეცადე გადამეფიქრებინა მათთვის დანაშაულის ჩადენა, მაგრამ – უშედეგოდ. მე საყარაულოდ მანქანაში დამტოვეს. თავდასხმის შემდეგ გზაზე პოლიციელები დაგვხვდნენ, რომლებმაც ცეცხლი გაგვიხსნეს. მე დავიჭერი და გონება დავკარგე. მოგვიანებით, როცა გონს მოვედი, უკვე ტყეში ვიყავით. ავიღე “შმაისერის” ტიპის პისტოლეტი და გაქცევა ვცადე, მაგრამ ფეხში ვიყავი დაჭრილი და შორს ვერ წავედი, დამაკავეს”,** – ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას გურამ გვაგვალიამ. პროცესზე ამასვე ადასტურებდა დანაშაულში თანამონაწილე ორი განსასჯელიც.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა განსასჯელთა მიერ სასამართლო გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები და მიიჩნია, რომ განსასჯელები პროცესზე ცდილობდნენ გვაგვალიას დანაშაულში მონაწილეობის ხარისხის შემცირებას. ისინი, თანამზრახველისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, საქმის დეტალებს არასწორად იხსენებდნენ.

წინასწარი გამოძიებისას დაკითხული გოდერძი ჭაავა, კახა ჭედია და გურამ გვაგვალია უფრო სწორად და სრულად აღწერდნენ ბანკზე თავდასხმისა და ძარცვისთვის წინასწარი მზადების დეტალებს. ეჭვმიტანილად და ბრალდებულად დაკითხვების დროს განსასჯელები ჰყვებოდნენ, როგორ მოხდა მათ შორის შეთანხმება და როლების გადანაწილება. წინასწარი ძიებისას მათ ისიც აღიარეს, რომ დანაშაულის ჩადენამდე კარგად დაათვალიერეს და შეისწავლეს ბანკის შენობა.

სასამართლომ სამივე განსასჯელს ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვის ბრალდება მოუხსნა. სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო განსასჯელთა წარსული, მათი საცხოვრებელი პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა. **“სამივე განსასჯელი აფხაზეთიდან დევნილია. სამივე მათგანს მძიმე ეკონომიკურ პირობებში უწევდა ცხოვრება. გურამ გვაგვალია დაავადებულია ტუბერკულოზის მძიმე ფორმით. ეს ყველაფერი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს”,** - ასეთია უზენაესი სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ბანკის მძარცველებს ერთი წლის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის 12, 13 და 14-წლიანი პატიმრობა ჩამოურიგეს და მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაამწესეს.

# ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებისათვის

## მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ენერგოპოლიტიკა

ლიანა ჭერვალიძე

ჩვენი რუბრიკით დაინტერესებულ მკითხველს წინა სტატიიდან ემახსოვრება, რომ ნავთზე დაფუძნებულმა ტექნოლოგიებმა და ნავთობპროდუქტებით უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფის საკითხმა, ფაქტობრივად, გადაწყვიტა პირველი და მეორე მსოფლიო ომების ბედი. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, ვინც ნავთობის როლს ჯეროვნად ვერ აფასებდნენ (ვინაიდან ეკონომიკაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს ქვანახშირი თამაშობდა), მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრებისათვის უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ, როგორც ომის წარმოება, ისე ქვეყნის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა, ნავთობრესურსების უწყვეტი მიწოდების გარეშე, წარმოუდგენელი იყო.

ნანგრევებში იყო მთელი ევროპა, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ჩათვლით. ომის მიწურულს მოკავშირეებს შორის ბევრი სადავო საკითხი წარმოიშვა ომის შემდგომი ევროპის მოწყობის თაობაზე, რასაც თან დაერთო ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებისათვის. მართლაცდა, ენერგიის რომელ წყაროებს უნდა უზრუნველეყო დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის აღდგენა? ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებდა.

ცხადია, ომის მთავარ კრედიტორს - აშშ-ს, იდეოლოგიური მოწინააღმდეგე - საბჭოთა კავშირი ნაკლებად ანაღვლებდა, სამაგიეროდ, სერიოზულად აფიქრებდა დასავლეთ ევროპის ბედი. აშშ-ს ხელისუფლებას მშვენივრად ესმოდა, რომ თუ ევროპული ქვეყნების ეკონომიკა სასწრაფოდ არ აღდგებოდა, ომის შემდგომი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი პროცესების რადიკალიზაციას, რაც ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში საბჭოური ორიენტაციის მთავრობებს მოიყვანდა.

გავიხსენოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს მოკავშირეებმა მოიხმარეს შვიდი მილიარდი ბარელი (დაახლოებით, ერთი მილიარდი ტონა) ნავთი და ნავთობპროდუქტები, საიდანაც ექვსი მილიარდი აშშ-ს მიერ იყო წარმოებული. აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში ყველა იზიარებდა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ენერგომარაგები, ომის დროს დაუზოგავი ექსპლუატაციის შედეგად, მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად ამოწურული იყო. საჭირო გახლდათ დამატებითი ენერგოწყაროების მოძებნა ქვეყნის ტერიტორიის მიღმა, როგორც საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ისე ევროპის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის მიღმა ნავთობის დიდი მარაგები ცნობილი იყო ირანსა და ერაყში, რომელთა კონცესიებსაც ბრიტანული კომპანია Anglo-Iranian-ი (დღევანდელი Briitish Petroleum-ი) და ბრიტანულ–ჰოლანდიური კომპანია Royal Dutch/Shell-ი ფლობდა. ამიტომ აშშ-ს ხელისუფლებამ მთელი ყურადღება გადაიტანა საუდის არაბეთისაკენ, სადაც ნავთობის დიდი მარაგების არსებობის შესახებ 1938 წლიდან იცოდნენ.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს აშშ-მ გაააქტიურა დიპლომატიური საქმიანობა ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებზე, რომელიც მთელს ახლო აღმოსავლეთს მოიცავდა. დიდი ბრიტანეთი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს თავისი მოკავშირის დიპლომატიურ მოქმედებას და თავისი ელჩის - ლორდ ჰალიფაქსის პირით განმარტებას ითხოვდა აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტისაგან. როგორც ლორდი ჰალიფაქსი აღნიშნავს, 1944 წლის 18 თებერვალს, პრეზიდენტ რუზველტთან პირისპირ შეხვედრის დროს, ამ უკანასკნელს მისთვის უთქვამს: **"ირანის ნავთობი თქვენია, ერაყისა და კუვეიტის ნავთობს გავიყოფთ, საუდის არაბეთის ნავთობი კი მთლიანად ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო."** ეს ძალიან ჰგავდა მოკავშირეთა შორის ომისშემდგომ გავლენის სფეროთა გადანაწილებას ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში.

იმის გამო, რომ ჯერ იმპერიული რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა კავშირის გავლენა ამ რეგიონზე, გარდა თურქეთისა და ირანისა, მინიმალური იყო, ამ გადანაწილებაში საბჭოთა კავშირს წილი არ ედო. თუმცა, მას სრულიად გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა სწორედ ირანისა და თურქეთის მიმართ, რასაც მოკავშირეებთან მოლაპარაკებების დროს სტალინი მუდმივად აყენებდა. ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით.

მართლაც, 1945 წლის თებერვალში, იალტის შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტი რუზველტი სუეცის არხის წყლებში, აშშ-ს სამხედრო გემ "ქუინსიზე" შეხვდა საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდს. რუზველტი და იბნ საუდი შეთანხმდნენ ომის შემდგომი თანამშრომლობის ძირითად პრინციპებზე, რომელიც მდგომარეობდა აშშ-ს პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერაში იბნ-საუდის დინასტიის მიმართ საუდის არაბეთის ტახტზე, ნავთობის სანაცვლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთის ტახტს სხვა პრეტენდენტიც ჰყავდა ჰაშიმიდების სახით, რომლის წარმომადგენლებიც მართავდნენ სირიას, ერაყს, იორდანიას და წარმოშობით მექიდან იყვნენ. ამიტომ, საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდისათვის ტახტის შესანარჩუნებლად აშშ-ს ხელისუფლების მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

რუზველტისა და იბნ-საუდის შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ძალაში დარჩა მთელი XX საუკუნის განმავლობაში და რომლის გადასინჯვის ოდნავი მცდელობაც კი ძალზე მტკივნეულია და დღესაც სერიოზულ გათვლებს საჭიროებს.

### მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ენერგოპოლიტიკა

მართლაც, ომის შემდგომმა მოვლენებმა, ახლო აღმოსავლეთის ნავთობთან დაკავშირებით, მთლიანად დაადასტურა აშშ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩის - ლორდ ჰალიფაქსის მიერ მოყვანილი პრეზიდენტ რუზველტის სიტყვები.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ენერგომატარებლებით უზრუნველსაყოფად დაიდო რამდენიმე სერიოზული გარიგება ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიების მონაწილეობით.

1. ARAMCO-ს კონსორციუმი (საუდის არაბეთის ნავთობის გარიგება). ხელი მოეწერა 1948 წელს და წილები შემდეგნაირად განაწილდა: Standard Oil of New Jersey (ამჟამინდელი EXXON-ი) – 30 პროცენტი, TEXACO – 30 პროცენტი, Socony-Vacoom-ი (ამჟამინდელი MOBIL) – 30 პროცენტი და Standard Oil of California (ამჟამინდელი Chevron-ი) – 10 პროცენტი. საუდის არაბეთის მეფე იბნ საუდის დაჟინებული მოთხოვნით, ამ გარიგებაში ინგლისური ინტერესები არ მონაწილეობდა;

კუვეიტის კონსორციუმი. ხელი მოეწერა 1947 წელს და წილები შემდეგნაირად განაწილდა: Gulf-ი (აშშ) – 50 პროცენტი, Royal Dutch/Shell-ი (ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანია) – 50 პროცენტი.

ომის დამთავრებისთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, საუდის არაბეთის ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით, ტეპლაინის ნავთობსადენისა (საუდის არაბეთიდან ლიბანის პორტ სიდონამდე) და ერაყის ნავთობსადენების მშენებლობის დაწყების შესახებ (სირიისა და ლიბანის პორტებამდე). ამ ნავთობსადენების მშენებლობა დასრულდა 1950 წელს და მათ სერიოზული სტრატეგიული დატვირთვა მიეცათ, საწვავით უზრუნველეყოთ ევროპის ომისშემდგომი აღდგენა.

**ასე რომ, არსებობდა რესურსები, დაიდო გარიგებები, აშენდა ნავთობსადენები და პორტები. საჭირო იყო ამ გარიგებებისა და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო უზრუნველყოფა იმ ვითარებაში, როდესაც ომში საბჭოთა კავშირის წარმატებამ მისი იდეოლოგიური და სამხედრო ექსპანსიის სერიოზული საფრთხე წარმოშვა.**

ომის შემდგომ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ზრდამ, რასაც უდავოდ შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ევროპის მთავარი ქვეყნების - ინგლისისა და საფრანგეთის სათავეში მემარცხენე ძალები მოიყვანა. ამას ზედ დაერთო ენერგოკრიზისი (ქვანახშირის ნაკლებობა), რომელმაც 1946 წელს მთელი ევროპა მოიცვა.

საჭირო იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხზე დაყენება, თორემ იქ ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოვიდოდნენ. ჯორჯ მარშალმა, აშშ-ს იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა, 1947 წელს, ჰარვარდში გამოსვლის დროს გამოაცხადა ევროპისათვის დახმარების პროგრამა, რომელიც ისტორიაში მარშალის გეგმით არის ცნობილი. 1948 წლის შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, მარშალის გეგმის ფარგლებში, ევროპისათვის დახმარების სახით გამოყოფილი სახსრების 20 პროცენტი ენერგომატარებლების შეძენას მოხმარდა. **მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარება კარგად გამოიყენა აშშ-მ ინგლისისა და საფრანგეთის მემარცხენე ორიენტაციის მთავრობებზე ზეწოლისათვის, საფრანგეთის შემთხვევაში კი, ამას ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა.**

ომის შემდგომ პერიოდში ყოფილ მოკავშირეთა - აშშ-ს, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობის ძირითად მიმართულებას, ენერგორესურსების თვალსაზრისით, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შესაძლო ექსპანსიის შეზღუდვა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანისა და თურქეთის სრუტეების მიმართულებით.

### საბჭოთა კავშირის ექსპანსია ირანში

1939 წლის გახმაურებული რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის თანახმად, კასპიის სამხრეთით - სპარსეთის ყურემდე რეგიონი საბჭოთა კავშირის გავლენის არედ ცხადდებოდა. სამხრეთის საზღვაო გზებზე მოკლე გასასვლელის ქონა ხომ რუსეთის იმპერიული და, შემდგომ, საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლებას მალე მიეცა ამ დიდი ხნის ნალოლიავები ოცნების ასრულების შესაძლებლობა, ოღონდ არა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის ფარგლებში.




ფაშისტური გერმანიის საბჭოთა საზღვრებში შეჭრიდან ორი თვის შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში საბჭოთა, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს, შესაბამისად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ირანი. მოკავშირეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და ქვეყნიდან გააძევეს შაჰი რეზა ფეჰლევი, ირანის ბოლო შაჰის - მოჰამედ რეზა ფეჰლევის მამა, რომელიც გერმანელებს აშკარად თანაუგრძნობდა. ამ აქციის მიზანი იყო - სათავეშივე აღეკვეთათ ირანის შესაძლო მოქცევა ფაშისტური გერმანიის გავლენის ორბიტაში და საბჭოთა სამხედრო მანქანის Anglo-Iranian-ის ირანული ნავთით გარანტირებული უზრუნველყოფა (ირანის კასპიისპირული პორტის ნეკას (Neka) გავლით).

საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებმა ირანის ჩრდილოეთი დანარჩენი ტერიტორიისაგან სრულ იზოლაციაში მოაქციეს და იქ აზერბაიჯანის ავტონომიური წარმონაქმნის შექმნას შეუწყვეს ხელი. ეს ავტონომიური წარმონაქმნი ირანის ხელისუფლებას არ ცნობდა და სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სამხედრო ნაწილებმა დაუყოვნებლივ დატოვეს ირანი, საბჭოთა შენაერთები კი გასვლას არ ჩქარობდნენ.

მოკავშირეთა შორის არსებული შეთანხმების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა შენაერთები 1946 წლის 2 მარტს არ გავიდნენ ირანიდან. ირანის ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირს ახლად შექმნილ გაერო-ში უჩივლა. გაერო-ს ტრიბუნიდან ირანის ინტერესების დასაცავად გამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბაირნსი (James Byrnes), საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, თავისი სამხედრო შენაერთები ირანიდან გაეყვანა ერთი ნავთობკონცესიის სანაცვლოდ. გარიგება დაიდო კიდეც, თუმცა, მოგვიანებით ირანის მხარემ უარი განაცხადა ამ კონცესიის რატიფიცირებაზე. ირანიდან ჯარების გაყვანის შემდეგაც დიდხანს იგრძნობოდა რუსეთის ძლიერი გავლენა ირანის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. საბჭოთა კავშირიდან იმართებოდა ტიუდეჰის (Tudeh) ულტრამემარცხენე პარტია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა 1951 წელს ირანის შაჰის მოჰამედ რეზა ფეხლევის ჩამოგდებასა და მილი მეჯლისის თავმჯდომარის მოჰამედ მოსადეყის აღზევებაში.

მოსადეყის ხელისუფლებამ მოახდინა ინგლისურ-ირანული კომპანიის სრული ნაციონალიზაცია და მისი აშკარად ანტიდასავლური პოლიტიკის ფონზე, წარმოიშვა ირანის შიდა პოლიტიკურ ავანსცენაზე საბჭოთა კავშირის დაბრუნების ძალზე სერიოზული საფრთხე. ამას ისიც დაერთო, რომ ანგლო-ირანული კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ ირანის ნავთობმა შეწყვიტა საერთაშორისო ბაზარზე დინება, რამაც ენერგოდეფიციტის საფრთხე წარმოშვა.

ამ დროს აშშ კორეის ომში იყო ჩაბმული, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზღვებისაკენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივი ექსპანსიის წინააღმდეგ. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მნიშვნელოვანი გახლდათ ვაშინგტონისთვის ენერგომატარებლებზე არსებული ფასების შენარჩუნება. აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტმა გამოაცხადა ნავთობკომპანიებისა და სახელმწიფო რეზერვების სრული მობილიზაცია, რათა არ დაეშვათ ფასების ზრდა და ენერგოკრიზისი. მართლაც, ნავთობკომპანიების თანამშრომლობით ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული.

მაგრამ საბჭოთა ექსპანსიის საფრთხე ირანში სულ უფრო რეალური ხდებოდა. მეტის დახანება აღარ შეიძლებოდა. ცსს-ს ხელმძღვანელის - ალენ დალესის ზედამხედველობითა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამმართველოს - მი-6-ის აქტიური თანამშრომლობით დაიგეგმა ირანში სამხედრო გადატრიალების ერთობლივი ოპერაცია, რომელსაც ადგილზე აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის შვილიშვილი კერმიტ რუზველტი ხელმძღვანელობდა.

ეს ოპერაცია სრული კრახით დამთავრდა, შაჰი ჩამოაგდეს, მოსადეყისა და რეზა ფეჰლევის ორხელისუფლებიანობა დასრულდა და შაჰი იძულებული გახდა, ჯერ ერაყში, შემდგომ კი რომში გაქცეულიყო. თუმცა, სულ რამდენიმე დღეში ვითარება სრულიად მოულოდნელად შაჰის სასარგებლოდ შემობრუნდა და აგვისტოს ბოლოს იგი ირანში დაბრუნდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა დაუჯდებოდა აშშ-ს სადაზვერვო სამსახურს შაჰის სასარგებლოდ სიტუაციის შემობრუნება.

ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის საფრთხე დროებით, მაგრამ მაინც აცილებული იქნა. ახლა საჭირო იყო ირანის უზარმაზარი ენერგორესურსების დასაქმება, რათა ქვეყანას შემოსავალი გასჩენოდა, ვინაიდან სოციალური პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობაში საბჭოთა კავშირი იოლად მოძებნიდა დასაყრდენს.

ომისდროინდელი გარიგების თანახმად, ვაშინგტონს უნდა დარჩენოდა საუდის არაბეთის ნავთობი, ერაყისა და კუვეიტის საბადოები აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს უნდა გაეყოთ, ირანის რესურსები კი დიდი ბრიტანეთის ხელში უნდა დარჩენილიყო. გავიხსენოთ, რომ ინგლისურ-ირანული კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გახლდათ.

ომის შემდგომ დიდი ბრიტანეთი ძალიან დასუსტებული იყო. საყოველთაო ანტიკოლონიური მოძრაობის ფონზე, მას, როგორც იმპერიას, რეპუტაცია ჰქონდა შელახული და რომც მოენდომებინა, მასტაბილიზირებელ გავლენას ველარ მოახდენდა, მით უმეტეს, ირანში, სადაც ინგლისურ-ირანული კომპანია სრულიად დისკრედიტირებული გახლდათ. და ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

ომის შემდგომ წლებში ირანის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა კომპანიის მოგებაში საკუთარი წილის გაზრდას, კომპანია კი არანაირ დათმობებზე არ მიდიოდა (1945-50 წლებში ინგლისურ-ირანული კომპანიის მოგებამ 250 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა, ირანის ხელისუფლებას კი მხოლოდ 90 მილიონი ფუნტი სტერლინგი ერგო). დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება, კომპანიისგან გადასახადების სახით, უფრო მეტ მოგებას იღებდა, ვიდრე ირანის ხელისუფლება როიალიტის შემოსავლების სახით. აქედან გამომდინარე, ირანის არც შაჰს და არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადო მოღვაწეს ინგლისური კომპანიის სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა.

ვის უნდა აეთვისებინა ირანის ენერგორესურსები? ამ დროს ყველა ამერიკული კომპანია მონაწილეობდა საუდის არაბეთის, კუვეიტის, ერაყისა თუ ვენესუელის ნავთობის გარიგებებში, არც ბაზარზე არ იგრძნობოდა მიწოდების ნაკლებობა. პირიქით, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რუსული ნავთობიც იწყებდა საერთაშორისო ბაზარზე გასვლას. ასე რომ, არც ერთი ამერიკული კომპანია არ იჩენდა დაინტერესებას ირანის მიმართ.

იმისათვის, რომ ეს რესურსები უკონტროლოდ არ დარჩენილიყო, აშშ-ს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, აიძულა თავისი კომპანიები, კონცესიების თაობაზე შაჰთან მოლაპარაკებები დაეწყოთ. ეს მოლაპარაკებები ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა და 1954 წლის 29 ოქტომბრის გარიგებით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინგლისურ-ირანული კომპანია - Anglo-Iranian-ი - 40 პროცენტი, Royal Dutch/Shell-ი – 14 პროცენტი, Standard Oil of New Jersey (დღევანდელი EXXON-ი), Texaco Standard Oil of California (დღევანდელი Chevron-ი) და Socony (ყველა აშშ) – თითოეული – რვა-რვა პროცენტი და Societe Francaise du Petrole (საფრანგეთი) – ექვსი პროცენტი. ეს გარიგება "შვიდი დის" გარიგებით არის ცნობილი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ გარიგებაში მონაწილე ამერიკული კომპანიები დიდ წილებს ფლობდნენ საუდის არაბეთის, კუვეიტისა და ერაყის საბადოებზე და ამ ახალი გარიგებით, ფაქტობრივად, საკუთარი წარმოებისავე ნავთობს გაუწევდნენ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ იყო, რომ აშშ-ს ხელისუფლებას ორ ფრონტზე უწევდა მოქმედება (მოლაპარაკება შაჰთან და მოლაპარაკება საკუთარ კომპანიებთან). საზოგადოდ, ნავთობკომპანიები თავისი ქვეყნების ხელისუფლებასთან მუდმივად თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და აშშ-ს ნავთობკომპანიები უხალისოდ, მაგრამ მაინც შევიდნენ ირანში.

### საბჭოთა ექსპანსიის მცდელობა ბალკანეთსა და თურქეთის სრუტეებისაკენ

თურქეთის სრუტეებზე კონტროლის მოპოვება წარმოადგენდა რუსეთის მთავარ მიზანს, დასუსტებულ ოტომანთა იმპერიასთან წარმოებული ომების დროს, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული - პირველი და მეორე მსოფლიო ომების ჩათვლით. სრუტეებზე კონტროლის მოპოვებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისთვის. აქედან გაედინებოდა სსრკ-დან მიმავალი ტვირთების უდიდესი ნაკადი, ამ გზით გაედინებოდა ბაქოსა და გროზნოს, მოგვიანებით კი, ვოლგა-ურალის ნავთობიც.

საბჭოთა კავშირის მიერ სრუტეებზე კონტროლი არა მხოლოდ სავაჭრო გზებზე კონტროლის დამყარებას, არამედ ხმელთაშუა ზღვაზე სამხედრო ყოფნის გაზრდასაც ნიშნავდა. ხმელთაშუა ზღვა კი, ტრეპლაინისა და ერაყის ნავთობსადენების სისტემის მშენებლობის დასრულების შემდეგ, სირიისა და ლიბანის პორტებისაკენ თუ სუეცის არხით მოძრავი ტანკერების გამო, ნავთობის ტრანზიტის უმსხვილეს კვანძად გადაიქცა. აქ საბჭოთა კავშრის გაძლიერებული სამხედრო ყოფნა, რასაც სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა მოკავშირეებისაგან ჯერ კიდევ ომის მიწურულს, დაუშვებელი იყო. ამიტომ აუცილებელი გახლდათ, სრუტეები დარჩენილიყო მონტრეს 1936 წლის საერთაშორისო კონვენციის კონტროლის ქვეშ.

1947 წლის ტრუმენის დოქტრინა გახლდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ სრუტეებზე საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებისაკენ მიმართული აქტი. საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება მიმდინარეობდა მთელ სამხრეთ პერიმეტრზე. სრუტეების გამო თურქეთი, ირანის შემდეგ, ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად რჩებოდა. დიდი ბრიტანეთის დასუსტების მერე არ არსებობდა სხვა ძალა, აშშ-ს გარდა, ვინც შეძლებდა საბჭოთა კავშირის მზარდი იდეოლოგიური გავლენის შეკავებას ბალკანეთის ღარიბ, სოციალური აფეთქების საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყნებში. საბერძნეთსა და თურქეთში სტაბილიზაციის აღდგენა იქამდე ვერ მოხერხდა, სანამ არ განეიტრალდა საბჭოთა კავშირის გავლენა იუგოსლავიაზე. საჭირო იყო ამ ქვეყნების სასწრაფოდ ფეხზე დაყენება.

აშშ-ს ფინანსური დახმარებით, თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის აღდგენა დაიწყო 1948 წელს და ინტენსიურად მიმდინარეობდა ოთხი წლის განმავლობაში. ასე რომ, 1952 წლისათვის თურქეთი უკვე საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნატო-ში გაწევრიანებისათვის საჭირო პირობები დაეკმაყოფილებინა. მართლაც, 1952 წელს, ნატო-ს ლისაბონის კონფერენციაზე, თურქეთი ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი და ამ ორგანიზაციის სამხრეთ ფრთის მთავარი დასაყრდენი გახდა. ამავე დროს მიიღეს ნატო-ში საბერძნეთიც. საბერძნეთსა და თურქეთში შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციისათვის აშშ-ს ერთჯერადი ომის შემდგომი ინექცია 400 მილიონ დოლარს შეადგენდა, აღარაფერს ვამბობთ შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების სახით გაწეული დახმარების თაობაზე.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის საფრთხე, ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო არტერიებისაკენ, 1955 წლის 25 თებერვალს შეჩერდა - თურქეთს, პაკისტანსა და ერაყს შორის ე.წ. ბაღდადის პაქტის დადებით, რომელსაც "აღმოსავლეთის ფარი" უწოდეს. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ელჩის დიდი მცდელობისა, 1955 წლის ოქტომბერში ბაღდადის პაქტს ირანიც შეუერთდა.

**თუმცა, სულ მალე და სულ სხვა ფორმით საფრთხემ კვლავ იჩინა თავი, რასაც ნავთობმწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის შექმნა მოჰყვა. მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე შემდეგ სტატიაში ვისაუბრებთ.**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები
საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი
ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge

www.24hours.ge 24 B

დღის პერსონა

# ვალერი გელაშვილი: "ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს"


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვალერი გელაშვილი

*დაინტერესებული საზოგადოება ექსპერტების გარეშეც კარგად ხედავს, რომ დღეს რადიკალიზმი ადგილს უთმობს თანამშრომლობას და წარსულში ერთმანეთზე გადაკიდებული პარტიებიც კი, გაერთიანებას ცდილობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილ ჯგუფებს, უყალიბდებათ საერთო ინტერესები, ერთიანი სტრატეგია, გნებავთ, ერთი საერთო მოწინააღმდეგე. ასეთ ვითარებაში და ასეთ ჭრელ პოლიტიკურ არენაზე ახალი მოთამაშის გამოჩენა ერთობ სარისკო და საეჭვოა; მითუმეტეს, როცა ახალ პარტიას ქმნიან ადამიანები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობნი არიან. რა მიზნით? რის იმედად? - უნებლიედ ჩნდება კითხვები. გუშინ კი სწორედ ასეთი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. "ნეოლიბერალური" პარტიის პოლიტიკური მდივნის, სოსო ცინცაძის მოხსენებას დავესესხებით და გავიმეორებთ დე გოლის ციტატას: "წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა ვმართო ქვეყანა, სადაც 286 სახეობის ყველი არსებობს და ყველა სახეობას თავისი მყიდველი ჰყავს".*

*... რაც შეეხება დამფუძნებელ ყრილობას გამომსვლელები ჩვეულებრივად ლანძღავდნენ არსებულ ხელისუფლებას. ნეოლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი, პარლამენტარი ვალერი გელაშვილი პრესას ხშირად არ აწუხებს. ამ "საყოველთაო" პოლიტიკური გაერთიანებების ფონზე, ახალი პარტიის სიმძიმე, ძირითადად, მას დააწვება. ამიტომაც, ახალ ინიციატივაზე სასუბროდ სწორედ ის შევარჩიეთ.*

მაია ჭალაგანიძე

**- როგორ მოხვდით პოლიტიკაში, საიდან მოდიხართ?**

- ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატად ვიყარე კენჭი და პარლამენტში გავედი.

**- თქვენ ხომ ლიტვის მოქალაქე იყავით?**

- 1997 წლიდან ისევ საქართველოს მოქალაქე ვარ.

**- ლიტვაში როგორ მოხვდით?**

- საქართველოში არეულობა და ქაოსი იყო. ამას გავექეცი. იქ ბიზნესი წამოვიწყე და ოჯახიანად დავრჩი.

**- რა ბიზნესი იყო?**

- ძირითადად, ტვირთის გადაზიდვა. ახლა მხოლოდ უძრავი ქონების ბიზნესი მაქვს.

**- პროფესიით ვინ ხართ?**

- ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებელი. ახლა დავამთავრე სოსო ცინცაძის დიპლომატიური აკადემია.

**- თქვენ პრლამენტის წევრი ხართ და სასარგებლო საქმეების კეთება იქიდანაც შეგეძლოთ. რაში დაგჭირდათ პარტიის შექმნა?**

- პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატი ვარ და ეს არ იყო საკმარისი.

**- რაიმე ინიციატივა დაგიბლოკეს?**

- ჰო, იყო რაღაც-რაღაცეები.

**- ხომ შეგეძლოთ, რომელიმე ძალას მიკედლებოდით, პარლამენტში საკმარისი სიჭრელეა.**

- ახლოს ვიყავი გოგი თოფაძესთან. ერთხელ რაღაც საკითხი შევთავაზე და, რა ვიცი, არ გამოვიდა. არ მომეცა საშუალება, დამოუკიდებლად მიმეღო გადაწყვეტილებები. ამის შემდეგ ვეღარ ვხედავდი ძალას, რომელთანაც შეიძლებოდა მისვლა. ისე, პიროვნებები კი არიან პარლამენტში, მაგრამ ცალკე ვერაფერს გააკეთებ. ერთი სიტყვით, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ. დამოუკიდებლობა კი ჩემთვის ყველაზე მთავარია.

ჩვენს პარტიაშიც დამოუკიდებელი პიროვნებები გაერთიანდნენ. ვაპირებთ, კოლექტიურად ვმართოთ პარტია.

**- თავიდანვე ძალზე გამოცდილი პოლიტიკური ძალა დაკარგეთ რეზო შავიშვილის, ვახტანგ ხმალაძის სახით. ისინი კარგ სამსახურს გაგიწევდნენ. რატომ მოხდა ეს?**

- რეზო შავიშვილს პარტიის თავმჯდომარეობაზე ჰქონდა პრეტენზია. არ მინდოდა, სხვა პარტიის წარმომადგენელი ყოფილიყო თავმჯდომარე. ამიტომაც ასე გადავწყვიტეთ.

**- თქვენ გულისხმობთ შავიშვილის "დასს"?**

- არა... რას? უბრალოდ, თავმჯდომარედ დამოუკიდებელი პიროვნება გვინდოდა.

**- ნეოლიბერალური პარტიის შექმნის ინიციატივა თქვენგან მოდის. რატომ მაინცადამაინც ეს პარტია?**

- იმიტომ, რომ ლიტვაში, სადაც მე ვცხოვრობ, ეს პარტიაა მმართველი და ხალხი თავს კარგად გრძნობს. საშუალო ხელფასი 120 დოლარია, პენსია - 100 დოლარამდე... სოციალური პრობლემები ადვილად გვარდება.

**- ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას ნეოლიბერალური პარტიის მიზნებსა და იმაზე, რითი გამოირჩევა იგი უკვე არსებული სხვა პარტიებიდან?**

- პირველ რიგში, საბაზრო ურთიერთობები, თავისუფალი ბიზნესი და თავისუფალი ეკონომიკა. ეს მოგვცემს საშუალებას, მოვაგვაროთ სოციალური პრობლემები.

**- სოსო ცინცაძემ თავის მოხსენებაში მაამებლობის ფეტიშიზაცია ახსენა. როგორ აპირებთ ამასთან შებრძოლებას?**

- ბატონო? რა ახსენა?

**- მან თქვა, რომ მაამებლობა ღუპავს ქვეყანას.**

- დიახ, ეს არის მავნე ჩვევა. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ პიროვნებებს მათი საქმეების მიხედვით.

**- გადარჩენის უმოკლეს გზად თქვენს დამფუძნებელ ყრილობაზე სოციალურ-ლიბერალური სინთეზი დასახელდა. მოკლედ ხომ ვერ დასახავთ ამ გზას?**

- ეს არის თავისუფალი ბიზნესი.

**- როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან. თქვენი აზრით, როგორ განლაგდება პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნოდ?**

- ამაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. ერთი წელიწადი დიდი დროა და ბევრი რამ შეიცვლება.

**- თქვენ ხომ არ გაქვთ რაიმე გეგმები, გარდა იმისა, რომ პარტია ჩამოაყალიბეთ?**

- ჩვენ ასე მალე სოციალური პრობლემების მოგვარებას ვერ დაგპირდებით. ყველაფერი ნელ-ნელა მოხდება. სხვებთან ერთად შევეცდებით ცხოვრების გაუმჯობესებას. ისე კი, პოლიტიკურ საკითხებს ჩვენს პარტიაში პოლიტიკური მდივანი, სოსო ცინცაძე განაგებს და ასეთ საკითხებზე მას მიმართეთ.

**- თქვენ - ინიციატორი - რა ფუნქციებს შეასრულებთ პარტიაში?**

- ეკონომიური მხარდაჭერა მევალება. თავიდან პარტიას, ბუნებრივია, ეკონომიკური პრობლემები ექნება.

**- კონკრეტულად ხომ არ აპირებთ თანამშრომლობას რომელიმე ძალასთან?**

- ჯერ ასეთი ძალა არ ჩანს, თუმცა, გარკვეული გეგმები გვაქვს.

**- სანამ პარტიის ყრილობა მიმდინარეობდა, ირინა სარიშვილი-ჭანტურია საპარლამენტო რესპუბლიკისა და კონსტიტუციური ცვლილებების წინადადებით გამოვიდა. თქვენ რა პოზიცია გექნებათ, თუ პარლამენტში მინისტრთა კაბინეტის შემოღების საკითხი დადგება?**

- მთლიანად დავუჭერ მხარს. პრეზიდენტს ძალზე გაზრდილი უფლებები აქვს. ასე არ შეიძლება. არც ის შეიძლება, რომ მარტო პრეზიდენტი წყვეტდეს ყველა საკითხს. უნდა შეიქმნას მინისტრთა კაბინეტი, გაკეთდეს ერთი გუნდი, უნდა იყოს თავმჯდომარე, რომელიც პასუხს აგებს მეურნეობაზე, ეკონომიკურ საკითხებზე.

**- სოციალური კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად რა ბერკეტები გაქვთ?**

- ბატონო? გამიმეორეთ...

**- მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულია. ნეოლიბერალები რას შესთავაზებენ საზოგადოებას ამ უფსკრულის ამოსავსებად?**

- მდიდრები აუცილებლად უნდა არსებობდნენ, მაგრამ ყველა და ყოველთვის თავის კუთვნილ გადასახადებს უნდა იხდიდეს. მაშინ ქვეყანაში ღარიბები აღარ იარსებებენ. თავისუფალი კონკურენცია, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა... აი, ეს ნამდვილად გააუმჯობესებს სოციალურ პრობლემებს.



აკა მორჩილაძის სვეტი



# ის ქალი

- ძნელათ, შეედაროს რამე, ბიძია, ზანგის კაი ჩამრგვალებულ ასე ა, - ხელებიც მოახმარა, ვითომ ფქვილის ტომარა უნდა შეტვირთოს მანქანაშიო - ქალს. ზღაპარი არ გითხრას ვინმემ.... ზანგის ქალი არის, ეს არის პატალოკი ყველაფრის.. .

ეს რომ დღეს ყოფილიყო, გაიცინებდი და წამოხვიდოდი.

მაგრამ ეს იყო 1978 წელს, მე ვიყავი თითქმის თორმეტი წლის და მხოლოდ ორიოდ წუთით დავრჩი მარტო დღის მატარებელში, რომელიც საჩხერიდან მიდიოდა ქუთაისში. არც მანამდე, არც მერე, ასეთ მატარებელში არ ვმჯდარვარ და არც ის ვიცი, არსებობს თუ არა. ისიც არ მახსოვს, გადავჯექით თუ არა მეორე დღის მატარებელში. მაშინ პირველად და უკანასკნელად ვნახე ამ მატარებლით სამსახურში, ანუ მაღაროებში მიმავალი გაპროლეტარებული იმერელი გლეხები.

მატარებელი სადღაცსადღაც ჩერდებოდა, პატარა და მორყეულ სადგურებზე, ზუსტად ისეთებზე, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში რომაა.

სწორედ იქ ამოდიოდნენ სამსახურში მიმავალი გლეხები. ეს კაციც ასეთი იყო, გამხდარი, გახუნებულ სამოსში გამოხვეული, ადლიანი კაუჭა ცხვირით, სველი, ღრმად ჩამჯდარი თვალებით და უშველებელი ქუდით.

მატარებელი იმ დროისთვის საკმაო ხნით გაჩერდა, ასე ოცი წუთით და ბებია სადგურზე ჩავიდა, ალბათ რაღაცის საყიდლად. მარტო დავრჩი და ჩამოიარეს ბოშებმა თუთიყუშით, მერე კიდევ ერთმა მუნჯმა ინდოელი მსახიობი ქალების მანიკურის საღებავით გაფერადებული სურათებით. ამ კაცმა სურათები ჩამოართვა მუნჯს, რა თქმა უნდა არ იყიდა, მაგრამ ყურადღებით კი დაათვალიერა. ზანგის ქალებზე ლაპარაკიც ამ სურათებს მოაყოლა, ეტყობა არ მოეწონა ინდო ქალები. მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ ახლა კი მიკვირს, რა იცოდა ამ კაცმა ზანგის ქალებისა?

ეგებ მეორე მსოფლიო ომში იყო ნამყოფი და იმ არეული ევროპის ტერიტორიაზე გადაეყარა პუტკუნა ზანგის გოგოს? ანდა, რატომ მეუბნებოდა ამას მე, თერთმეტი წლის ბავშვს, რომელსაც არაფერი გამეგებოდა ამ საკითხებისა? იმ ხელებით ჰაერის მოსინჯვის რაობასაც ახლა ვხვდები. ბიჭი დამინახა და მითხრა, ვერ მოითმინა. ალბათ რაღაც მოუთმენელმა აალაპარაკა, რასაც ვერასოდეს შევიტყობთ. რას გაუგებ კაცის ფიქრს და მონატრებას.

ახლა ძნელია იმ სურათის აღდგენა, მე კი მგონია, რომ ზანგის ქალის ამბავი ამ კაცს უფრო განცდილი უნდა ჰქონოდა, ვიდრე წიგნებში ამოკითხული. "ბიძია თომას ქოხი" აქ არ გამოგვადგება და დანამდვილებით ვიცი, რომ ზანგის ქალებზე ქართულ ენაზე ორად-ორი რამ იპოვებოდა და ისიც სამოციანი წლებიდან. ერთი, სელინჯერის არაადამიანურად გულიანი მოთხრობა და ერთიც მოკლე დიალოგი ჰემინგუეის რომანიდან, რომელიც თუ წაკითხული ჰქონდა ამ კაცს, ცხადია გამოადგებოდა. იქ ცოლი ეკითხება ჰარი მორგანს, ზანგის ქალი როგორიაო და ჰარი პასუხობს, ზვიგენივითო.

საერთოდ, ზანგის ქალს გააჩნია, მაგრამ ჰარი ეგეთი კაცი იყო, ბევრი საომარი ჰქონდა და იმ საქმეშიც, ზვიგენის მოქნილობა, ღონე და ბასრი კბილები დაამახსოვრდა. ამ კაცს კი, ინდო ქალები რომ არ მოეწონა, უფრო ალტაცება და მონატრება ეტყობოდა. სოფლის კაცი იყო, ნამდვილი სოფლის კაცი, კეთილად რომ ამბობენ უბრალო რამეებს და ქალს რომ ზვიგენს ვერაფრით შეადარებენ. არა მგონია იმას "ჰარი მორგანი" წაეკითხა და ზანგის ქალებზე მსჯელობაც ამიტომ აეტეხა.

სადღაც შეხვედროდა და გამოეცადა, ნაღდია. როდის, როგორ, რატომ და საერთოდ, ველარ გაარკვევ. ტვინი რომ მქონოდა, მაშინვე უნდა გამომეკითხა, მაგრამ მაშინ ვფიქრობდი რა მაგარია მარიო კემპესი. იმ ზაფხულს ხომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი იყო.

არ იტყუებოდა ის ხალისიანი იმერელი კაცი, რომელიც, უხეშად რომ დავთვალოთ, მაშინ სამოცი წლის იქნებოდა. ძალიან ლამაზ ადგილებში მიცოცავდა ეს დღის მატარებელი ამ ამბიდან ოცდაორი წლის შემდეგ, იმერეთიდან ძალიან, ძალიან, ძალიან შორს, ვნახე ის ქალი რომლის შესახებაც ამბავი დამიტოვა იმ კაცმა.

რამდენიმე რიგით იქეთ იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. ეს ამბავი აქ უნდა შეწყდეს, იმიტომ, რომ რასაც კანონით მოითხოვს, ის გამოგონილი იქნება. სინამდვილეში კი იჯდა და იყურებოდა ფანჯარაში. ერთ გაჩერებაზე კი ადგა და ჩავიდა, რომელიღაც პატარა, ძველი ნახატივით ფრანგული ქალაქის ბაქანზე.

კალენდარი

## 23 ოქტომბერი



**ივან ბუნინი** (1870 – 1953)

"... ყველა ჩემს წინაპარს ხალხთან და მიწასთან ჰქონდა კავშირი. ჩემი პაპები და მათი მამები, დედის და მამის წინაპრები, თავადები იყვნენ, მამულების მფლობელები ცენტრალურ რუსეთში, იმ ნაყოფიერ მხარეში, სადაც უმდიდრესი რუსული ენა ჩამოყალიბდა, მხარეში, რომელმაც თითქმის ყველა დიდი რუსი მწერალი შვა."

ივან ბუნინმა წერა ადრე დაიწყო. მან სამგზის მიიღო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო – პუშკინის სახელობის პრემია. 1909-ში თერთმეტ სხვა მწერალთან ერთად – მათ შორის იყო ლევ ტოლსტოიც, თავადაც აკადემიის საპატიო წევრი გახდა. სახალხო აღიარება კი "სოფელმა" მოუტანა – თუმცა "რუსული სულის" დაუნდობელი აღწერის გამო კრიტიკოსების ნაწილი და იდეალისტურად განწყობილი ინტელიგენცია მტრულად შეხვდნენ, მკითხველმა საზოგადოებამ აღფრთოვანებით მიიღო.

რევოლუციამ მწერალი, მისივე თქმით, კალაპოტიდან ამოაგდო: "მე არ ვეკუთვნოდი მათ რიცხვს, ვისთვისაც მისი მაშტაბები და მხეცობა მოულოდნელობა იყო, მაგრამ სინამდვილემ მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: რად იქცა მალე რუსული რევოლუცია – ამას ვერავინ მიხვდება, ვისაც არ უნახავს." 1920 წელს ბუნინი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ნაყოფიერად განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა, იქ ათზე მეტი წიგნი დაწერა და 1933 წელს ნობელის პრემიაც მიიღო.

ლონგფელოს, ბაირონის მთარგმნელი, მრავალი ლექსის, მოთხრობისა და რომანის, მათ შორის "არსენიევის ცხოვრების" ავტორი, ივან ბუნინი, დაიბადა რუსეთში, ვორონეჟში, 1870 წლის 23 ოქტომბერს.

# 3 ათას ცალ ფოტო-ნეგატივზე აღბეჭდილი თბილისური "მარშუტკები"

თეონა ჯაფარიძე

ერთი წლის წინ, ბაზელიდან, კრისტოფ მერიანის თანამედროვე ხელოვნების ფონდის გაცვლითი პროგრამით, საქართველოში ჩამოსული მხატვრისათვის – ანდრეას ჰაგენბახისათვის, თბილისის ქუჩებში, ყველაზე ეგზოტიკური და თვალშისაცემი "მარშუტკების" გრძელი რიგები აღმოჩნდა: "დავდიოდი ქუჩებში და ყველგან მარშუტკებს ვხედავდი. ვგრძნობდი, ეს მონსტრები როგორ ყლაპავდნენ ქალაქს."

რამოდენიმე წლით ადრე კიდევ ერთი უცხოელისათვის იქცა თბილისური "მარშუტკები" შთაგონების წყაროდ: ალტერნატიული როკის ქართველი მსმენელისათვის უკვე კარგად ნაცნობი ჯგუფის - "შუქი მოვიდა"-ს ფრანგი სოლისტი, ფრედერიკ პაიანი ქართულ ენაზე ასე უმღერის ამ მონსტრს:

"მე მქვია ზაზა,
მინიბუსის შოფერი ვარ,
50 თეთრი ერთი გზა –
ვაკე-საბურთალო..."

ბაზელში დაბრუნებულმა ანდრეას ჰაგენბახმა თბილისიდან 3 ათასამდე ფოტო-ნეგატივი წაიღო, რომლებზედაც მხოლოდ "მარშუტკები" და მგზავრთა სახეები იყო გამოსახული. სელექციის შედეგად, შეირჩა



ანდრეას ჰაგენბახის ნამუშევარი გამოფენიდან

ისეთი ფოტოები, რომლებიც კიდევ უფრო ნათლად გადმოსცემდა თბილისურ რეალობას. დღეს კი ანდრეასი, თავისი ფოტოებით, კვლავ თბილისშია. ექსპოზიციას "მარშუტკა" ჰქვია და ის "თბილისის ისტორიის მუზეუმშია" (ქარვასლაში) წარმოდგენილი: მსხვილი ხედები, "კადრში გაჭედილი" მგზავრთა გარეთ მომზირალი სახეები, ყოველი მათგანი საკუთარი ფიქრებითა და ისტორიებით, ასევე მსხვილი ხედებით გადაღებული "მარშუტკების" ნომრები და, გამჭოლი მინების გავლით, ქუჩის ხედები. ექსპოზიციის დათვალიერებისას ისეთი შეგრძნება იბადება, თითქოს, ქუჩის საუნდი – მანქანების საყვირის ხმებიც კი ისმის.

"მე ახალს არაფერს ვაკეთებ, ფაქტობრივად, 50-იანი წლების შვეიცარიულ ფოტოგრაფიას ვაგრძელებ – ქუჩის ფოტოგრაფიას," – მეუბნება ავტორი და ქართველ კოლეგებს ერთ შენიშვნას აძლევს: "თქვენი მხატვრების აზროვნება უფრო მეტაფორულია და არა აქტუალური. ისინი არ არიან დაინტერესებულები დროით და იმის გადმოცემას გაურბიან, რაც მათ თვალწინ ხდება."

დიახ, შვეიცარიელმა მხატვარმა მოახერხა, თბილისის აღმოსავლურ-დასავლური შარმისგან გათავისუფლებულიყო და დაინახა ის, რაც სწორედ, დღევანდელ ჩვენს ყოფას ახასიათებს: "ძალიან ფერადოვანია ეს ყველაფერი: თბილისის ქუჩებში ახალი, დასავლეთიდან ჩამოყვანილი, ძველი საბჭოთა თუ უცხოური საელჩოებისა და ორგანიზაციების მანქანების რიგები არაფერია, თუ არა დღევანდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დიდი ფოტონეგატივი", – ამბობს სტუმარი.

p.s.ბაზელში ანდრეასის ფოტოებით ბევრი დაინტერესებულა, და მათ შორის, ერთი კუბელი სამხატვრო კურატორიც: მომავალში თბილისური "მარშუტკების" ფოტოები კუბაშიც გამოიფინება, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის სურათი და როგორც კუბის მომავალი განვითარების შესაძლო პერსპექტივა.

# "რწმენის კედელი" ურწმუნო თომებისთვის

მადი სერებრიაკოვა

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული საკომპოზიტორო სკოლა, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, კარგა ხანია, ჩრდილშია მოქცეული. ობიექტური მიზეზები, შეიძლება უსახსრობას მივაწეროთ, რის გამოც ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები სანოტო ფურცლებს არ სცილდება. სერიოზული პრობლემაა ფართო მსმენელის ახალი მუსიკალური ესთეტიკისთვის მოუმზადებლობაც, რასაც, ხშირად, კომიკურ სიტუაციებამდეც მივყავართ, არათუ არაპოპულარული ქართველი კომპოზიტორების, არამედ მათი გამოჩენილი უცხოელი თანამედროვეების ნაწარმოებების საჯარო მოსმენისას. საბოლოო ჯამში, მასმედის თუ დავუგდებთ ყურს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, საქართველოში კომპოზიტორობა დასავლურ პოპ-ჰიტებზე შექმნილი მსუბუქი ვარიაციებით შემოიფარგლება.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში ქართველი კომპოზიტორის, თენგიზ შავლოხაშვილის რამოდენიმე მსხვილი ფორმის ნაწარმოები შესრულდა და გარკვეული რეზონანსიც გამოიწვია (ოპერა "თეთრი მანდილი", სიმფონიური სურათები, ინსტრუმენტული კონცერტები (კონცერტი ჩელოსთვის სახელმწიფო პრემიაზეც იყო წარდგენილი)), მის შემოქმედებას მაინც, ძირითადად, პროფესიონალთა წრეებში იცნობენ. შინაური მღვდლის ანდაზის არ იყოს, სამწუხარო ტრადიციის



კონსერვატორიის სცენაზე...

მიხედვით, საქართველოში მხოლოდ უცხოური წარმატებების შემდეგ იწყებენ მუსიკოსთა დაფასებას. შეიძლება ამ ტენდენციას მივაწეროთ კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ, ამჟამად ირანში მოღვაწე, თენგიზ შავლოხაშვილის გუშინდელ შემოქმედებით საღამოზე პუბლიკის მოზღვავება. ჩვეულებრივ, ქართველ კომპოზიტორთა კონცერტებს ასეთი ყურადრებით არ ანებივრებენ ხოლმე.

მრავალფეროვანი იყო კონცერტის პროგრამა, რომელიც ვოკალურ მინიატურებთან ერთად, ინსტრუმენტულ კონცერტს (ფლეიტისათვის ორკესტრთან ერთად) და ვოკალურ-სიმფონიურ პოემასაც მოიცავდა. პირველ ნომრად შესრულდა ვოკალური მინიატურა (მუხრან მაჭავარიანის ლექსებზე) თანხლების გარეშე. იქ თავშეყრილი საკმაოდ ეკლექტური პუბლიკის წინაშე ასეთი თამამი ექსპერიმენტის განხორციელება საკმაოდ სარისკო იყო. რომ არა შემსმსრულებლის – ცნობილი მომღერლის, სახალხო არტისტის ლიანა კალმახელიძის ავტორიტეტი, ნაწარმოებს, შესაძლოა, დიდი გაუგებრობაც გამოეწვია (სწორედ, ზემოთ აღნიშნულ ესთეტიკურ მოუმზადებლობას ვგულისხმობთ). არაკორექტულობას მაინც ვერ ავცდით - მხოლოდ კალმახელიძის მიერ სცენიდან მიცემული შენიშვნის შემდეგ შეძლო მომღერალმა დაწყება, თუმცა ჩოჩქოლი და ხმაური მაინც კარგა ხანს გაგრძელდა.

გაცილებით უკეთ მიიღო მსმენელმა კონცერტი ჩელოსათვის ორკესტრის თანხლებით. თუმცა, კონცერტის კომპოზიციური თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს (რომელსაც ლიანა ისკაძე ხელმძღვანელობს) მხოლოდ თანხლების ფუნქციას ნამდვილად ვერ მივაწერთ. ეთნო-მუსიკალური ელემენტებითა და თანამედროვე ჰარმონიით მდიდარი კონცერტი რიტმული და ემოციური დაძაბულობითაც გამოირჩეოდა. სოლო-პარტიას ნუგზარ კიკნაძე ასრულებდა, სადირიჟორო პულტთან კი თავად ავტორი იდგა.

საინტერესო იყო მეორე განყოფილებაში შესრულებული ვოკალური პოემა - "რწმენის კედელი". ეს, ალბათ, კომპოზიტორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია. თანამედროვე მუსიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, სოლისტებისთვის პოემაზე მუშაობა საკმაოდ რთულია. თუმცა, ნიჭიერებისა თუ ახალგაზრდული ენერგიისა და შემართების წყალობით, ამჯერადაც ბევრ უფროს ცნობილ კოლეგაზე უკეთ წარდგნენ სტუდენტები (კახა თეთვაძე (ბანი) და ქეთი ქემოკლიძე (მეცო-სოპრანო).

# დავა "ოქტაგონის" გარშემო

## საოლქო სასამართლოში პროცესი დასრულდა

თამარ სუხიშვილი

გუშინ თბილისის საოლქო სასამართლოს დარბაზში მომღერალ ირმა სოხაძესაც ელოდნენ. სასამართლო პოპულარული გადაცემის, "ოქტაგონის" საავტორო უფლების საკითხს განიხილავდა. ირმა სოხაძე პროცესზე არ გამოცხადებულა და, როგორც გავიგეთ, არც აპირებდა სასამართლოში მისვლას, სამაგიეროდ დროდადრო თავს შეგვახსენებდა ხოლმე ერთ-ერთი დამსწრის მობილური ტელეფონის ზარის მეშვეობით, რომელზეც მისი ცნობილი სიმღერის ("ვიყავით ერთად") მელოდია იყო დამონტაჟებული.

საოლქო სასამართლოში სარჩელი ნიკა მახვილაძემ აღძრა, საქტელერადიო მაუწყებლობის, ნუგზარ ჩხაიძის, ირმა სოხაძის, ვაჟა დვალიშვილის და ალექსანდრე ვახტანგოვის წინააღმდეგ, თუმცა გუშინდელ პროცესზე მან დვალიშვილისა და ვახტანგოვის წინააღმდეგ სარჩელი გარკვეული მიზეზების გამო გააუქმა. მოსარჩელე ნიკა მახვილაძე ამ პიროვნებებს საავტორო უფლებების დარღვევაში სდებდა ბრალს.

11 საათზე დანიშნული პროცესი თითქმის მთელი ერთი სათის დაგვიანებით დაიწყო. ბევრად უფრო დიდხანს გაგრძელდა დავა, რომელმაც საღამოს 6 საათამდე გასტანა. სასამართლოს შემადგენლობა ასეთი იყო: სასამართლოს თავმჯდომარე მადონა ღიბრაძე და მოსამართლეები: ქეთი დუგლაძე და მარინა ჯიყაშვილი.

გადაცემა "ოქტაგონის" პროექტი პირველად საქართველოს ტე-



ნიკა მახვილაძე და ნინო კუნცევა-გაბაშვილი

ლევიზიაში 2000 წლის მაისში გამოჩნდა, როდესაც ტელევიზიის პირველ არხზე პირველი ტენდერი გამოცხადდა. როგორც მოსარჩელე ამტკიცებს, მან ტენდერზე მოუ "მუსიკალური ოქტაგონის" პროექტი წარადგინა, ის თავად იყო ამ გადაცემის იდეისა და პროექტის ავტორიც. კონკურსში პირველი ადგილი არც ერთ პროექტს არ დაუკავებია, შოუმ "მუსიკალურმა ოქტაგონმა" 189 ბალი მიიღო და მუსიკალური გადაცემების ნომინაციაში მეორე ადგილი დაიკავა, მესამე ადგილზე გავიდა გადაცემა "მეალომანია".

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულ პროექტთა სიაში დღესდღეობით სადავო პროექტი ასეა წარმოდგენილი: პროექტის სახელწოდება: შოუ "მუსიკალური ოქტაგონი", ავტორი: ნიკა მახვილაძე. თუმცა, როცა გადაცემა ეთერში გავიდა, პირველმა არხმა რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ, ავტორთან ხელშეკრულება გაეფორმებინა.

რა მოხდა შემდეგ, ცოტა გაუგებარია. გადაცემა ეთერში გავიდა, ოღონდ გარკვეული ცვლილებებით (მაგალითად, პროექტის მიხედვით, შოუს წამყვანებად შალვა რამიშვილი და ბიბი კვაჭაძე მოიაზრებოდნენ, მათი ადგილი კი დათო გოგიჩაიშვილმა და გია ჭანტურიამ დაიკავეს და სხვა), ამ ცვლილებებზე აქ აღარ შევჩერდებით. მოხდა ისე, რომ გადაცემის ტიტრებში ნიკა მახვილაძე მხოლოდ იდეის ავტორად ჩაწერეს.

"როდესაც ეს ფაქტი აღვნიშნე, ქალბატონმა ირმამ მითხრა, რაღაც შეცდომაა და ამ შეცდომას გამოვასწორებთო; ერთ გადაცემაში სცენარის ავტორად ჩამწერეს, მერე კი ჩემი გვარი საერთოდ ამოიღეს ტიტრებიდან," – ამბობს ნიკა მახვილაძე.

როგორც ჩანს, ნუგზარ ჩხაიძესა და ირმა სოხაძეს თავიდანვე გათვლილი ჰქონდათ, რომ იდეის ავტორობა საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებულიო, - ამტკიცებს მოსარჩელე და საუბარში იმასაც დასძენს, ჩემი გვარი მას შემდეგ გაქრა, რაც კუთვნილი ჰონორარი მოვითხოვეო.

ნიკა მახვილაძის თქმით, მან არაერთხელ სცადა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაც, მაგრამ ამაოდ. მოსარჩელეს მტკიცებით, მეორე ტენდერზე ნუგზარ ჩხაიძემ ეს გადაცემა უკვე საკუთარი პროექტის სახით წარმოადგინა.

გუშინდელ პროცესზე მოსარჩელე მხარის მოთხოვნა შემდეგი იყო: საქტელერადიო მაუწყებლობის, ნუგზარ ჩხაიძისა და ირმა სოხაძის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის დამრღვევებად გამოცხადება, გადაცემიდან შემოსული ქონების ჩამორთმევა და მორალური ზარალის ფულადი ანაზღაურება.

საოლქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

პროცესი დასრულდა, მაგრამ ბევრი რამ ისევ ბუნდოვანი დარჩა.

ნიკა მახვილაძე განაჩენის გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?





## მოუფრთხილდით სმენას

ზედიზედ რამდენიმე გასროლის შემდეგ კაცს, ჩვეულებრივ, ყურში სტვენა და წუილი გესმის. უსიამო შეგრძნებანი მალევე ქრება, ამიტომ ცოტა ვინმე თუ აქცევს ყურადღებას ამგვარ წვრილმანებს. არადა, დროთა განმავლობაში ამან შეიძლება სმენის საგრძნობი დაქვეითება გამოიწვიოს - პროფესიულ სიყრუედ ჩამოყალიბდეს. ფაქტები მოწმობენ, რომ მრავალი მონადირე სმენის უდროო კლებას უჩივის. ცხადზე უცხადესია: მეტი სიფრთხილე და ნაკლები თავდაჯერებულობა გვმართებს.

პრობლემის არსი საკმაოდ ნათელი გახდება, თუ ისეთ საზომ ერთეულს გავიხსენებთ, როგორიცაა დეციბელი. მაგალითისთვის ვთქვათ - ხმაურის სიძლიერის განმსაზღვრელ ცხრილებში 20-30 დეციბელი ჩურჩულს შეეფარდება, 40-60 კი - წყნარ საუბარს. მანქანის მოტორის ხმას 70-80 დეციბელით აფასებენ. უფრო მაღალი დონეები უკვე საზიანოა ადმაიანის ყურისთვის, კრიტიკული ზღვარი 120-130 დეციბელია: აფეთქება, პნევმატური ჩაქუჩის დაგადუგი. რეაქტიული თვითმფრინავის გრუხუნი 150-ის ნიშნულს უახლოვდება. თოფის ხმა რამდენილაა? გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ყურის ხვრელის შესასვლელთან გასროლისას ხმაური 150-170 დეციბელს აღწევს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! მონადირეებს გა-



მოცდილი აქვთ საკუთარ ტყავზე, რომ შაშხანის ან თოფის, განსაკუთრებით, მაინც შაშხანის სროლისას - მარჯვენა მხრიდან მსროლელს მარცხენა ყური უფრო სტკივა, ცაციას კი პირიქით - მარჯვენა. ასე გამჭოლად მოქმედებს ბგერითი ტალღა, რომელიც საწინააღმდეგო მხარეს მდებარე ყურისკენაა მიმართული. სხვათა შორის, რევოლვერის სროლა კიდევ უფრო ცუდია - ორივე ყურის აპკი ერთდროულად ზიანდება.

ჩვეულებრივ, იშვიათად თუ ვინმეს დაარწმუნებ, ყურების დამცავი რაიმე საშუალება გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ რეალურია სმენის დაკარგვის საშიშროება. ხელს გვიშლის და ნადირობის მთელ გემოს გვაკარგვინებსო, გაიძახიან. - არა, ბიჭო, ბამბებს გავირჭობ ყურებში და ისე ვივლი სანადიროდ! მართალიცაა, ტოროლას სტვენა და მწყერის ქვითქვითი თუ არ გესმის, ხმელი ძეძვის გატკაცუნებაზე თუ არ შეხტი, ფეხში ამოფრენილი კაკბის ფრთების ფათქუნმა თუ არ გაგცრა ბეჭებში, ნადირობას რა ფასი აქვს? კი ბატონო, მაგრამ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ სმენა დაქვეითებას დაიწყებს და პირველ რიგში ეს ამბავი მაღალხარისხოვანი ბგერების აღქმას შეეხება. ბუნების ხმაშეწყობილ პოლიფონიას ბუნდოვანი ჩქამები შეცვლის. თქმა არ უნდა - მძიმე პერსპექტივაა...

## ნადირობას ყურთასმენის დაქვეითებაც თან ახლავს

"კაცს თუ 4000 ჰერცზე მაღალი სიხშირის ბგერები აღარ ესმის, - ამტკიცებენ ექიმები, - იმას უკვე ვეღარ გააგონებ, ჯანმრთელობა რომ მისახედი აქვს..."

მოკლედ, თუკი ყურები საგრძნობლად გვიწივის და საუბრისას ხელი გვეშლება, თოფი გვერდზე უნდა გადავდოთ. როცა მკვეთრად ქვეითდება სმენა, ექიმების ვერდიქტი ულმობელია: "ან ძალიან იშვიათად უნდა იაროთ სანადიროდ, ან ყურთასმენას საბოლოოდ გამოეთხოვოთ. 4000 ჰერცზე ქვევით ჩამოსვლა სახუმარო საქმე აღარაა..."

კიდევ უფრო მოსაფრთხილებელია ამგვარი სიმპტომი: სმენის მოულოდნელი დაკარგვა, ანუ ისეთი შეგრძნება, ცალი ყური თითქოს მთლიანად დაგეგუბა. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მივმართოთ ექიმს, სმენა თავისთავადვე რომ აღგვიდგეს კიდეც, მაინც ასე უნდა მოვიქცეთ. უმრავლეს შემთხვევაში, ავადმყოფს ერთკვირიანი ჰოსპიტალიზაცია მოუწევს. კორტიკოსტერიოდული და სისხლძარღვების გამაფართოებელი პერფუზიის შედეგად ყურთასმენა, მოსალოდნელია, გაუმჯობესდეს. მაგრამ ნადირობა უკვე ყველა შემთხვევაში საზიანოა. სხვათა შორის, ყურში ხმის ანალიზატორის ფუნქციების უნებური აღდგენა მხოლოდ ახალგაზრდულ ასაკში როდი ხდება, ხშირად ხანდაზმულებსაც უბრუნდებათ სმენა. საერთოდ, 60 წლის მერე მაღალი ტონების მიმართ სმენითი მგრძნობელობა, როგორც წესი, კლებულობს, სულ ერთია, ქალი იქნება თუ კაცი. ამ მოვლენას მეცნიერულად "პრესბიაკუზისს" უწოდებენ, უბრალოდ კი - ბებრის სიყრუეს.

სამწუხაროდ, ადამიანის ყურს, თვალისგან განსხვავებით, არ გააჩნია ქუთუთოს ფუნქციის შემსრულებელი დამცავი ეკრანი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობის ბგერით ტალღებს აგვარიდებდა... დღესდღეობით არც მედიცინას შეუძლია თერაპიული ან ქირურგიული ფორმით სმენადახშულობის (როცა მაღალი სიხშირის ბგერები აღარ გვესმის) შედეგიანი მკურნალობა. ერთადერთი გზა პროფილაქტიკაა. რა ქნას მონადირემ? ყურში ბამბა რომ დაიცოს, შეიძლება თავბრუსხვევები დაეწყოს, ზუსტად ისე, თვალების დახუჭვისას მოცულობის შეგრძნება რომ იკარგება ხოლმე.



## წიწილების იმედად

მოკლედ, გამოსავალი სადაა? სად და, თოფის ტუჩზეა - მაყუჩი (ხმის სახშობი) გვაქვს მხედველობაში. არ გაწყობთ ეს ვარიანტი? მაშინ სამეცნიერო პროგრესის მორიგ მიღწევებს თუ დაველოდებით: შეერთებულ შტატებში ახლა მიმდინარეობს წიწილების "შიდა ყურის" ქსოვილთა უჯრედების კვლევა. ამერიკელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მძიმე დაზიანებისა და რღვევის შემდეგაც შესაძლებელია ამ უჯრედების თვითაღდგენა. თუკი იმის დადგენასაც შეძლებენ, რა ფაქტორები განაპირობებს წიწილას შიდა ყურის უჯრედთა გამრავლებასა და ზრდას, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანსაც შეიძლება გაუმართლოს. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი აღმოჩენა ნამდვილად ყველას ყურამდე მოაღწევს...

*"LA CMASS"-ს მიხედვით*

# ტყის ქათამი და მასზე ნადირობა

დათო ცხვედიანი





ტყის ქათამი ანუ ვალდშნეპი, როგორც სპორტული ნადირობის ობიექტი, ოდითგან სამეფო ფრინველად ითვლება. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდამდე მის შესახებ ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი, რაც ამ ფრინველის იდუმალი ბუნებითა და ბინადრობითაა გამოწვეული. თვით ორნიტოლოგიურ მონოგრაფიებში 80-იანი წლების დასაწყისამდე ერთიანი აზრი არ იყო იმის შესახებაც კი - ფრინველი პოლიგამია თუ მონოგამი. ეს კამათი მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ინგლისელმა მეცნიერებმა, მინიატურული რადიოგადაცემების გამოყენების შედეგად, საბოლოოდ დაადგინეს, რომ ტყის ქათამი პოლიგამია. ამასთან, ამომწურავად გააშუქეს ამ ფრინველის ეკოლოგიის სხვა მხარეებიც. ტყის ქათამი გადამფრენი ფრინველია. ჩვენში ის არ ბუდობს. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდი, თითქოს ვალდშნეპი ბორჯომის ტყის მასივში ბარტყობდეს, ჯერ კიდევ ვარაუდად რჩება, რადგან ამის დამამტკიცებელი მასალები არ ჩანს. საქართველოში მკვეთრად გამოხატულია როგორც საგაზაფხულო გადაფრენა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ისე საშემოდგომო - ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სხვა წინტალებისაგან ტყის ქათამი ფერითა და სიდიდით გამოირჩევა. ძირითადად იგი მურა ჟანგისფერია და ამიტომ, ერთი შეხედვით, არცთუ მიმზიდველად მოგეჩვენება, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ტყის ქათამი ერთ-ერთი ულამაზესი ფრინველია. მისი წონა საშუალოდ 340-380 გრამია. დედალ-მამალი ფრინველი ზომითა და შეფერილობით ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რის გამოც გარეგნული ნიშნებით მათი გარჩევა ძნელია. ტყის ქათამს განსაკუთრებულ იერს შედარებით უკან, კეფასთან ჩასმული, ბრდღვიალა, მაყვალივით შავი თვალები და გრძელი, პინცეტივით ნისკარტი აძლევს. ასეთი თვალებით ფრინველი ერთდროულად აკონტროლებს გარემოს წინაც და უკანაც. ძალიან მგრძნობიარე აქვს ნისკარტიც, სპეციალურად ტყის რბილი ნიადაგისთვის მომარჯვებული, რითაც მოხერხებულად შეისრუტავს საკვებს - ჭიებსა და მატლებს.

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ტყის ქათმის როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო გადაფრენა ერთბაშად, ფართო ფრონტით იწყება და რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდება. რაკი ჩვენში მასზე საგაზაფხულო ნადირობა, დიდი ხანია, აკრძალულია, ამიტომ მხოლოდ შემოდგომის გადაფრენაზე შევჩერდებით.

ტყის ქათმის ცალკეული ეგზემპლარები ჩვენში სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩნდებიან. თავიდან მაღალმთიანი ტყის ზონაში, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე და მაღლა. აღსანიშნავია, რომ გადაფრენის დასაწყისი ჩრდილოეთში ამინდის ცვალებადობაზე არ არის დამოკიდებული. 15 ოქტომბრიდან მათი რიცხვი ყოველდღიურად მატულობს და პიკს 25 ოქტომბრისათვის აღწევს. ამის შემდეგ შედარებით დაბალ ზონაში ფრინველთა ინტენსიური გადაადგილება და კონცენტრაცია უკვე ადგილობრივი ამინდის ცვალებადობაზეა დამოკიდებული. ნაადრევი აციების და მთაში თოვლის მოსვლის შემთხვევაში, ფრინველთა უდიდესი ნაწილი თავს იყრის ბუჩქნარშერეულ ტყის ზონაში, მდინარეთა ხეობებსა და ჭალის ტყეებში. სწორედ ასეთ დროს ე.წ. "ნაყარზე" ("ვისიპკაზე") ნადირობაა ყველაზე მოხერხებული და შედეგიანი. ხოლო თუკი შემოდგომას ზამთარი თანდათანობით, შეუმჩნევლად, ამინდის მკვეთრი გაუარესების გარეშე ცვლის, მაშინ, გადაფრენის უწყვეტობის მიუხედავად, არ ხდება ფრინველთა გარკვეულ ტერიტორიაზე ერთდროული თავმოყრა, თანაც ასეთ პირობებში ფოთოლცვენაც შედარებით გვიან იწყება. ფოთოლგაუცვენელ ტყეში გაფანტულ ფრინველებზე წარმატებული ნადირობა შეუძლებელია. ასეთი შემთხვევები კი არცთუ იშვიათია. ნოემბრის შუა რიცხვებიდან ტყის ქათმები იქსაქსებიან დაბლობ ადგილებში და იქვე რჩებიან მკვეთრ აციებამდე და ნიადაგის გაყინვამდე. თბილი ზამთრის პირობებში ფრინველთა ნაწილი ჩვენშივე იზამთრებს: დასავლეთში - შავიზღვისპირეთში, აღმოსავლეთში - მტკვრის, ხრამისა და ივრის ნოტიო, თბილ ნაპირებზე.

სპორტული თვალსაზრისით, ტყის ქათამზე ნადირობა ყველაზე მიმზიდველი თუ არა, ერთ-ერთი პირველია და ეს სულაც არ განისაზღვრება მოპოვებული ნადავლის რაოდენობით. საუკეთესო პირობებშიც კი 3-4 ფრინველი უკვე კარგი ნანადირევია. ტყის ქათამი სასურველ ნადავლად ითვლება ინგლისსა და ამერიკაშიც. საინტერესოა, რომ ინგლისური კოკერ-სპანიელი სპეციალურად მასზე სანადიროდაა გამოყვანილი. კოკერის სახელწოდება მომდინარეობს ტყის ქათმის ინგლისური სახელწოდებიდან "ვუდკოკი", რაც ტყის მამალს ნიშნავს. რუსეთში საშემოდგომო ნადირობის გარდა ასევე ფართოდაა გავრცელებული გაზაფხულზე ნადირობა ტიხტიხობის დროს.

ტყის ქათამზე ნადირობის მთელი ხიბლი მოპოვების სირთულესა და სანადირო გარემოშია. სანახევროდ ფოთოლგაცვენილი, მრავალფერად აჭრელებული ტყე, მისი დამათრობელი სურნელით გაჟღენთილი ჰაერი, მეძებრის ლაღი გააზრებული ძებნა, მყარი ნაბული, ფრინველის "აფეთქება" და ზუსტი სროლა დაუვიწყარ წუთებად რჩება ნებისმიერი მონადირისათვის.

მეძებრის გარეშე, ან ცუდად დაგეშილი მეძებრით ტყის ქათამზე ნადირობა ინტერესმოკლებული, დამღლელი და ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა. წარმატებული ნადირობის გარანტია მხოლოდ კარგად გაწვრთნილი და დაგეშილი მეძებარია. უნდა ითქვას, რომ ტყის ქათამი მეძებრისათვის რთულ ფრინველად არ ითვლება. მასზე ნებისმიერი საშუალო ყნოსვის ძაღლი პირველივე წელს იწყებს ნადირობას, რადგან ფრინველი საკმაო მძაფრ სუნს გამოსცემს. სამაგიეროდ ტყის ქათამზე ნადირობა მეძებრისაგან განსაკუთრებულ დისციპლინასა და საზრიანობას მოითხოვს. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი:

- ტყეში მეძებარი ადვილად ეფარება თვალს და პატრონთან სრული კონტაქტის გარეშე ნადირობა წამებად იქცევა;
- ხშირ ტყესა და ბუჩქნარში შორ მანძილზე ნაბულზე მდგომ მეძებართან დროულად მისვლა შეუძლებელია. ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, მეძებარს შევამცირებინოთ ძებნის დიაპაზონი. ზოგიერთი ჭკვიანი ძაღლი ამას დამოუკიდებლადაც აკეთებს;
- ტყის ქათამზე ნადირობა მეძებრისაგან კვალზე მუშაობის ცოდნასაც მოითხოვს. საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ დაჭრილი ტყის ქათამი არ გარბის და ვერ ახერხებს დამალვას, მცდარია. მათ შორის ზოგჯერ ისეთი "მორბენლებიც" გვხვდებიან, რომლებიც ძაღლსაც არ ჩამოუვარდებიან;
- როგორც ნებისმიერ სხვა ფრინველზე, ისე ტყის ქათამზე ნადირობისას, აუცილებელია, სროლის შემდეგ მეძებარი ადგილზე დარჩეს და დამოუკიდებლად არ დაიწყოს ჩამოვარდნილი ან გადამჯდარი ფრინველის ძებნა. ტყის ქათამი უმრავლეს შემთხვევაში ამოფრენისას არ გადაადგილდება შორს, 80-100 მეტრში ჯდება და ინაბება. მცირე პაუზის შემდეგ მისი ხელმეორედ ნახვა, პრაქტიკულად, ყოველთავის შესაძლებელია;
- ტყის ქათამზე ნადირობისას არათუ სასურველი, აუცილებელია, მეძებარმა მოტანა იცოდეს, რადგან გაუვალ ბუჩქნარში, ხელოვნურად გაშენებულ ნაძვის კორომში სუფთად ჩამოგდებული ფრინველის პოვნაც კი ძნელია;
- დაბოლოს, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ისე ტყის ქათამზე ნადირობისას, რომელიმე ჯიშის მეძებრისათვის უპირატესობის მინიჭება არ ღირს და ამაზე კამათი უაზრო და უნაყოფოა. ყველა ჯიშის მეძებარი თავისებურად კარგია, თუ სათანადოდ გაწვრთნილი და დაგეშილია.

ახლა კი მოკლედ შევეხოთ უშუალოდ ნადირობის ზოგიერთ თავისებურებასაც. ტყის ქათამზე ნადირობა ყველაზე შედეგიანი წვიმის შემდეგაა. ამ დროს, ჯერ ერთი, ფეხქვეშ არ ხმაურობს გამხმარი ფოთოლი და მეორეც, რაც მთავარია, ფრინველი, რომელსაც ხეებიდან ჩამოცვენილი წვეთების ხმაური აფრთხობს, შედარებით ღია ადგილებში გადის. იქ ის მყარად ზის და კარგად უჩერდება მეძებარს ნაბულზე. ამოფრენილი კი სწორხაზოვნად, ნელა მიფრინავს და ამ დროს სროლა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მთავარია სიდინჯე და თავშეკავება.

ტყის ქათამზე ნადირობისას, სასურველია, პირველ რიგში, ის ადგილები გაიჩხრიკოს, სადაც მსხვილფეხა საქონელს ინტენსიურად აძოვებენ. მათი ნაკელი ხომ ტყის ქათმის საყვარელი საკვებითაა მდიდარი. ასეთ ადგილებში ნისკარტით დაჩვრეტილი ნაკელის ნახვა არცთუ იშვიათობაა, რაც წარმატებული ნადირობის ერთ-ერთი საწინდარია.

სროლის შემდეგ ჯერ თოფი უნდა გადავტენოთ და შემდეგ წავიდეთ ან ძაღლი გავაგზავნოთ ჩამოგდებული თუ გადამჯდარი ფრინველის მოსაძებნად. ხშირად იქვე მეორე და შეიძლება, რამდენიმე ფრინველიც კი იყოს გაყუჩებული.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ტყის ქათამზე სროლა ხშირ, ახალგაზრდა, შედარებით დაბალ ტყესა და გაუვალ ბუჩქნარში უფრო ადვილია, ვიდრე ნათელ, მაღალ და გამეჩხერებულ ტყეში. პირველ შემთხვევაში ტყის ქათამი ისარივით აიჭრება ზევით ჰაერში და ზუსტი სროლის შანსიც მეტია, ვიდრე მეორე შემთხვევაში, როცა ფრინველი მარჯვედ ეფარება ხეებს და სანამ მონადირე გვერდზე გადაირბენს და დაუმიზნებს, სწრაფად ტოვებს სახიფათო ზონას.

ტყის ქათამზე ნადირობა მონადირისაგან სწრაფ რეაქციასა და სროლისას გარკვეულ ტექნიკას მოითხოვს. დიდი მნიშვნელობა აქვს თოფსაც. საუკეთესოდ ცილინდრული ან მილძაბრა ლულებიანი თოფი ითვლება, რომელიც შედარებით თანაბრად და ფართოდ, ახლო მანძილზე შლის საფანტს, მაგრამ რადგან ასეთი თოფები ჩვენში იშვიათია, გამოსავალი სპეციალურ ვაზნებშია. მათი დამზადების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყველაზე მარტივი საფანტის თხელი საფენებით სამ ნაწილად გაყოფაა. ტყის ქათამზე საუკეთესოდ №8 საფანტი ითვლება.

ტყის ქათამი, როგორც ძვირფასი და სასურველი ნადავლი, გარკვეული ინტერესის საგანს წარმოადგენს მხატვრებისთვისაც. საქმე ისაა, რომ ტყის ქათამს ფრთის ბოლოში აქვს პატარა, მაგრამ ძალიან მაგარი ბუმბული, რომელსაც მხატვრები და ხატმწერები ფუნჯად იყენებდნენ ფაქიზი და წვრილი ხაზების გამოსაყვანად.

რაკი ტყის ქათამზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მის ძვირფას კულინარულ ღირსებებზეც არ ითქვას ორიოდე სიტყვა. კარგად მომზადებული ტყის ქათამი დელიკატესია დელიკატესთა შორის. აქვე შემოგთავაზებთ ორ, არცთუ ორიგინალურ, მაგრამ საინტერესო რეცეპტს:

**პირველი** მარტივია. კარგად გასუფთავებული, გამდინარე ცივ წყალში 1 სთ-ით გაჩერებული ტყის ქათამი გავამშრალოთ, მთლიანად დავფაროთ კარაქის ზომიერი ფენით, შემდეგ ამოვავლოთ მარილშერეულ ორცხობილის ფხვნილში და შევწვათ ჰაერლუმელში. ასეთნაირად შემწვარი ფრინველი რბილი, ნაზი და განსაკუთრებულად გემრიელია.

**მეორე**: კარაქში კარგად შემწვარი ტყის ქათამი და ასევე კარაქზე დამზადებული კარტოფილის თბილი პიურე გადავიტანოთ დიდ ლანგარზე. ზემოდან მოვასხათ ტომატის ცხარე, ცხელი საწებელა, დავაფაროთ თავზე, გავაჩეროთ 2-3 წუთი და სუფრაზე გავიტანოთ. საწებელა ასე მზადდება: ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი კარგად მოვშუშოთ ცხიმში, შემდეგ დავამატოთ ტომატ-პასტა, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, ბლომად წითელი წიწაკა და მუდმივად ვურიოთ 5 წთ-ის განმავლობაში. ბოლოს ჩავაყაროთ დანაყილი ნიორი, მარილი და უმჯობესია, დავასხათ ბულიონის წვენი იმ რაოდენობით, რომ მივიღოთ ზომიერად ბლანტი მასა. ერთი ულუფისათვის ერთი ტყის ქათამია საჭირო.

# ძაღლის წახალისება

მეძებართან მუშაობის დროს მგეშავი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ძაღლის კვებას, რადგან კვებაზე ოთხფეხა შეგირდის მარტო ჯანმრთელობა და ამტანობა კი არაა დამოკიდებული, არამედ დაოსტატებაც. ერთი მხრივ, ყოველდღე მინდორში გასვლა და მუშაობა, თუნდაც მხოლოდ 2-3 საათი, დახარჯული ენერგიის აღსადგენად გაძლიერებულ კვებას მოითხოვს. მეორე მხრივ, გამაძღარი და გასისინებული ძაღლი გაცილებით ძნელი საგეშია: სასუსნავით წახალისების მეთოდი ამ შემთხვევაში თითქმის გამოუსადეგარი ხდება. მხოლოდ მექანიკური ზემოქმედების გამოყენებით გეშვა კი ნაკლებად სასურველია, ხანდახან, უბრალოდ, შეუძლებელიცაა. გამოსავალი კარგად მოფიქრებული კვების რეჟიმშია, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ძაღლზე იქნება გათვლილი.

ძაღლი თუ რბილი ხასიათისაა, დამჯერია, ბრძანებებს სწრაფად და ზუსტად ასრულებს, მისი რაციონი მხოლოდ დახარჯულ ენერგიას უნდა ითვალისწინებდეს, ხოლო თუ ჯიუტი და თავნებაა, "ძნელადაღსაზრდელია", მაშინ სპეციალური კვების რეჟიმზე უნდა გადავიყვანოთ. ამისთვის ძალიან მარტივი წესების დაცვა მოგვიწევს: იმ დღეს, როცა მეცადინეობაა გათვალისწინებული, ძაღლს ვარჯიშამდე საჭმელს არ აძლევენ. თუ "მოწაფე" განსაკუთრებულად "გაუგონარია", მას წინა საღამოსაც მშიერს ტოვებენ. მინდორში ასეთი ძაღლი ერთი თვალით წინ რომ იყურება, მეორე - პატრონის ჯიბისკენ აქვს, იქნება, ლუკმა ჩამიდოს პირშიო. სასუსნავით წახალისების მეთოდს სწორედ ამგვარ შემთხვევაში აქვს ეფექტი. თორმეტ საათს ნაშიმშილარ ძაღლს არაფერი დაუშავდება - მშვენივრად ეყოფა ძალა 2-3 საათი სარბენად.

იმ ძაღლებს რაღა მოვუხერხოთ, რომლებიც საერთოდ აზიზად ჭამენ და დიდი დამჯერობითაც არ გამოირჩევიან? ასეთი ძაღლებისთვის მთელი დღე უჭმელობაც, ხშირად, ჩვეულებრივი ამბავია. ზოგიერთი მონადირე ამგვარად ირჯება: დაუდგამს ძაღლს საჭმელს, თუ პირი არ დააკარა, აიღებს და მეორედ მხოლოდ თორმეტი საათის შემდეგ შესთავაზებს. თუ მაინც უარი თქვა, ისევ თორმეტი საათი აშიმშილებს და მერე დაუდგამს. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ძაღლი იმდენად არ დაიმშევა, საჭმელს ხელიდან გვტაცებდეს. სწორედ ამ დროსაა საჭირო, როცა მეძებარი უკვე ხარბად და თქლაფა-თქლუფით მირთმევს სალაფავს, მინდორში სავარჯიშოდ გაყვანა, რა თქმა უნდა, შედარებით მოკლე ხნით. დამშეული ძაღლი ერთი ნატეხი პურის საფასურად, რასაც გინდა, იმას შეგისრულებს. საკამათო არავისთვისაა, მეძებართან მუშაობისას წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი ძირითადი ბრძანება გახლავთ - "ჩემთან!". ძაღლი დაუყოვნებლივ უნდა მოდიოდეს ამ ბრძანებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან ერთად მინდორში არა გესაქმებათ რა. ამ ბრძანების ათვისება, შეუფერხებლად შესრულება, სასუსნავის გამოყენების გარეშე, ძნელად მიიღწევა; ეს მეთოდი განსაკუთრებით მშიერ კუჭზე მოქმედებს კარგად - როცა ჯილდო გამორჩეულად სასურველია და ცივი მჭადიც შაქარია.

ისეთ მგეშავსაც შევხვედრივარ, რომელიც მიიჩნევდა, რომ წვრთნის დროს ძაღლს სახლში საერთოდ არ უნდა ვაჭამოთ საჭმელი - მინდორში ბრძანებების და მითითებების სწორად შესრულებისას ჯილდოდ რასაც მიიღებს, საძღომადაც ეყოფა და წასახალისებლადაცო.

შეზღუდული კვების რეჟიმზე გადაყვანისას არ უნდა გადავაჭარბოთ, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ყოველი ვარჯიშის, მინდორში ყოველი გასვლის შემდეგ შეგირდი კარგად უნდა დავანაყროთ, ულუფა გავუზარდოთ, ჩვეულებრივზე მეტი საკვები მივცეთ. მხოლოდ მინდორში მეორედ გასვლის წინ შეიძლება ძაღლის კვებასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარება, უკეთესი მორჩილების მისაღწევად.



დასკვნა ასეთია: მგეშავს სასუსნავი ყოველთვის უნდა ედოს ჯიბეში და საკმაო რაოდენობითაც. ძაღლის წახალისება აუცილებელია ყველა ზუსტად შესრულებული დავალებისა და ბრძანების შემდეგ.

# ყნოსვა და ალღო

ალეკო ნუკრაძე





ყოველი ცოცხალი ორგანიზმი მუდმივ კავშირშია გარემოსთან, დროულად რეაგირებს ყოველგვარ ცვლილებებზე, ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვითგადარჩენისთვის. ძაღლები გარემოს აღქმისას უპირატესად ყნოსვით ხელმძღვანელობენ, სმენასა და მხედველობას კი მათთვის მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ენიჭება. ყნოსვის დაკარგვა გაცილებით დიდ დაღს ასვამს მათ ზნესა და ქცევას, ვიდრე სიბრმავე ან სიყრუე. სწორედ ამას ადასტურებს ნათქვამი, რომ ადამიანი სამყაროს შეიცნობს თვალებით, კატა - ყურებით, ხოლო ძაღლი - ცხვირით. სანადირო ძაღლების იმ ჯიშთა შორის, რომელთა სპეციალიზაცია ყნოსვის გამოყენებაზეა დაფუძნებული, მეძებრებიც არიან. ნადირობის თავისებურებიდან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე მიმდინარე სელექციის შედეგად მათმა ყნოსვამ თავისებური, ორიგინალური იერი და შინაარსი შეიძინა. მეძებრის ფუნქციაა, მოძებნოს ფრინველი, გაუკეთოს ნაბული და ამით ზუსტად მიგვითითოს მისი ადგილმდებარეობა. მონადირის მიახლოების შემდეგ, ბრძანებისთანავე, მიტანებით ამოიყვანოს და ამგვარად მისცეს მას ახლო მანძილიდან შედეგიანი სროლის საშუალება. ფრინველის პოვნაში მეძებრის ერთადერთი იარაღი ყნოსვაა. ამიტომაც კარგი ყნოსვის მქონე სანადირო ძაღლი ყოველთვის ფასობს. ნადირობაც გაცილებით შედეგიანია, ხოლო ძაღლის მუშაობა ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მხილველს. მეძებრის ყნოსვა, თავისი არსით, მხოლოდ სუნის აღებით არ შემოიფარგლება, მისი რაობა უფრო რთული და მრავლისმომცველია. სამართლიანი იქნებოდა, თუ ამ თვისებას ალღოს ვუწოდებდით და დავსძენდით, რომ მის ერთ-ერთ კომპონენტს საკუთრივ ყნოსვა წარმოადგენს. თუმცა, დღეს, ტრადიციულად, შეგრძნებათა ამ კომპლექსს ყნოსვას უწოდებენ. მეძებრის ყნოსვა ჯერაც ბოლომდე ამოუცნობი ფენომენია, ძაღლის თავის ტვინში მოთავსებულ "ლაბორატორიად" წოდებული, რომლის მოქმედების მექანიზმები სრულად არაა შესწავლილი. სწორედ ყნოსვის მეშვეობით ახერხებს ძაღლი, ამოიცნოს, გამოარჩიოს და გაშიფროს სანადირო ობიექტის სუნი ემანაციების იმ დიდ მრავალფეროვნებაში, რასაც აღიქვამს მისი ცხვირი - ნატიფი და მგრძნობიარე ინსტრუმენტი. სწორედ ყნოსვა და ყნოსვითი ორიენტაცია უდევს საფუძვლად მეძებრის მუშაობის უკლებლივ ყველა ელემენტს და განაპირობებს მათ გამოვლინებას.

ყნოსვაზე საუბრისას აუცილებელია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ სუნის ანუ ემანაციის რაობის, მისი გავრცელების ძირითადი კანონზომიერების შესახებ. ემანაცია შედგება სუნის მოლეკულებისგან, რომლებსაც გამოყოფს ცოცხალი ორგანიზმი. ამ მოლეკულებს აქროლადი ხასიათი აქვს, ე.ი. ორთქლდებიან სხეულის ზედაპირიდან და გადაადგილდებიან ჰაერის მეშვეობით. მტაცებლებსა და მღრღნელებს სუნის ნაწილაკები თათის ბალიშებზე მდებარე საოფლე ჯირკვლებიდან გამოეყოფათ. ფრინველებს ოფლი არ ახასიათებთ. სამაგიეროდ, მათ ნისკარტის ძირზე და კურტუმოზე აქვთ სხვა ტიპის ჯირკვლები, რომელთა სეკრეტიც სპეციფიკური სუნის მოლეკულებს შეიცავს. სწორედ კურტუმოს ჯირკვლების ცხიმოვანი გამონაყოფით აქვს ფრინველს მთელი ბუმბული და ფეხები დაფარული. აქედან აჩნდება სუნი კვალს, გაფანტულ ბუმბულს, ქერცლს, ექსკრემენტებს. ფრინველის ბუმბულის საფარიდან ემანაცია ორთქლდება, ხვდება ჰაერში და ქმნის სუნის მოლეკულების ორთქლის ღრუბელს. ქარის არარსებობის ანუ შტილის პირობებში ამ ღრუბელს ნახევარსფეროს ფორმა აქვს. ამ შემთხვევაში სუნი ჰაერში ვრცელდება მხოლოდ დიფუზიის გზით, მცირე მანძილზე და ფრინველისგან ყველა მხარეს თანაბრად. ქარის ან ნიავის პირობებში ჰაერის ნაკადს ემანაცია გადააქვს კონკრეტული მიმართულებით. ამ დროს სუნის დინებას კონუსის ფორმა აქვს, რომლის წვერში ანუ სათავეში მისი გამომყოფი ობიექტი იმყოფება. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ შტილის შემთხვევაში ემანაციის კონცენტრაცია ჰაერში მისი წყაროსგან მანძილის კუბის უკუპროპორციულია, ხოლო ნიავის პირობებში - ამავე მანძილის კვადრატის უკუპროპორციული. აქედან გამომდინარე, სუნის კონცენტრაცია, ფრინველისგან დაშორებისას, ორივე შემთხვევაში გეომეტრიული პროგრესიით ეცემა, თუმცა ემანაცია ნიავით გაცილებით უფრო შორს ვრცელდება, ვიდრე შტილის დროს. არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი, რომ ნებისმიერი კონკრეტული სახეობის ფრინველის ან ცხოველის სუნი პოლიმოლეკულური ხასიათისაა, ანუ შედგება რამდენიმე სახის მოლეკულისაგან. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ძაღლი ყნოსვით ასხვავებს ინდივიდებს ერთი სახეობის ფარგლებში, მონომოლეკულური ემანაცია კი ინდივიდუალურ სუნს ვერ განაპირობებს. პოლიმოლეკულური ემანაციის შემადგენელი ნაწილაკები, ბუნებრივია, განსხვავდებიან აქროლადობის ხარისხით - ზოგი შედარებით მსუბუქია, ზოგიც უფრო მძიმე. სუნის მანძილზე გადატანისას მძიმე მოლეკულები თანდათანობით ადსორბირდებიან ანუ ილექებიან ჰაერის ნაკადთან შემხებ ზედაპირებზე - მცენარეულობაზე, გრუნტზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, რაც უფრო შორს ვრცელდება სუნი, მით უფრო იცვლება მისი კომპონენტების რაოდენობრივი თანაფარდობა - შესაბამისად, მატულობს მსუბუქი და მცირდება მძიმე მოლეკულების ხვედრითი წილი, რაც ემანაციის თვისობრივი მაჩვენებლების შეცვლას იწვევს და საერთო კონცენტრაციის დაცემასთან ერთად, მის ამოცნობას და გაშიფვრას ართულებს. სუნის ძალაზე, მის გავრცელებაზე და აქედან გამომდინარე, მეძებრის მიერ დემონსტრირებულ ალღოს ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები, რელიეფის, ნიადაგის, მცენარეული საფარის თავისებურებები, დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდი და ა.შ. თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა.

მეძებრის ყნოსვა თანდაყოლილი თვისებაა, თანდათან იხვეწება და სრულ განვითარებას ინტენსიური პრაქტიკით აღწევს. იგი ორი კომპონენტისგან - ყნოსვის სიშორისა და ყნოსვის სიზუსტისგან შედგება. თუმცა, ყნოსვა რეალურად ერთი მთლიანი, მონოლითური რამ არის თავისი არსით და მასში ეს კომპონენტები ისეა ერთმანეთთან შერწყმული, რომ ამ თვისების დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად საკმაოდ პირობითია, თუმცა დასახასიათებლად მოსახერხებელი.

ყნოსვის სიშორე, ანუ სიმძაფრე, ანუ აღქმითი კომპონენტი, მეძებრის უნარია, ამა თუ იმ მანძილიდან იყნოსოს ჰაერის ნაკადით მოტანილი საკუთრივ ფრინველის სუნი. იგი ყნოსვის აპარატის ფუნქციაა, რომელიც ცხვირის ღრუს ლორწოვანში განლაგებული რეცეპტორების სახით არის წარმოდგენილი. აღქმითი კომპონენტის განვითარების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია ამ რეცეპტორების მგრძნობელობაზე, საიდანაც ნერვული იმპულსი თავის ტვინში ყნოსვის ცენტრს გადაეცემა. რაც უფრო დიდ მანძილზე გადააქვს ნიავს ფრინველის ემანაცია, მით უფრო დაბალია მისი კონცენტრაცია ძაღლის მიერ შენასუნთქ ჰაერში, ამიტომ რაც უფრო მგრძნობიარე ცხვირის პატრონია, მით უფრო შორიდან იკრავს სუნს. ემანაციის იმ მინიმალურ კონცენტრაციას, რასაც აღიქვამს ყნოსვის აპარატი, ზღვრული კონცენტრაცია ეწოდება. ეს სიდიდე ყნოსვის სიმძაფრის ძირითადი მახასიათებელია და რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ძაღლის ცხვირი გვერდიდან გაცილებით უკეთ შეიგრძნობს ემანაციას, ვიდრე წინა მხრიდან. ამას განაპირობებს ნესტოების გვერდითი ჭრილი, რომელთა მეშვეობითაც სუნთქვისას მეტი ჰაერი მოძრაობს ცხვირის ღრუში. სწორედ ამ თავისებურებიდან გამომდინარე, მეძებარი, რომელიც კარგად სარგებლობს ჰაერის ნაკადით, მოხვდება რა ხელსაყრელ პირობებში, ე.ი. თანაბარი ნიავის ჭავლებში, სპეციალური სწავლების გარეშე ძებნას იწყებს ჰაერის ნაკადის მართი კუთხით გადამკვეთ პარალელებზე. ამგვარად, ძაღლი ცხვირის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილით აკონტროლებს ნიავს და მაქსიმალურად ავლენს საკუთარი ყნოსვის შესაძლებლობებს.

ყნოსვის სიზუსტე ანუ ანალიზური კომპონენტი, მთლიანად დამოკიდებულია თავის ტვინში და ქერქში მდებარე შესაბამის ცენტრებზე, რომლებიც ნერვული სიგნალის სახით იღებენ ინფორმაციას ემანაციის შესახებ, აანალიზებენ და შიფრავენ მას. სუნის აღების შემდეგ ყნოსვითი ორიენტაციის გამოვლინება - ფრინველთან მიახლოება ანალიზური კომპონენტის მუშაობის გაიოლებას ემსახურება. სუნის წყაროსკენ მოძრაობისას, ჰაერში მისი კონცენტრაცია იზრდება და შესაბამისად, უფრო ინფორმატიული ხდება, რაც ძაღლს უადვილებს, ემანაციების ჭრელი კრებულიდან უკეთ გამოარჩიოს სასურველი სუნი და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. რაც შეეხება ნაბულზე გაჩერებულ მეძებარს, მას უკვე ყველა კითხვაზე აქვს პასუხი გაცემული. იგი გამოარჩევს კონკრეტულ ფრინველს ინდივიდუალური სუნის მეშვეობით, აფიქსირებს მის ადგილსამყოფელს, მიტანებისას კი ზუსტად აჩვენებს იმ ალაგს, რომელიც "ეჭირა ცხვირზე". ყნოსვის კარგი სიზუსტის მქონე მეძებარი ასხვავებს საკუთრივ ფრინველის სუნს მისივე კვალის, ექსკრემენტის ან დაყრილი ბუმბულის სუნისგან, ნაბულს უკეთებს თავად ფრინველს და არა მის ძველ ნაჯდომს, მიტანებისას სწრაფად და შეუცდომლად ამოყავს იგი, იგებს ფრინველის მდგომარეობას, განსაკუთრებით სტრესულს, როდესაც ეს უკანასკნელი ხვდება საშიშროების მოახლოებას. ამიტომ მეძებარი უსაფრთხო მანძილზე უჩერდება ფრინველს, კრიტიკულ ზღვრამდე, რათა არ დააფრთხოს იგი. ზუსტი ყნოსვის გამოვლინებაა, როდესაც ძაღლი მყისიერად გრძნობს ყნოსვის ფარგლებში მოქცეული ფრინველის გადაადგილებას, დამოუკიდებლად იხსნება ნაბულიდან და აგრძელებს ძებნას ან ფრთხილად მისდევს, არ კარგავს ყნოსვიდან, ხოლო ფრინველის გაჩერებისას ისევ ნაბულზე დგება. არასაკმაო ყნოსვის სიზუსტის მქონე მეძებარი უშვებს სხვადასხვა შეცდომას ფრინველის ძებნისა და დამუშავების პროცესში: როცა ფრინველი ნაბულიდან გაურბის, ამ ფაქტს ვერ აფიქსირებს, ამიტომ მიტანებისას ზუსტად ვერ უთითებს მის ადგილსამყოფელს, მიახლოებისას ვერ საზღვრავს კრიტიკულ დისტანციას და უნაბულოდ აფრთხობს, უჭირს საკუთრივ ფრინველისა და მისი კვალის სუნის ერთმანეთისგან გარჩევა, ზედმეტ დროს უთმობს მათ შემოწმებას, ცრუ ლტოლვა-მიახლოებებს. ყნოსვის სიზუსტის ყველაზე დიდ ნაკლად ითვლება ცრუ ნაბული, როდესაც დიფერენციაციის უნარს მოკლებული მეძებარი ტყუვდება ძველი ნაჯდომით ან კვალით, იქ კი ფრინველი უკვე აღარაა. ყნოსვის ანალიზურ კომპონენტს მნიშვნელოვნად განაპირობებს ძაღლის ფსიქიკა და ტემპერამენტის ტიპი. ყნოსვის სიზუსტის მქონე მეძებრებს ახასიათებთ ძლიერი ფსიქიკა, გაწონასწორებული და სხარტი სანგვინიკის ტემპერამენტი. და პირიქით - ცრუ ნაბულებისადმი მიდრეკილება აღენიშნებათ ძლიერ აგზნებად, გაუწონასწორებელ ან ზედმეტად მგრძნობიარე, საუსტი ფსიქიკის მქონე ძაღლებს. მეძებრის განსაკუთრებულ ღირსებად ითვლება დიდი მანძილიდან ფრინველის ზუსტად და უშეცდომოდ დამუშავების უნარი. შორიდან მომდინარე სუნის გაანალიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება რომ გაცილებით რთულია, ვიდრე ახლოდან, უდავოა, რადგან ამ შემთხვევაში ემანაციაც სუსტია და მისი თვისობრივი შემადგენლობაც მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. საინტერესო დამოკიდებულებაა შენიშნული ყნოსვასა და ძაღლის ინტელექტს შორის. მეძებარს ყნოსვის ორივე კომპონენტი ჰარმონიულად უნდა ჰქონდეს განვითარებული, რადგან ერთ-ერთის არასრულფასოვნების შემთხვევაში, მეორის მარგი ქმედების კოეფიციენტი უზომოდ მცირდება.

მეძებრები ყნოსვას სხვადასხვა მანერით იყენებენ. მათი ერთი კატეგორია მაღალი ყნოსვით მუშაობს, ე.ი. იყენებს მხოლოდ ჰაერის ნაკადს ფრინველის აღმოსაჩენად. მაღალი ყნოსვა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ყნოსვის სიშორესთან და განსაკუთრებით ფიცხი ტიპის ბრიტანულ მეძებრებს ახასიათებთ. მეორე კატეგორია მიმართავს ყნოსვის გამოყენების კომბინირებულ მანერას, უხამებს რა ერთმანეთს როგორც ჰაერის ნაკადის, ასევე კვალის გამოყენებას. ასეთი მანერა, ძირითადად, გაწონასწორებული ტიპის გერმანულ მეძებრებს სჩვევიათ. მესამე კატეგორია მუშაობს მხოლოდ კვალზე. ეს შემთხვევა ან სუსტი ყნოსვის და ან არასწორი გეშვის შედეგია. თუმცა, საერთოდ მეძებრების ან მათი ჯიშების ამ მაჩვენებლის მიხედვით პრინციპული დაყოფა არაა მთლად მართებული, რადგან არსებობენ მაღალი ყნოსვის მქონე გერმანული მეძებრები და პირიქით. ამასთან, კონკრეტული სავარჯიშო და ამინდი მნიშვნელოვნად კარნახობს ძაღლს ყნოსვის გამოყენების ხერხს.

# ცოტა რამ კოჭის შესახებ

პირველად ჩვენში ე.წ. ხუთმანეთიანი უინერციო კოჭი გამოჩნდა. მართალია, იგი ასათვისებლად ძალზე იოლია, მაგრამ მრავალი ნაკლიც აქვს.

1) 0,03 ძუა მხოლოდ 80 მეტრი ეტევა;

2) ფსკერზე თევზაობისას ხეხავს ძუას და ინტენსიური თევზაობის პირობებში სამ-ოთხ კვირაში მწყობრიდან გამოჰყავს;

3) ცაციაა და სახელურის მარჯვნივ გადატანა გამორიცხულია;

4) დახურულია. სველი ძუა გვიან შრება და უდროოდ ზიანდება;

5) ხშირად ჭედავს ძუას ტყორცნისას და ა.შ.

ახლა უფრო ნაცადი და გამომდგარი განვიხილოთ: "Орион" - 002 და 003. "Орион"-002 კარგია ტივტივისათვის, ხოლო "Орион"-003 მშვენიერია ფსკერზე თევზაობისას. ეს მოდიფიკაცია "დულფინის" ტიპის კოჭებია, ძუა საკმაო რაოდენობის ეტევა ზედ და ძალზე გამძლეა. რედუქცია - 3,4:1;



კიდევ უკეთესი და გამომდგარია ამავე პერიოდში შემოსული იაპონური კოჭები - RYOBI RSX - 2 და 3. რედუქცია - 3,4:1;

აღნიშნული კოჭებით უკვე 22 წელია ვსარგებლობ და ღრმად ვარ მათ ულალატობაში დარწმუნებული.



დღეისათვის ეს სიკეთე სარჩევადაა ჩვენს ბაზარზე და რაც უფრო ძვირია ნივთი, შესაბამისად, მახასიათებელი უკეთესია.

ჩვენ შედარებით იაფს და გამომდგარს გირჩევთ:

ფსკერზე თევზაობისათვის:

Mikado LC 440 - 0,35 ძუა - 150 მეტრი; რედუქცია 4,8:1;

COBRA 440 - 0,35 ძუა - 150 მეტრი; რედუქცია - 5,1:1;

ტივტივით თევზაობისათვის:

COBRA - 140.

რედუქცია - 5,1:1.

**შენიშვნა**: *რედუქცია ნიშნავს - კოჭის სახელურის ერთი წრიული ბრუნის შედეგად კოჭზე ძუის 3-4-5-ჯერ დახვევას. რაც უფრო დიდია პარამეტრი, მით უფრო სწრაფია ნადავლის მეთევზემდე მოზიდვა!*

ცალკე სასაუბროა ინერციული კოჭი, მაგალითად, "ზვეზდა". აღნიშნული კოჭი გამოცდილი მეთევზის შეუცვლელი იარაღია, განსაკუთრებით დიდი ზომის თევზებზე სანადიროდ.

თევზის მძლავრ გაქაჩვას იგი გამაყრუებელი ჭრიალით პასუხობს და სწრაფი რეაგირებისათვის დროულად გვამზადებს.

გასაოცარია ინერციული კოჭით შესრულებული ტყორცნის სიშორე - 70-80 მეტრი.

# თევზაობა კალმახსა და წვერაზე

როლანდ მალანია

მოგეხსენებათ, ბევრს ხელი არ მიუწვდება ძვირფას სათევზაო მოწყობილობაზე, მაგრამ კაცი გამოსავალს ყოველთვის გამოძებნის.

ავიღოთ თხილის 4-5 მეტრის შხოლი, გავაცალოთ კანი და ერთი კვირის განმავლობაში ვაშროთ ჩრდილში, ჰორიზონტალურად დაკიდული. შრობის პროცესში შხოლის წვერი დავტვირთოთ ისე, რომ იგი ოდნავ მოირკალოს (ეცადეთ შხოლი ახალ მთვარეზე არ მოჭრათ, ვინაიდან დაჭიანდება და მალე გამოვა მწყობრიდან). სახელურთან 7-8 სანტიმეტრი დიამეტრის შხო-



ლი ხელისთვის ნაკლებად დამღლელი იქნება.

თუ ჩვენს მონათხრობს გულისყურით ჩაიკითხავთ, შხოლის გაშრობისთანავე შეძლებთ კალმახზე და წვერაზე თევზაობას.

აიღეთ 0,04 მმ სისქის ძუა, ჩააბით შხოლს წვერში, ოდნავ შესამჩნევ, სპეციალურად გაკეთებულ ნაჭდევში. ძუა, სიგრძით შხოლზე 15-20 მენტიმეტრით მოკლე, ძალზე მოსახერხებელია. კალმახისათვის №7-8 ნემსკავია სასურველი. ნემსკავიდან 10 სანტიმეტრში ძუაზე დაამაგრეთ 5-10-გრამიანი (დინების სიჩქარის მიხედვით) ტყვიის ბურთულა და ანკესი მზადაა.

შემდგომი ეტაპი ღორტავის შეგროვებაა. ღორტავი კალმახისა და წვერას ნუგბარი საკვებია, მას მდინარის მძლავრ ჩქერებში მოვიპოვებთ. მდინარის ჩქერიდან ამოღებული ყოველი ქვის ქვეშ, მრავალ მოფუსფუსე მწერს დაინახავთ. მათ შორის ღორტავი თავისი ფორმით და მოცულობით გამოირჩევა. იგი ოვალური და ბრტყელია. მას ზურგი რუხი აქვს, მუცელი კი თეთრი ან მოვარდისფრო. გაჭყლეტილს თევზის სუნი დაჰკრავს. ღორტავი რაც უფრო დიდია, მით უკეთესი. კარგია 1,5-2 სანტიმეტრი სიგრძისა. ღორტავი ადვილად კვდება და კარგავს სატყუარას თვისებებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნაჭრის მცირე ქისა, რომელშიც ღორტავს მოიმარაგებთ და ხშირ-ხშირად დაასველებთ ხოლმე.

კალმახი ძალზე აგრესიული თევზია, დარტყმა მეტად ძლიერი აქვს და სხვა თევზებში ამითაც გამოირჩევა. სპორტული თვალსაზრისით, კალმახზე თევზაობა ამიტომაცაა განსაკუთრებით აზარტული.

ღორტავს ნემსკავზე თავით მუცლისაკენ წამოვაგებთ და შხოლს მდინარის საწინააღმდეგოდ მოვიქნევთ.

გახსოვდეთ! თქვენ ტივტივის გარეშე თევზაობთ და კონტაქტი ღორტავსა და თქვენს შორის ერთი წამითაც არ უნდა შეწყდეს. რას ნიშნავს ეს? - ღორტავს წყალში ჩავარდნისთანავე დინება გაიტაცებს. სწორედ აქ გვმართებს მაქსიმალური ყურადღება. სატყუარა ისე უნდა ვმართოთ, რომ მან რაც შეიძლება ახლოს ჩაიაროს ფსკერთან და ამ დროს ერთხელაც არ გაიდრიკოს ძუა. რაც შეეხება თევზის დარტყმას - პირველად ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ნემსკავი რაღაცას წამოედოო, ამას წამში მძლავრი დარტყმა მოჰყვება, რომელიც უწყვეტ როკვაში გადაიზრდება. კალმახს რქოვანი ხახა აქვს და თუ დროზე არ მოქაჩეთ შხოლი თქვენკენ, ის უკვე წასულია და ნემსკავზე მხოლოდ ფრაგმენტებად შემორჩენილი ღორტავის ფიტული შეგრჩებათ.

კალმახზე მთელი დღე შეიძლება თევზაობა, მაგრამ გათენებიდან დილის 12 საათამდეა ყველაზე შედეგიანი მონაკვეთი.

მდინარე ბზიფზე, სადაც ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველა მდინარეზე უფრო უხვნადავლიანი იყო კალმახზე და ორაგულზე თევზაობა (სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინი ამ მდინარის ხშირი სტუმარი გახლდათ), რკინიგზისა და საავტომობილო ხიდებს შუა, 3-4 საათში, მეთევზეზე 20-30 ცალი კალმახი მოგვიპოვებია, ხშირად ორაგულთანაც გაგვიმართავს ბრძოლა, რაც უმთავრესად ლურსმანივით გასწორებული ნემსკავის "მოპოვებით" დასრულებულა.

ვთქვათ, ვერ შეძელით ღორტავის პოვნა, წითელ ჭიას რაღა დაუდგება წინ? გვერწმუნეთ, შედეგი აქაც სასურველი იქნება.

საქართველოს მდინარეებიდან კალმახზე ყველაზე კარგი სათევზაო ადგილებია: ფსოუ, ბზიფი, კოდორი, ხობისწყალი, ენგური, აბაშისა და ტეხურის სათავეები, ხელედულა, საკრაულა, სუფსის სათავეები, აჭარისწყალი, არაგვის, ალაზნისა და იორის სათავეები და მათში შემავალი ღელეები.

კალმახს წვერა, თითქმის, სათავემდე მისდევს დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთში კი უმთავრესად მურწა. წვერა სპორტული თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო ნადავლია მეთევზისათვის. მდინარეების ზემო წელში იშვიათად მოიპოვებთ მას, ქვემო წელში, წყლის გათბობასთან ერთად, კალმახი კლებულობს და ბოლოს, ბურთი და მოედანი წვერას რჩება. მდინარე აბაშასა და ტეხურზე შემსწრე ვარ და მეც მითევზავია წვერაზე "ღვანკით". "ღვანკა" არის ნიმფას (მედღეურის) ჭუპრი, რომლებიც მდინარეების თიხიანი ფსკერის უზარმაზარ ბელტებში ბინადრობენ. საკმარისია მდინარიდან ამოვიღოთ მიწის მოზრდილი ბელტი, რომ ადვილად შევამჩნევთ ფორებს და დამტვრევის შემთხვევაში, მრავალ ქათქათა ფერის ნიმფის ჭუპრებსაც ვიპოვით, რომლებიც აგებულებით მახრას მოგვაგონებენ. აი ამ სატყუარას უწოდებენ მეგრელები "ღვანკას". რამდენ "ღვანკასაც" მოიპოვებთ, იმდენი წვერაა თქვენი ნადავლი, ოღონდ კალმახთან შედარებით, თევზის ჭერის მეთოდი იცვლება. აქ თანამედროვე მოწყობილობის გარეშე რთულია სასურველი შედეგის მიღწევა.

საჭირო აღკაზმულობა:

1. შხოლი (ჯოხი) 2-2,5 მეტრი სიგრძისა, დრეკადი;
2. კოჭი (ინერციული ან პირიქით);
3. ძუა 0,25-0,03 მმ - მკედი - 0,15 მმ;
4. მდინარის ტივტივა მასიური, მყარი.

სიშორე ნემსკავიდან ტივტივამდე წყლის სიღრმით მიხედვით უნდა დავარეგულიროთ. სატყუარამ ახლოს უნდა ჩაიაროს ფსკერთან, რადგან წვერა, უმთავრესად, ფსკერიდან მოიპოვებს საკვებს.

უნდა ნახოთ, როგორი მოუთმენლობით ელიან სენაკელი მეთევზეები ტეხურის დაწმენდას, რათა ეშმაკ და მოუხელთებელ წვერაზე შედეგიანი თევზაობით მონადირული ჟინი დაიკმაყოფილონ.

**იყიდება** ირლანდიური სეტერი, ხვადი, 2 წლ. რუსეთიდან ჩამოყვანილი. დედ-მამა ჩემპიონები. თვითონ საველე გამარჯვებული. საველე დიპლომები: 2 - II ხარისხის. ტელ: 8(99) 19 10 53, 60 23 77.

**იყიდება** ინგლისური სეტერის მოზრდილი ლეკვი, ექვსი თვის, ძუ. ჩინებული საგვარეულოთი. მამა საველე დიპლომებით. ტელ: 31 48 35.

**იყიდება** ინგლისური კოკერ-სპანიელის ლეკვი, 2 თვის, კარგი საგვარეულოთი. ტელ: 877 49 50 73.

**ვიყიდი** სასწრაფო თოფს МЦ-8 ან МЦ-108. კარგ მდგომარეობაში. აუცილებლად მეორე წყვილი ლულებითურთ. ტელ: 99 83 00. იკითხეთ ენვერი.

ჩანართი მოამზადა შადიმან შამანაძემ

**ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

აცხადებს ბავშვების მიღებას 6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.

ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

იყიდება 1-ოთახიანი ბინა საბურთალოს ბოლოში. 95 10 04, 96 79 80, 37 06 73

იყიდება ვაკეში კავსაძეზე 2-ოთახიანი სუფთა ბინა მე-5 სართულზე ტელეფონით. საწყისი ფასი 24 500. 22 67 82

იყიდება გარემონტებული 4-ოთახიანი დიდი ავტოფარეხით, საუკეთესო პირობებით დ/დიღომში 17 000-ად. 53 27 86

იყიდება მშენებარე ინდივიდუალური სახლი ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. აშენებულია 450 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 800 კვ.მ. ფასი 60 000 $. 33 26 78

იყიდება გარემონტებული უცხოვრებელი 3-ოთახიანი ბინა ავტოფარეხით, ახალი ავეჯით ვაკეში. 98 52 81 (21 საათიდან)

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 38-20-89, 899 58-96-31

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

იყიდება 110 კვ.მ. ბინა 3(8) იოსებიძეზე. 8(99) 59 86 30

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე (მე-9 საავადმყოფოს პირდაპირ). ფასი 40 000 $. 22 25 00

## მიწის ნაკვეთები

იყიდება მიწის ნაკვეთი მეტრო ავლაბართან. 76 92 32

ვცვლი ან ვყიდი სააგარაკე მიწის ნაკვეთს 300 კვ.მ.-ს ზღვიდან 120 მ-ის დაშორებით თბილისში გარეუბანზე, 1,5-ოთახიანზე. 8(77) 71 22 84

## ბინები

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

## ქირა, გირაო

გირავდება 4-ოთახიანი ჩეხური, ტელეფონიანი, რემონტიანი ბინა დიდი დიღმის დასაწყისში. ს.ფ. 8 800 $. 53 25 38. ნინო

## კომერც. ფართი

იყიდება სამსართულიანი სასტუმრო 30 საწოლზე დამხმარე ნაგებობებით წაღვერში, პანსიონატ "კეჩხობის" ტერიტორია. ფასი 170 000. 33 54 51 მიშა

იყიდება კეთილმოწყობილი ფერმა ტბასთან ერთად აეროპორტთან. ფასი შეთანხმებით. 8(99) 55 29 99

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

## მანქანები

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, 44 კვადრო, ავგისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $. 8(77) 44 13 40

იყიდება ოპელ "ვექტრა" 1990 წლის, ჰიდრავლიკით, ლუკით, ABC-ით. ცენტრალური გასაღებით, საბარგულით. ფასი 2600. 33 54 51 მიშა

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფორმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.

ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $.

ტელ: 68 36 49

## სწავლება

მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტში სწავლა იწყება 1 ნოემბრიდან. 39 66 50, 23 13 33

მოვამზადებ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. ვასწავლი რუსულს, ფორტეპიანოს სახლში მისვლით. მაქვს უმაღლესი განათლება. 32 02 63

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

## სხვადასხვა

იყიდება ფრანგული ბულდოგის ლეკვები. 95 66 00

იყიდება ანტიკვარული ჭალი. 22 58 71 საღამოს

სესხები ბინის გარანტიით. 95 10 04, 96 79 80, 37 06 73

ნაძალადევის რაიონში დაიკარგა კავკასიური ნაგაზი ვეფხისებრი შეფერილობის. მპოვნელი დასაჩუქრდება. 69 58 15, 8(77) 47 10 63

შევიძენ პოკერის სათამაშო ავტომატებს. 29 33 93, 8(99) 10 30 17

სამრეცხაო "VIP"-ი ინდივიდუალურად გაგირეცხავთ ყველა სახის სარეცხს. სურვილისამებრ მოგემსახურებით ბინაზე. თამარაშვილის 13 ა. 23 25 90

დაგიმონტაჟებთ სატელეფონო ხაზზე საქალაქთაშორისო და მობილურ ქსელში ფარული დარეკვებისაგან დამცავ ბლოკირატორს. 77 95 44, 98 42 48

კვალიფიციური მასაჟისტი გთავაზობთ ბინაზე მისვლით სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მასაჟებს დიდებზე და ბავშვებზე. 32 06 43

ვისესხებ-გავასესხებ. 96 21 10

ვასრულებ კლასიკურ - ქართულ სტილში ნებისმიერი ინტერიერის დეკორატიულ-ფერწერულ მოხატვას. 79 60 84

შევიძენ უჟანგავი მასალისაგან დამზადებულ თაფლის გამოსაწურ ციბრუტს (ცენტრიფუგას). 23 05 06

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

იყიდება ჭალი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის, 5-სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.

ტელ: 333560 8(77) 739129

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

იყიდება საძინებელი და სასტუმრო ოთახის გარნიტურები "D-10" I გამოშვება. ფასი შესაბამისად 2 900 და 5 500. 22 46 96

ვისესხებ თანხას კორპუსის ბინის მყარი გარანტიით. პასუხისმგებლობას ვიღებ საბუთების მართებულობაზე. 99 95 75, 8(99) 95 74 55

გავასესხებ თანხას ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში ჩვენი თანხით. 92 09 63, 8(99) 95 74 55

ყველაზე იაფად საქართველოში! ოთახების გადაკეთება, ლესვა, ელექტრობა, რემონტი. 8(77) 72 39 41 გივი

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.

ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.

ფასი: 14000.

ტელ: 893 31-17-72

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

**15 ოქტომბრიდან ტელეფონით**
მიღებული განცხადების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით.

98-86-43, 53-76-43




## ს კ ა ნ დ ი ნ ა ვ ი უ რ ი   კ რ ო ს ვ ო რ დ ი



## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ანსამბლი "ივერია" წარმოადგენს მიუზიკლს "ფიროსმანი"
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**რუსთაველის თეატრი**
ბერტოლდ ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრე", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00, ფასი 2-20 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 19 სთ; ფასი 3 ლარი

**თეტრალური სარდაფი**
"ეტცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ია გიგოშვილის პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა"**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტოგამოფენა

**ძველი გალერეა**
ნინო ფურცხვანიძის ფოტოგამოფენა, "ქართული პორტრეტი და ჰოლანდიური პეიზაჟი"

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"შიშის ფასი", მთავარ როლებში; ბენ აფლეკი, მორგან ფლიმაკი
დას: 14:00; 20:00 სთ, ფასი 5-7 ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 22:00 სთ, ფასი: 6,7 ლარი

**„რუსთაველი"**
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი



ფეხბურთი

# „რეალი„ ბერძნებს კვლავ ვერ უგებს, „რომა„ კი ისევ კრიზისშია

CHAMPIONS LEAGUE

აკა ტონია

მთელი საფეხბურთო ევროპა მოუთმენლად ელოდა მადრიდელთა ახალი შენაძენის, რონალდოს საჩემპიონთალიგო დებიუტს. ის მართლაც შედგა, მაგრამ სპექტაკლი, რომელსაც გულშემატკივრები ბრაზილიელი სუპერ-ვარსკვლავისგან ელოდნენ, სხვა ფეხბურთელის შესრულებით გაიმართა: "აეკთან" მატჩი "სამეფო კლუბისაგან" გარიყული სტივ მაკმანამანის ბენეფისად იქცა. მაკმანამანმა ბერძნებს ორი გოლი გაუტანა (24-ე და 43-ე წუთებზე) და თითქოსდა გამარჯვებაც გარდაუვალი იყო. თუმცა "აეკელი" კოსტას კათსურანისის (74-ე წუთზე) და ვალტერ კენტენოს (86`) მიერ გატანილმა გოლებმა "რეალის" მომდევნო ეტაპზე გასვლა მინიმუმ კიდევ ერთი თამაშით გადადო.

გუშინდელ მატჩში გამარჯვებით მომდევნო ეტაპის საგზურის განაღდება შეეძლო ასევე ესპანურ "ვალენსიასაც", რომელიც ლიგის დებიუტანტს, შვეიცარიულ "ბაზელს" სტუმრობდა. თუმცა ესპანელები მხოლოდ ფრეს (2:2) დასჯერდნენ და შედეგით კმაყოფილებიც უნდა იყვნენ, რადგან "ბაზელელი" ივან ერგიკის გოლის "წყალობით" "ვალენსია" თავდაპირველად აგებდა კიდეც. ერგიკის გატანილი ბურთი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ის ჩემპიონთა ლიგის საიუბილეო – რიგით 2500-ე გოლი აღმოჩნდა. თუმცა "იუბილემ" დიდხანს არ გასტანა: "ვალენსიელმა" ბარახამ ანგარიში 4 წუთში, მატჩის 36-ე წუთზე გაათანაბრა. 72-ე წუთზე ასევე "ვალენსიელმა" კურო ტორესმა ანგარიში გაზარდა და თითქოსდა ესპანელთა გამარჯვებაც გარდაუვალი უნდა ყოფილიყო, რომ არა ისევ ერგიკი, რომელმაც თავისი მეორე გოლი გაიტანა მატჩის 89-ე წუთზე. მოსკოვში, ადგილობრივ "სპარტაკთან", ანგარიშით 1:3 გამარჯვების წყალობით, ინგლისურმა "ლივერპულმა" "ვალენსიასთან" (10 ქულა) სხვაობა შეამცირა და ჯგუფის ლიდერს ახლა 3 ქულით ჩამორჩება.

სიურპრიზი იყო ისიც, რომ ჯგუფიდან გასვლის გარანტია ვერც ლონდონის "არსენალმა" მოიპოვა, მით უმეტეს, რომ საკუთარ კედლებში ტრადიციულად ძლიერად მოასპარეზე ინგლისელები ფრანგულ "ოსერს" მასპინძლობდნენ - გუნდს, რომელსაც გუშინდელ დღემდე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა აქტივში. გუშინ ფრანგებმა სასწაული მოახდინეს და ლონდონელთა წაუგებელი სერია ჩემპიონთა ლიგაში (9 ქულა 3 მატჩში), სტუმრად, 1:2 გამარჯვებით შეწყვიტეს. მიუხედავად მარცხისა, "არსენალი" კვლავინდებურად რჩება A ლიდერად, უსწრებს რა 2 ქულით მეორე ადგილზე მყოფ "ბორუსიას". არადა, გერმანელებს ჯგუფის სათავეში გადანაცვლების კარგი შანსი ჰქონდათ. "ბორუსია" ჰოლანდიურ "ეინდჰოვენს" მასპინძლობდა და ჩეხი ლეგიონერის, იან კოლერის მე-10 წუთზე გატანილი გოლის წყალობით იგებდა კიდეც პირველ ტაიმში. თუმცა მატჩის 47-ე წუთზე ბრუგინკმა წონასწორობა აღადგინა და "ეინდჰოვენს" მომდევნო ეტაპზე გასვლის ნაკლებსავარაუდო, მაგრამ თეორიული შანსი მაინც დაუტოვა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა D ჯგუფში. ლიონის "ოლიმპიკმა" წინა ტურის ტრიუმფი ვერ გაიმეორა, თუმცა შინ, იტალიის 13 გზის ჩემპიონ "ინტერს" 3 ქულის აღების საშუალება არ მისცა – 3:3. ამ ფრემ ფრანგები ჯგუფის სათავეში დატოვა. ცხრილში მეორე ადგილს, ხუთ-ხუთი ქულით "ინტერი" და ამსტერდამის "აიაქსი" იყოფენ. არადა, ჰოლანდიელებმა 7 ქულის მოგროვების კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. "აიაქსი" ნორვეგიულ "როსენბორგს" მასპინძლობდა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის მიერ 41-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა. თუმცა, მატჩის 87-ე წუთზე, საჯარიმოში ხელით თამაშისათვის, ჰოლანდიელთა კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, რომელიც გამოიყენა კიდეც "როსენბორგელმა" ენერლიმ – 1:1.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო თავი "რომამ". იტალიელებმა საკუთარ კედლებში ვერ სძლიეს ბელგიურ "გენკს" – 0:0. "რომაელებს" ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩამდე მოუწევთ შემდეგ ეტაპზე გასვლისათვის ზრუნვა.


REUTERS
"რეალმა" ვერ მოიგო და ვერც რონალდომ გაიტანა გოლი.

| ჯგუფი A | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბორუსია | 1 - 1 | ეინდჰოვენი | | | | | |
| არსენალი | 1 - 2 | ოსერი | | | | | |
| ცხრილი | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
| 1 | არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| 2 | ბორუსია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 3 | ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 4 | ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

| ჯგუფი B | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 1 - 3 | ლივერპული | | | | | |
| ბაზელი | 2 - 2 | ვალენსია | | | | | |
| ცხრილი | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
| 1 | ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| 2 | ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| 3 | ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| 4 | სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

| ჯგუფი C | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 - 2 | აეკი | | | | | |
| რომა | 0 - 0 | გენკი | | | | | |
| ცხრილი | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
| 1 | რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:5 | 8 |
| 2 | რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| 3 | აეკი | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| 4 | გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |

| ჯგუფი D | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 - 3 | ინტერი | | | | | |
| აიაქსი | 1 - 1 | როსენბორგი | | | | | |
| ცხრილი | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
| 1 | ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| 2 | ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| 3 | აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| 4 | როსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |

# "ბაიერნის" ოცნება დღეს დაიმსხვრევა?

*საოცარი ხალხია მიუნხენის "ბაიერნის" ქართველი გულშემატკივარი. ჰიცფელდის გუნდს სამი თამაშის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვს, ბურთების შეფარდება 4-6-ზეა, კალენდარი - საშინლად ცუდი... ქართველებს კი სჯერათ, რომ ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი დარჩენილ სამივე მატჩს მოიგებს და მეორე ეტაპზე გავა. თუ მიუნხენელები ამას შეძლებენ, მათ წინაშე ქუდის მოხდა მოგვიწევს. ასეა თუ ისე, დღეს, საღამოს, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ გაირკვევა. სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2" გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს მილანიდან, სადაც კალაძე და კომპანია ბავარიელთა დამარცხებას შეეცდებიან.*

დიმიტრი ობოლაძე

**E ჯგუფი**
**"ნიუკასლი" - "იუვენტუსი"**
**"დინამო" - "ფეიენოორდი"**

ინგლისის "ნიუკასლი" აუტსაიდერია, მაგრამ გუნდის მწვრთნელი სერ ბობი რობსონი არ მალავს, რომ მესამე ადგილზე გასვლა და უეფას თასზე თამაში სურს. "დღეს ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, - განაცხადა რობსონმა, - არ შეიძლება, ჩემმა გუნდმა თავისი ნამდვილი ძალა არ აჩვენოს. ეს სწორედ დღეს მოხდება. ბიჭები ბევრს და მწვავედ შეუტევენ". მეორე ადგილისთვის კიეველები და ჰოლანდიის "ფეიენოორდი" იბრძვიან. დღეს ეს ორი გუნდი ერთმანეთში გაარკვევს ურთიერთობას. კიეველებსა და როტერდამელებს ერთი საერთო პრობლემა აქვთ - გოლების გატანა უჭირთ. "მოიგებს ის, ვინც მაქსიმალურად გამოიყენებს გოლის გატანის მცირე შანსსაც კი", - ასეთია ვალერი ლობანოვსკის მემკვიდრის, ალექსეი მიხაილიჩენკოს მოსაზრება.

**F ჯგუფი**
**"ბაიერი" - "მაკაბი"**
**"ოლიმპიაკოსი" - "მანჩესტერი"**

ეს ჯგუფი "სამოსნებისა" და საოცრებების ჯგუფია. დაძაბულობის მიუხედავად, არც ერთი შეხვედრა ფრედ არ დამთავრებულა. მანჩესტერელები "ხუთოსნები" არიან. ყველაზე მოულოდნელი, ალბათ, ისრაელის "მაკაბის" პოზიციაა. მას, ლევერკუზენის "ბაიერსა" და საბერძნეთის "ოლიმპიაკოსს" სამ-სამი ქულა აქვთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტოპმიოლერის გუნდმა თამაშს საგრძნობლად უმატა, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სწორედ "მაკაბი" უნდა ჩავარდეს. "ოლიმპიაკოსს" კი მხოლოდ ერთი შანსი აქვს. ფერგიუსონმა უნდა მიმართოს თავის მორიგ "ესპერიმენტს", რომელიც არ გაამართლებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ გამარჯვების რეალური შანსი ბერძნებს.

**G ჯგუფი**
**"მილანი" - "ბაიერნი"**
**"ლანსი" - "დეპორტივო"**

აქ, ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელია. "მილანი" და "დეპორტივო" საკმაოდ შორს არიან მეტოქეებისგან. თუმცა, დღევანდელ მატჩს, რომელიც იტალიაში უნდა გაიმართოს, დიდი აჟიოტაჟი უძღვის წინ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა არა რომელიმე სხვა კლუბი, არამედ მიუნხენის "ბაიერნი". ჰიცფელდის გუნდის გარდა, არც ერთ სხვა კლუბს არ ექნებოდა იტალიაში, "მილანთან" მოგების ასეთი ამბიცია. არადა, ანჩელოტის გუნდი, როგორც სატურნირო მდგომარეობით, ისე სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე, იდეალურ პირობებში იმყოფება. სტუმრები იძულებულნი არიან, დიდი ძალებით შეუტიონ. მილანელთა დაცვა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, კონტრშეტევაზე თამაში კი ანჩელოტის გუნდს ძალიან კარგად გამოსდის. მწვრთნელი არც მალავს, რომ დაცვაზე აკეთებს აქცენტს. "ჩვენ არსად გვეჩქარება. "ბაიერნმა", რომელსაც დიდ პატივს ვცემ, უნდა შეუტიოს. ჩვენ კი ჩვენს შანსს დაველოდებით და, იმედი მაქვს, გამოვიყენებთ". თუ დღეს გერმანელებმა ვერ მოიგეს, აქ ყველაფერი დასრულდება. თუმცა, "დეპორტივომაც" უნდა იბრძოლოს და დღესვე მოაგვაროს მეორე ეტაპზე გასვლის საკითხი. თორემ, თუ "ბაიერნმა" მოიგო...

**H ჯგუფი**
**"ბრიუგე" - "გალათასარაი"**
**"ბარსელონა" - "ლოკომოტივი"**

"კატალონიას თავი ქუდში აქვს", "ბარსელონა" მეორე ეტაპისთვის უნდა მოემზადოს", - ასეთი შინაარსის სათაურებს ესპანურ გაზეთებში შეხვდებით. ლუის ვან გაალი და მისი ფეხბურთელები, რომლებიც "ნოუ კამპზე" რუსებს მიიღებენ, გოლების წვიმას და ლამაზ თამაშს გვპირდებიან. რუსეთის კლუბის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ შანსი არა აქვთ. უფრო საინტერესოა ბელგიის ამბიციური "ბრიუგესა" და "გალათასარაის" დუელი. თურქები მძიმე მდგომარეობაში არიან. ფატიჰ თერიმის გუნდს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს "ალი სემი იენის" სტადიონზე დღევანდელ მეტოქესთან ფრედ დასრულებული შეხვედრა.

# სამწუხაროდ, ჩვენ ამას მივეჩვიეთ...

*19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის პირველობა გაისად, 16-დან 31 ივლისამდე ლიხტენშტაინში გაიმართება. მანამდე კი კონტინენტის 44 სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომლებიც 11 საკვალიფიკაციო ჯგუფში არიან განაწილებული, შესარჩევ მატჩებში იბრძვიან ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად. მე-8 საკვალიფიკაციო ჯგუფი, რომელშიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებია განთესილი, თავის მატჩებს თბილისში მართავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინ თამაშის უპირატესობა აქვს, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი მაინც სიმბოლურია.*

აკა ტონია

საქართველო 0:1 (0:1) ბელგია

**საქართველო:** *ნაფეტვარიძე, კალაძე (წილოსანი), იმედაშვილი, ლ. ჭელიძე, კაშია, ბურაძე, ფირცხალავა (მჭედლიძე), დარსანია, გ. ჭელიძე (მოდებაძე), იაშვილი, ელიავა.*
**ბელგია:** *ვერბაუდი, მონტეინი, ვერბისტი, დენოსინი, კოველიე (რონჟი), ბერნარტი (ვანდენდრიშე), მარტენსი, დე ლანჟი, ვუიტენსი, გომეზი, ფერნანდესი (ვან ტორნიუ).*
**მსაჯი:** *მიჰაელ ვაინერი (გერმანია)*
**გოლი:** *დე ლანჟი (25`)*

უკანასკნელ ხანს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ეროვნულ ნაკრებს გადახალისება სჭირდება, რომ "უმოტივაციო" ვეტერანებმა ახალგაზრდებს უნდა დაუთმონ ასპარეზი. მართალია: საქართველოს ეროვნული ნაკრები, მართლაც, საჭიროებს ახალი "სისხლის გადასხმას", თუნდაც ახალგაზრდა, მაგრამ მონდომებული, ბრძოლის ჟინით სავსე ფეხბურთელებით გაძლიერებას. თუმცა, ერთი რამ ხშირად გვავიწყდება: იყო ახალგაზრდა, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ, იმავდროულად, დიდი მონდომებით უნდა გამოირჩეოდე, ან კიდევ, უფროს, "უჟილკო" თაობაზე უკეთ შეგეძლოს თამაში. ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში ნიჭიერი, ახალგაზრდა ფეხბურთელები ვერ მოიძებნოს, მაგრამ გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა დაინახა, რომ ქვეყნის უპირველესი გუნდი 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრების "ახალი სისხლით" ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ისარგებლებს.

გულშემატკივარს ერთი თვისება აქვს – მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს ვილაცის იმედი. ქართველ გულშემატკივარს ეს იმედები უკვე ბევრმა გაუცრუა - ეროვნულმა ნაკრებმა, ახალგაზრდულმა გუნდმა. გუშინ ჩვენი იმედი 19 წლამდე ასაკის ბიჭებმაც გააქარწყლეს.

...თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ მეტოქემ დაგვჯაბნა. ტერიტორიულ უპირატესობას ნამდვილად ვფლობდით. ალბათ, საგოლე შანსიც მეტი გვქონდა. მაგრამ უფროს, გულშემატკივრისა და მასმედიისგან შერისხულ თაობასთან, მაინც ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. პატარებსაც ჰყავთ თავიანთი, "განსაკუთრებით ნიჭიერები", რომელთა იმედიც გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს ჰქონდა. ბიჭებმა, თითქოს, ცუდად არ ითამაშეს, მაგრამ ჩვენ პარალელებზე ვსაუბრობდით და... ფაქტია, რომ გადამწყვეტ დროს ვერც ეს პატარები ავლენენ თავიანთ "ნიჭს". სანდრო იაშვილი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია, თუმცა, გუშინ მას თამაში არ წაუვიდა. არადა, სწორედ გუშინ გვჭირდებოდა გოლები. ასეა უფროსებშიც - შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მაგრამ სწორედ მაშინ არ მისდით თამაში, როდესაც ჩვენ ეს ასე ძალიან გვჭირდება.

და მაინც, გუშინდელი მატჩის შედეგი, ალბათ, მაინც არ იყო ლოგიკური - წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. საქართველოს ნაკრებმა სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან. 24-ე წუთზე იაშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. რამდენიმე წამში კი ბელგიელთა საპასუხო შეტევას გოლი მოჰყვა. უკვე მერამდენედ იმოქმედა ფეხბურთის დაუწერელმა კანონმა – ვერ გაიტან, გაგიტანენ შენ. ბელგიელებმა ხუთიანზე შეასრულეს თავიანთი – სტუმარი გუნდის ამოცანა. ისინი მთელი მატჩის მანძილზე ფრთხილად თამაშობდნენ დაცვაში და მეტისმეტად პასიურად უტევდნენ. საქართველოს ნაკრები კი აბსოლუტურ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ჩვენი შეტევების ტემპი იმდენად დაბალი იყო, რომ მოწინააღმდეგის დაცვა ხშირად საკმაოდ დინჯად ახერხებდა სიტუაციის განმუხტვას. ბელგიელთა დაცვის თამაშის სტილი არაფრით განსხვავდებოდა ტრადიციული ბელგიური მანერისგან – ქართველთა ყოველი მეორე შეტევა თამაშგარე მდგომარეობით მთავრდებოდა.

თამაშგარე აღინიშნა მაშინაც, როდესაც საქართველოს ნაკრებმა, მე-9 წუთზე, ანგარიში გახსნა, თუმცა, არბიტრის გადაწყვეტილებას სტადიონზე მყოფთაგან ბევრი არ დაეთანხმა.

მატჩს ესწრებოდნენ უკრაინის ნაკრების წარმომადგენლებიც, რომლებიც შეხვედრას ვიდეოკამერით იღებდნენ. შესვენებისას, ერთ-ერთი უკრაინელი დამკვირვებელი გამომელაპარაკა და მთხოვა, გუნდების განაცხადები მეჩვენებინა. მე კი უკრაინა-ფარერების ანგარიშით დავინტერესდი. "4:0-ს ვიგებთ, მაგრამ ხომ იცი, ფარერები...", - მიპასუხა მან. უკრაინელის კომუნიკაბელურობით ვისარგებლე და ვცადე, საქართველოს ნაკრების შესახებ მისი აზრი გამეგო: "**- მგონი, ჩვენც ფარერების დონეზე დავედით...**"

*- არა. გოლი, რომელიც თქვენ გაუშვით, უიღბლობის ბრალი იყო. შეტევის მერე დაცვაში გადაწყობა ვერ მოასწარით და გაუშვით. ძლიერი გუნდი გყავთ, განსაკუთრებით თავდამსხმელები მომწონს. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს მაინც მოიგებთ.*

**- საქართველო-უკრაინის მატჩზე რას იტყვით?**

*- ო, ძალიან გაგვიჭირდება. უკეთესი იქნებოდა, თუ უკანასკნელ მატჩში შეგვხვდებოდით.*

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა, თანაც, მეორე ტაიმი უკვე იწყებოდა.

საქართველოს ნაკრებმა მატჩის მეორე ნახევარი შედარებით მაღალ ტემპში ჩაატარა, თუმცა, ქართველთა აქტიურობას ბელგიელებიც სწრაფი შეტევებით პასუხობდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს ნაფეტვარიძის კართან. მატჩის ბოლო წუთებზე ბურაძემ ბელგიელებს კიდევ ერთი გოლი გაუტანა, თუმცა, მსაჯმა არც ის ჩათვალა, რადგან მანამდე მეკარეზე თავდასხმა დაფიქსირდა.

უკრაინელი დამკვირვებლის პროგნოზი არ გამართლდა. ალბათ, კარგი ქნა, გვარი რომ არ გამიმხილა. მატჩის შემდეგ ისევ შემხვდა, სიტყვის თქმა არ მაცალა და მომაძახა: *წააგეთ, მაგრამ ფარერები მაინც არ ხართ.* იმედი მაქვს, ამაში ის მართალია.

კომენტარები:

**მარკ ვან გეერსომი (ბელგიის ნაკრების მწვრთნელი):** *"მინდა, ჩემს კოლეგას ჩემი თანაგრძნობა გავუზიარო. ძლიერი გუნდი გყავთ. თქვენი ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, რის გამოც ჩემებს დიდი პრობლემები შეექმნათ. ვერ ვიტყვი, რომ გაჯობეთ. მატჩი თანაბარი იყო და საგოლე მომენტიც ცოტა შეიქმნა. ამ შეხვედრაში ის გაიმარჯვებდა, ვისაც ბედი გაუღიმებდა და საგოლე შანსს გამოიყენებდა. ბედმა ჩვენ გაგვიღიმა."*

**ოთარ გორგალიძე (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):** *"ის მოხდა, რისიც მეშინოდა. რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული თამაშობდა, რამაც შედეგზეც იმოქმედა. ტრავმები ჰქონდათ ლაშა ჭელიძეს, კალაძეს და მოდებაძეს. ისიც ვნახე, რომ ზოგიერთები არცთუ დიდი მონდომებით ეკიდებიან ნაკრებში თამაშს. ჩემი დავალება თითქმის არც ერთმა ფეხბურთელმა არ შეასრულა. უკრაინასთან მატჩისთვის ბევრ რამეს შევცვლი, პირველ რიგში, შემადგენლობა უნდა შეიცვალოს. თუ შეცდომებს გამოვასწორებთ, უკრაინის დამარცხება შეგვიძლია".*


ვახო ხეთაგური (?) ფოტო
იაშვილმა ასპროცენტიანი საგოლე შანსი ვერ გამოიყენა

ჭადრაკი

# სტამბულში აკეცილი საჭადრაკო დაფა ბლედში გაიხსნება


მარცხნიდან: აზმაიფარაშვილი, გურიელი, მეძმარიაშვილი, ზენაიშვილი

*25 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით, მსოფლიო საჭადრაკო სამყარო ბლედში (სლოვენია) დასცემს ბანაკს. გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში, ბლედის 35-ე ოლიმპიადასთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გაიმართა.*

ბიგა ბურასაშვილი

საჭადრაკო ოლიმპიადებზე ტიტულების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. მათ ჩამოსათვლელად ერთი საგაზეთო გვერდიც არ გვეყოფა. თუმცა, გამორჩეულნი მაინც ქალი მოჭადრაკეები არიან. ორი წლის წინათ, სტამბულის 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ჩვენმა ქალებმა II ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია ვაჟ მოჭადრაკეთა შედეგიც. ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიორგი გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გიგა ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი და ბაადურ ჯობავა VI ადგილზე გავიდნენ. სტამბულის ოლიმპიადამდე ვაჟმა მოჭადრაკეებმა VII ადგილი დაიკავეს, იმის წინ კი - VIII. თუ ბოლო სამი ოლიმპიადის შედეგებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ წარმატებისკენ ეტაპობრივად მივიწევთ.

სლოვენიაში 15-კაციანი დელეგაცია მიემგზავრება. საქართველოს ნაკრებს მხარდასაჭერად, როგორც ყოველთვის, ნონა გაფრინდაშვილი მიჰყვება. ოქროს მედლის პრეტენდენტთა შორის, რა თქმა უნდა, ქართველი ქალებიც იგულისხმებიან. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ნინო გურიელს მიაჩნია, რომ უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლაში ჩვენს ნაკრებს, ძირითადად, რუსები და ჩინელები გაუწევენ მეტოქეობას. ქალების კაპიტანია გოგი მაჭარაშვილი, ხოლო ვაჟების - აკაკი იაშვილი. პირველ დაფაზე იასპარეზებს მაია ჩიბურდანიძე, მეორეზე - ნანა იოსელიანი, მესამეზე - ნინო ხურციძე, მეოთხეზე - ქეთევან არახამია. ვაჟებში პირველ დაფაზე ითამაშებს ზურაბ აზმაიფარაშვილი, მეორეზე - ზურაბ სტურუა. დანარჩენი ოთხეული კი შედარებით ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ზვიად იზორია და ბაადურ ჯობავა ის მოჭადრაკეები არიან, რომელთა შორისაც მომავალში ერთ-ერთი, ალბათ, გუნდის ლიდერად მოგვევლინება. "ახალგაზრდების იმედი მაქვს. ოლიმპიადაზე ისინი გამოცდილებას მიიღებენ. ათეულს მიღმა არასდროს დავრჩენილვართ და, ალბათ, სლოვენიაშიც კარგად გამოვალთ. თუმცა, ბევრი რამ მეტოქესა და იღბალზეცაა დამოკიდებული. გააჩნია, პირველი მეტოქე ვინ გვეყოლება. საჭადრაკო ოლიმპიადები ძალზე სპეციფიკურია. შესაძლოა, თავიდან კარგად ვერ ითამაშო, მაგრამ მერე თავი მოიქაჩლო", - ამბობს ზურაბ აზმაიფარაშვილი.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ნინო გურიელმა კი თქვა, რომ, წარმატების შემთხვევაში, მოჭადრაკეთათვის დაწესებულია ჯილდოები. საქართველოს პრეზიდენტს მოჭადრაკეთათვის ჯილდოების დაწესების თხოვნით მიმართა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა. ქალები პრემიებისთვის სამეულში უნდა მოხვდნენ, ხოლო ვაჟებისთვის ექვსეულში მოხვედრაც საკმარისია. ოლიმპიადისთვის გუნდის წევრები შემოსა მაღაზია "სპორტტაიმმა".

მომავალ წელს საქართველო სუპერ-ტურნირს უმასპინძლებს. მოჭადრაკეთათვის 2003 წელს პრეზიდენტის თასი გათამაშდება.

სხვათა შორის, პრეზიდენტის თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე თავად ედუარდ შევარდნაძე იქნება.



D1 ანი გაბუნია ასაკი-16, 170/78/53/84, თვალის-ფერი ყავის, თმა-წაბლის



D2 თამუნა ოთხოზორია ასაკი-18, 168/88/72/93, თვალის-წაბლის, თმა-წაბლის









## TV პროგრამა 23 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერკულესის თავგადასავალი
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" - "ბაიერნი"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
03.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "ექვსი"
11.45 "ორსეს მუზეუმი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ქართული ენის გაკვეთილი"
14.30 წყვილები და დუეტები
15.15 მხ. ფილმი "ონავარი"
16.45 სერიალი "ძილის წინ"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ისტორიანი"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 "მიამბეთ თქვენზე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ნუ გაალვიძებთ მძინარე პოლიციელს"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
12.00 "მუსიკალური ათეული". განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ჯეიმსი და გიგანტური ფორთოხალი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 "მოკლე სეანსი"
22.00 "ინფორმატორი"
22.30 "არასარეკლამო ათეული"
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "გულები ატლანტიდაში".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "დაკბილული სამართებელი".
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 "მღერის კაპელა"
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ფულის მეფენი"

### ევრიკა

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25 სალონი
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მულტფილმი
20.15 მუსიკალური პაუზა
20.30 საოცარი პირამიდა
21.30 თინეიჯერი
23.50, 00.40 მხ.ფ. "აფეთქება"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "კარიერა"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 ძველი კინო "დაელოდე სიბნელეს"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "მერვე დღე"
22.15 მხ.ფ. "სიკვდილი ზღვარს მიღმა"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3"
13.30 მხ. ფილმი "შემართულად"
15.00 მხ. ფილმი "სიჩქარე 2"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2"
22.30 მხ. ფილმი "მოასწრო გახსენება"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საგავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
11.15 მხ. ფილმი "დედამიწა მინუს ნული"
12.40, 14.20, 23.50 მუსიკა
12.50 მხ. ფილმი "ორომტრიალი"
14.45, 20.00 "ევროპის სტადიონებზე"
15.15 "ყრმა სახელად იესო"
16.10 დოკ. ფილმი "იაკობ ნიკოლაძე"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საგავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბუდაპეშტი - დუნაის ნაპირი და ციხედარბაზები"
21.30 "ყრმა სახელად იესო"
22.15 მხ.ფ. "ცოცხალი ბარგი".
00.20 მხ.ფ. "ზნედაცემული ანგელოზები".

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჩემი ქალაქის ვარსკლავები"
10.55 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მელოდრამა "განუმეორებელი ანჟელიკა"
13.50 თრილერი "შირი"
16.15, 19.50, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი
17.15 დეტექტივი "ამერიკელები"
19.30, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
20.00 მხატვრული ფილმი "ოკეანის ფსკერზე"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მელოდრამა "ანჟელიკა და მეფე"
03.30 სათავგადასავლო ფილმი "ქრისტეფორე კოლუმბი"
05.25 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.50 "პაემანი"
11.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
12.10 მოკლედ... ტექნიკა
12.15 "სახლიდან გაუსვლელად"
12.50 ანიმაცია
13.05 "ბიორითმი"
13.30 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.55 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 "სახლიდან გაუსვლელად"
15.00 სპორტი
15.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.50 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.55 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.15 მოკლედ... სპორტი
22.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.25 "სახლიდან გაუსვლელად"
23.00 "კინოკლუბი " - "სიყვარულზე შეშლილები".
00.35 პრესის მიმოხილვა
00.55 "სახლიდან გაუსვლელად"
01.25 "ბიორითმი"
01.45 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00. 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 Детектив "НЕМЕЗИДА", 1 с.
12.20 "Фабрика звезд"
12.40 Сериал "Твинисы"
13.15 Детектив "УБИЙСТВО ПО КНИГЕ"
14.55 Сериал "СВЕТСКИЕ ХРОНИКИ"
16.15 "Карибский узел". Фильм 1
16.55 Худ.фильм "ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ", 2 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Смехопанорама"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
21.00 "Русская рулетка"
22.00 Время
22.40 Сериал "ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ", 3 с.
23.45 "Карибский узел". Фильм 2
00.35 "Фабрика звезд"
01.00 Ночное "Время"
01.15 Сериал "СВЕТСКИЕ ХРОНИКИ"
02.20 Триллер "ТЕНЬ ПРОШЛОГО"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия"
09.45 Сериал "ТАЙГА"
10.45 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
11.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ
12.20 Ток-шоу "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 "Экспертиза".
14.30 "Москва-Минск".
14.45, 19.20, 21.35 ВЕСТИ - МОСКВА
15.25 "Что хочет женщина"
16.20 х.ф."СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
18.20 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "ТАЙГА"
22.55 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.00 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
00.30 х.ф. "БЕЗ СРОКА ДАВНОСТИ"
02.25 "Дорожный патруль"
02.35 "Горячая десятка"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სარეკლამო კონტრაქტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში